პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—68

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „პროლეტარს" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 6 გვერდს

დღიური

- (ლივანის ბულგარეთი) სამხედრო სასამართლომ დახრჩობა მიუსაჯა 6 კაცს.
- პირველ ივლის მადრიდში გაიხსნა საფრანგეთ-ესპანეთის კონფერენცია მაროკოს საქმეების შესახებ.
- რიფები მაროკოში ახალი შეტევისათვის [illegible]
- ინგლისის სამთო-მადნო მუშებმა [illegible] მოთხოვნილებები.
- ნანსენის კომისიის წევრები ბათომიდან სტამბოლს გაემგზავრნენ.

კვირა, 5 ივლისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 152 (1307)

ამიერ-კავკასიის მუშებს, გლეხებს და ყველა მშრომელებს

ძვირფასო ამხანაგებო, 6 ივლისი ღირსშესანიშნავი დღეა ჩვენს ისტორიაში; სრული ორი წლის წინად ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებმა, რომელნიც საერთო ძალღონით გაერთიანდენ ძლიერ და შეურყეველ კავშირში, დაამთავრეს მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა ფედერაციის დიადი შენობა.

ამ დღის მნიშვნელობა დიდია არა მარტო მშრომელთა ნებისყოფის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, რომლებმაც გადასწყვიტეს მჭიდროთ შეკავშირებულიყვენ ხალხთა საერთო ოჯახში კაპიტალიზმის უღლისაგან მთელი მსოფლიოს მუშათა და გლეხთა განთავისუფლებისათვის საბრძოლველად; 6 ივლისი ნიშნავს აგრეთვე ჩვენი მტრების იმედის აღსასრულს, რომელნიც ფიქრობდენ პირისაგან მიწისა აღეგავათ მათთვის საძულველი მშრომელთა ხელისუფლება, რომელიც ამაყად დაეწაფა თავისუფალ ცხოვრებას.

დღეს, დღეს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების ყველა მუშებმა და გლეხებმა მოიგონონ ის, რასაც ადგილი აქვს ჩვენი კავშირის საზღვრებს გარეთ და ნათლად გაითვალისწინონ ის, რა აიცილეს თავიდან ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებით, რამაც გზა გაუხსნა განთავისუფლებულ შრომის ბატონობას.

საერთაშორისო ბურჟუაზიის შოვინიზმის და კლასიურ გაფთრების აღვირახსნილობა, ჩაგრულ კლასთა ნებისყოფის ყოველგვარი გამოხატულების ჩახრჩობა – საზღვარგარეთ; მრავალ ათეულ ხალხთა ძმური გაერთიანება, მშვიდობიანობა და თანამშრომლობა საერთო ურთიერთ შორის ნდობის საფუძველზე—ჩვენს მხარეზე. ჩვენი დამონავებული ძმების ზრახვები უხეშად ჩაკვლა რკინის მუშტით—იქ, წელში გამართული საბჭოთა მუშაკი აქ. საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს ეს გარემოება ყოველთვის უნდა ახსოვდეთ იმ სიძნელეთა წინაშე დგომის დროს, რომელიც ჩვენ კიდევ მოგველის მანამ, სანამ ჩაქუჩი და ნამგალი არ უზრუნველყოფს მათ საბოლოო გამარჯვებას მრავალგვარ დაბრკოლებებზე; ამ გარემოებამ კავშირის მშრომელებს უნდა შემატოს ახალი სიმხნევე შემდეგი ბრძოლისათვის, ახალი ძალები თავისი კავშირის შენობის განსამტკიცებლად. ყველაზე მძიმე წლები უკვე განვლილია. გადალახეს რა იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომისაგან გამოწვეული აურაცხელი სიძნელენი სრული ნგრევის წლებში, მუშამ და გლეხმა უფრო მეტის რწმენით და იმედით უნდა უცქიროს მშრომელთა სახელმწიფოს მოწყობის საქმეს, რომელიც მათ გაიხადეს მათთვის საკუთარ, განუყრელ საქმედ. კერძოდ ამიერ-კავკასიის მშრომელებმა, დაზგის გმირებმა და მინდვრების მუშაკებმა უნდა მოიგონონ, თუ რა მისცა მათ გაერთიანებამ ძმურ კავშირში; დიახ, აზერბეიჯანის, სომხეთის, და საქართველოს მშრომელებმა გაარკვიონ ძალღონე თავიანთი რესპუბლიკების, დიდი კავშირის თანასწორუფლებიანი წევრების, მეურნეობის და კულტურის ასაყვავებლად!

გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ კავშირს!

გაუმარჯოს ყველა მშრომელთა მჭიდრო გაერთიანებას!

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანი **ა. შავერდოვი.**

თბილისი—სასახლე.
5 ივლისი, 1925 წ.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მეორე წლის თავი

ორი წლის წინად, 1923 წლის 6 ივლისს საბჭოთა კავშირის ცაკის მეორე სესიამ დაამტკიცა საბჭოთა სოც. რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია და იგი შევიდა ძალაში. როდესაც თვალს ვავლებთ ამ ორი წლის განმავლობაში განვლილ გზას, საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებს ამ ხნის განმავლობაში, განსაკუთრებული კმაყოფილებით შეიძლება გავიმეოროთ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის სიტყვები: „მხოლოდ საბჭოთა ბანაკში, მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, რომლის გარშემო გაერთიანდა მცხოვრებთა უმრავლესობა, შესაძლებელი გახდა ეროვნული ჩაგვრის ძირიან-ფესვიანად მოსპობა, ურთიერთი ნდობის პირობების შექმნა და საფუძვლების ჩაყრა ხალხთა ძმური თანამშრომლობისათვის".

ამ ორმა წელიწადმა ერთხელ კიდევ დაგვანახვა, რომ მართლაც მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში და მხოლოდ საბჭოთა ბანაკში შესაძლებელია ეროვნულ ანტაგონიზმას აღმოფხვრა, შესაძლებელია სახელმწიფოებრივი ხელისუფლების აშენება მუშათა და გლეხთა კავშირის საფუძველზე.

იმ დროს, როდესაც ბურჟუაზიულ ქვეყნებში ამ ორი წლის განმავლობაში სწარმოებდა და სწარმოებს კაპიტალისტურ მთავრობების შეუწყვეტელი ბრძოლა ჩაგრულ. დამონებულ ხალხების წინააღმდეგ, იმ დროს, როდესაც არ სწყდება ზარბაზნების და თოფების გრიალი მაროკოში, ეგვიპტეში, ინდოეთში, იმ დროს, როდესაც ჩინეთზე ძალადობას სჩადიან იმპერიალისტები — სწორედ ამ დროს, ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენს საბჭოთა კავშირში სწარმოებდა და სწარმოებს განუწყვეტელი, მშვიდობიანი, კულტურული მუშაობა, რომელიც აერთიანებს კავშირში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებებს ერთ ძმურ ოჯახში რომლებმაც აიძულა ობიექტიურად იმპერიალისტების მიერ ჩაგრული ხალხები დაენახათ ჩვენს კავშირში გულწრფელი მეგობარი და დამცველი, როგორც მაგალითად ამას ადგილი აქვს ამჟამად ჩინეთში.

ამ ორი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია აღმოჩნდა არა უსულო დოკუმენტი, არამედ რეალური სინამდვილე, იგი მთლიანად იქნა გატარებული ცხოვრებაში.

ეს კიდევ ცოტაა, საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკა ამ ორი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანად იყო გაღრმავებული საკმარისია მოვიგონოთ საბჭოთა კავშირის საბჭოთა მე-3 ყრილობის დადგენილებანი ეროვნულ საკითხზე, ეროვნულ უმცირესობათა შესახებ". „საბჭოთა კავშირის საბჭოთა მესამე ყრილობა—ნათქვამია ამ დადგენილებაში—ფიქრობს, რომ საბჭოების მოქმედება ეროვნულ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქებში კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს იმ მხრივ, რათა სავსებით უზრუნველყოფილი იქნას ეროვნულ უმცირესობათა უფლებები და ავალებს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს სავსებით გაატაროს ცხოვრებაში სათანადო ზომები, როგორც მაგალითად: ყველა არჩეულ საბჭოთა ორგანოებში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების შეყვანა, ცალკე საბჭოების შედგენა ამ უმცირესობათა ენის შემოღებით, სკოლების და სასამართლოების მოწყობა სამშობლო ენაზე და სხვა".

საკავშირო რესპუბლიკების სუვერენიტეტთან, ცალკე ეროვნულ ერთეულთა ნამდვილ ავტონომიასთან, საქმის წარმოების ადგილობრივ ენაზე გადაყვანასთან ერთად, საბჭოთა კავშირის საბჭოთა მე-3 ყრილობის აქტი, შეიძლება ითქვას, ავსებს მრავალფეროვან, ცხოველმყოფელ, შემოქმედებითი შინაარსით საბჭოთა მუშაობას ეროვნული პოლიტიკის დარგში.

ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენ გავხდით მეფის მემკვიდრეობის—ამ ეროვნულ შუღლის, საბოლოოთ აღმოფხვრის მოწმენი.

საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის ცაკის მე-3 სესიამ, რომელიც თბილისში გაიმართა, ამიერ-კავკასიის ხალხებთან ერთად, სავსებით მოიწონა ამიერ-კავკასიის მთავრობის პოლიტიკა, „რომელიც მიმართულია ამიერ-კავკასიის ყველა ეროვნებათა მტკიცე ეროვნულ მშვიდობიანობის დამყარებისა, მჭიდრო საწარმოო თანამშრომლობისა და ეკონომიურ და კულტურულ დონეს აწევისაკენ".

კავკასიის ხალხებმა იციან, რომ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ამ ორი წლის განმავლობაში მართლაც წარმატებით დაგვირგვინდა, რომ ქართველებს, სომხებს, თათრებს, ოსმალებს შორის მტრობა და შუღლი ისტორიის ჩაბარდა.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ამ პოლიტიკამ გამოიწვია ორი ახალი მოკავშირე რესპუბლიკის წარმოშობა—თურქმენისტანის და უზბეკისტანის და მათი შემოსვლა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. აქ ისევ საბჭოთა კავშირმა პრაქტიკაში განახორციელა მის მიერ აღიარებული პრინციპი—ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის შესახებ; შუააზიის ხალხებმა დაადგინეს ჩამოყალიბდენ ეროვნული ნიშნის მიხედვით და დაარსონ უზბეკისტანი და თურქმენისტანი. საბჭოთა კავშირმა ანგარიში გაუწია ამ ხალხების სურვილს და გავრცელდა მათზე ხელშეკრულება საბჭოთა სოც. რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ.

მაგრამ არა მარტო ყოფილ მეფის რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ერები ამ ორი წლის განმავლობაში დარწმუნდენ საბჭოთა კავშირის ეროვნული პოლიტიკის გულწრფელობასა და სიმტკიცეში და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის საფუძვლების განხორციელებაში.

საზღვარ-გარეთელი ჩაგრული ხალხებიც ილტვიან საბჭოთა კავშირთან მჭიდრო ურთიერთობისაკენ და თუ ამჟამად მრავალმილიონიან ჩინეთში იმპერიალისტები ვერ ბედავენ გამოჩნდნენ ჩინურ კაპიტალების ქუჩებში, საბჭოთა კავშირის მოქალაქეები არა თუ ჩნდებიან, მათ აღტაცებით ეგებებიან.

ძნელია გამოვნახოთ უკეთესი ილიუსტრაცია, რომელიც სავსებით ამართლებდეს საბჭოთა კავშირის აზრს და ამოცანას, ვიდრე ჩინეთის ამბები.

ამგვარად საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის არსებობის 2 წლის განმავლობაში კავშირის საზღვრებში დამყარდა ეროვნული მშვიდობიანობა, ეროვნული პოლიტიკა გაღრმავდა, აღმოსავლეთის და დასავლეთის ჩაგრული ხალხები ხედავენ მასში თავის განმანთავისუფლებელს.

ამავე დროს ამ ორი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირმა გაამართლა თავისი თავი მასში მცხოვრებ ხალხთა ეკონომიურ და კულტურულ დონეს აწევის მხრივაც.

ჩვენი ეკონომიური ძლიერება გაიზარდა—ჩვენ გადავდივართ ომის წინა დროს არსებულ საწარმოო ნორმებზე. ამასთანავე გაიზარდა ყველა ეროვნებათა მუშების და გლეხების აქტიური მონაწილეობა საბჭოთა კავშირის მშენებლობის საქმეში.

საბჭოთა კავშირმა, ფართო ეკონომიური განვითარების გზაზე დააყენა რა ჩვენი ქვეყანა, ამავე დროს ბაზა შეუქმნა ქალაქის და სოფლის კავშირის განმტკიცებას, ჩაუყარა მას საძირკველი, რომელზედაც კიდევ უფრო მტკიცდება და იზრდება მუშათა და გლეხთა კავშირი.

ასეთია ჩვენი კავშირის ორი წლის არსებობის შედეგები 1923 წ. 6 ივლისს დამტკიცებულ კონსტიტუციის საფუძველზე.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ მომავალი წლები, მიღწეულ წარმატებათა ნიადაგზე, საშუალებას მოგვცემს მუშათა და გლეხთა უშუალო მონაწილეობით და საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ყველა ხალხთა თანამშრომლობით, განვავითაროთ გავაფართოვოთ და განვამტკიცოთ ჩვენი საბჭოთა კავშირი და მივიზიდოთ მასში კიდევ ახალი ხალხები.

ა. ენუქიძე.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

საფრანგეთი საბჭ. კავშირის განცალკევების პოლიტიკის წინააღმდეგ

გერმანიის სახალხო პარტია მოითხოვს მთავრობისაგან არ გადასდგას ისეთი ნაბიჯი რომელიც ზიანს მოუტანს გერმანია-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობას

ინგლისის ლიბერალური გაზეთები მოითხოვენ დამყარდეს ნორმალური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან

მოსკოვში ჩავიდა ოსმალეთის ახალი ელჩი ზექი-ნაი-ბეი

საფრანგეთი

საფრანგეთი არ აჰყვება ჩემბერლენს

პარიზი. 3 ივლისი. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის ამხ. ჩიჩერინის განცხადებასთან დაკავშირებით, საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში ისევ დაისვა საკითხი „ბოლშევიკური პროპაგანდის" და ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნის შესახებ.

ეჭვს გარეშეა, რომ რეაქციონურ წრეებში არის მიმდინარეობა საერთო ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნის სასარგებლოდ ევროპაში ამ ფრონტის შექმნის მიზნით მრავალი მემარჯვენე პოლიტიკური მოღვაწეები მზად არიან დაივიწყონ თავიანთი სიძულვილი გერმანიისადმი.

მაგრამ, ასეთ აზრს სრულიად არ იზიარებენ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ყველა პოლიტიკური ჯგუფები და პასუხისმგებელი წრეები.

მაგალითად, ფილუზი სან-ფიორის სააგენტოა, საშუალებით გადაჰკრით ილაშქრებს ასეთი შეხედულებების წინააღმდეგ და აფრთხილებს საფრანგეთს, არ იკისროს ინგლისის [illegible] როლი და არ დაუმორჩილოს საფრანგეთის პოლიტიკა აზიაში „აფრიკის ოქროს".

„ანტისაბჭოთა ბლოკი",—ამბობს ფილუზი,— იძულებულს გახდის საბჭოთა კავშირს, აწარმოოს ევროპის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა, რასაც შედეგად მოყვება რევოლიუციონური მოძრაობის განვითარება აღმოსავლეთში". ფილუზი, იგონებს შემდეგ „ურანგელის ცდების" დამარცხებას და აღნიშნავს, რომ „რუსეთი დიდია და არ საჭიროებს ფლოტს, რომ გადაიყვანოს თავისი ჯარები აზიაში".

როსტას კორესპოდენტის ცნობებით, რომელიც ეყრდნობა სავსებით საქმის მცოდნე პირთა განცხადებას საფრანგეთის პასუხისმგებელ პოლიტიკურ წრეებს სრულიად არ სურთ მიიღონ მონაწილეობა საბჭოთა კავშირის განცალკევების პოლიტიკაში და ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნაში.

გერმანია

რაპალოს ხელშეკრულება ძალაში უნდა დარჩეს

ბერლინი. 3 ივლისი. სახალხო პარტიამ გამოაქვეყნა მთავრობისადმი მიმართული ნაკაზი, რომელიც შეეხება მოკავშირეებთან მოსალოდნელ მოლაპარაკებას. „ნაკაზის" არსებითი მხარე ასეთია:

გერმანია არ შევა ერთა ლიგაში, სანამ საფრანგეთი არ დაცლის ყველა დაპყრობილ ოლქს. ლიგაში შესვლა არ უნდა მოხდეს, სანამ არ დაიდება „საგარანტიო ხელშეკრულება". ლიგაში შესვლისთანავე უნდა გაუქმდეს ლიგის დადგენილება გერმანიის შეიარაღებაზე ზედამხედველობის შესახებ. დასავლეთ. სახელმწიფოებთან მოლაპარაკებამ არავითარი ზიანი არ უნდა მიაყენოს რაპალოს ხელშეკრულებას, რადგან გერმანიის ინტერესი მოითხოვს საბჭოთა კავშირთან იყვეს მეგობრულ განწყობილებაში.

ნაციონალისტური პრესა დიდის ქებით იხსენიებს ამ „ნაკაზს" და მასში ხედავს ნიადაგს, რომელზედაც შეიძლება შეთანხმდენ ეროვნულად მოაზროვნე ყველა წრეები.

ამერიკა

კერენსკის დამქაშების მადა.

ნიუ-იორკი, 3 ივლისი. ნიუ-იორკის სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც „ლეჰაი ვალლი რეილროუდ"-ს (ლეჰაის ველის რკინის გზათა საზოგადოება) მიესაჯა გადაეხადოს „რუსეთის მთავრობას" 853,000 დოლარი იმ ზარალისათვის, რომ რაც ეკუთვნოდა მეფის მთავრობას და რომელიც მთლიანად განადგურდა 1918 წ. აფეთქების დროს. [illegible] ფინანსიურმა მრჩეველმა—სერგეი უგეტმა—კერენსკის მთავრობის სახელით რკინის გზას წარუდგინა ძ. ბ. სახელმწიფო დეპარტამენტი მხარს უჭერს უგეტს. საბჭოთა კავშირის სახელით ადვოკატმა რიცელმა, რომ ხელი შეეშალა უგეტისათვის ფულის მიღებაში, მოითხოვა, რომ თვით სასამართლომ დანიშნოს ფულის მიმღები.

ინგლისი

პრესა გოდიშს ხლის ჩემბერლენს.

ლონდონი, 3 ივლისი. გაზეთების უმრავლესობა გვერდს უვლის ჩიჩერინის განცხადებას, პრესის წარმომადგენლებისადმი.

ლიბერალების ორგანო „ვესტმინსტერ გაზეტ" ამბობს, რომ ეს განცხადება [illegible] შემარიგებლური ტონით და შესაძლებლად ხდის მოლაპარაკების დაწყებას მომავალში. გაზეთი მიუთითებს თავის წინა წერილებზე, რომ საბჭოთა მთავრობა ისწრაფვის ყველა სადაო საკითხების, მათ შორის ვალის საკითხის მოგვარებისაკენ.

მეორე ლიბერალური ორგანო „დეილი ნიუზ" მთავარში სწერს, რომ ჩიჩერინის სამხედრო მუქარა არ უნდა მივიღოთ სერიოზულად, მაგრამ ეს მომასწავებელია იმ საფრთხეების, რომლებიც შეიძლება წარმოიშვან, ორი შეურიგებელი პირის—ინგლისისა და საბჭოთა კავშირის—ისტორიული კამათის წყალობით შემდეგ გაზეთი აღნიშნავს რა ინგლისისა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული დამოკიდებულების აუცილებლობას ამბობს, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული ცუდი დამოკიდებულება არ აღმოიფხვრება მით, რომ ორივე მთავრობის გამოჩენილი წევრები საჯაროთ ჰკიცხავენ ერთი მეორეს.

ოსმალეთი

ოსმალეთის ახალი ელჩი საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 4 ივლისი. მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში ახლად დანიშნული ოსმალეთის ელჩი ზექი-ბეი—ოსმალეთის ცნობილი ეკონომისტი ისმეტ-ფაშას კაბინეტში მას ეჭირა მიწათ-მოქმედების მინისტრის თანამდებობა. მოსკოვში ელჩად დანიშვნამდე ის იყო ოსმალეთის ელჩად ლონდონში.

„როსტას" თანამშრომელთან საუბრის დროს ზექი-ბეიმ განაცხადა: „ოსმალეთის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საერთო პერსპექტივები—საუკეთესოა. ჩემი მუშაობა აქ მიმართული იქნება ოსმალეთსა და საბჭოთა კავშირის შორის უკვე დამყარებულ მეგობრულ და გულწრფელ ურთიერთობის განმტკიცებისაკენ. ჩვენ მოველით მოლაპარაკებას ორივე ქვეყნის შორის ეკონომიურ [illegible] გაფართოების შესახებ [illegible], რომ [illegible] დადებითი შედეგები მოჰყვება".

საუბრის დასასრულს ზექი-ბეიმ აღნიშნა განსაკუთრებული ყურადღება, რომელსაც ის შეხვდა ოდესაში, მოსკოვში ჩასვლის დროს და მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას ასეთ მეგობრულ მიღებისათვის.

აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზაზე

მოსკოვი, 4 ივლისი. გენერალური კონსული ხარბინში და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზათა გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი—ამხ. გრანტი ჩამოვიდა მოსკოვში რკინის გზ. სახ. კომისარიატში მოხსენების გასაკეთებლად რკინის გზათა მდგომარეობის შესახებ.

„როსტა"-ს წარმომადგენლებთან საუბრის დროს ამხ. გრანტმა განაცხადა შემდეგი; „ამ ჟამად, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარი კონფლიქტი მოგვარებულად უნდა ჩაითვალოს. გზის ფინანსიური მდგომარეობა კარგია. თავის დროზე გზის მმართველობამ ჩაიბარა გზა 10 მილ. მან. ვალით. ახლა გზა არამც თუ არაა დავალიანებული, არამედ 6 მილ. მან. მოგებაც კი აქვს. ამნაირად ათი თვის განმავლობაში ახალმა გამგეობამ მიიღო 15 მილ. მან. შემოსავალი, რაც უნდა ჩაითვალოს ძალიან დიდ მიღწევად".

შეეხო რა ჩრდილო მანჯურიის საერთო პოლიტიკურ მდგომარეობას, გრანტმა აღნიშნა გაძლიერებული რეპრესიები მუშათა ორგანიზაციების წინააღმდეგ.

გრანტმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ დროს ჩინეთის მთავრობამ კატეგორიულად მოითხოვა პროლეტარულ ორგანიზაციების დევნის შეწყვეტა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჩრდილოეთ მანჯურიის მშრომელი მოსახლეობა იღვიძებს. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებმა შანხაის მუშების სასარგებლოთ შეაგროვეს 2000 მანეთამდე ყველგან ეწყობა საპროტესტო კრებები იმპერიალისტების პოლიტიკის წინააღმდეგ ჩინეთში.

ამხ. ლენინი კოოპერაციის შესახებ

მოსკოვი, 4 ივლისი, 4 ივლისის „პრავდაში" დაბეჭდილი არის ადგილები ამხ ლენინის წერილიდან, რომელიც მან გაუგზავნა „ცენტროსოიუზის" თავმჯდომარეს ხინჩუკს 1921 წლის 29 ივლისს კოოპერაციის შესახებ:

„...შემდეგ, წასვლის წინეთ თქვენ უნდა შემატყობინოთ, რაც შეიძლება მოკლეთ—ბოლოს მაინც როდის ამუშავდება კოოპერაციის აპარატი?

მე მესმის ასე: ამა თუ იმ გუბერნიის რამდენ თემში არსებობს კოოპერატიული დუქანი, მაშასადამე, თქვენი სავაჭრო აგენტებიც, და რამდენი არა? თვითეულ თემზე რამდენი მოდის?

რამდენი დუქანი ანუ აგენტი უპასუხებს ცენტრს წესიერათ ყოველ შეკითხვაზე? კვირაში ერთხელ? ორ კვირაში ერთხელ?

თემმა რამდენმა დუქანმა მიიღო საქონელი? ან რა საქონელი? (დაე იყოს თუნდაც სულ მოკლე პასუხი). მარილი? ნავთი? ფართლეულობა? და სხვა.

რა ზომამდის დააკმაყოფილეთ გლეხობის ზედ-მეტ ნედლეულობის გაცვლა ამა თუ იმ საქონელზე?

პური.

სხვა სურსათ-სანოვაგე.

საწარმოო ნედლეულობა და სხვა.

რამდენი გადაცვალეთ საანგარიშო წლის განმავლობაში და რა საქონელი რაზე?

ჩემის აზრით, სანამ არ არის პასუხები ამ კითხვებზე, არც არსებობს რამე. ყველაფერი მხოლოდ ცარიელი ლაპარაკია.

ველი პასუხს.

კომუნისტური სალამით **ლენინი.**

ცანკოვი სისხლით ვერ გაძღა

განაჩენი ბულგარეთის კომპარტიის ც. კ. წევრების საქმის შესახებ

ვენა, 3 ივლისი. ქალაქ სლივენში (ბულგარეთი) სამხედრო-საველე სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა **დმიტროვს, გრაცევს, კარნოლოცნიევს, მინჩევს, მალინოვს და გეორგიევს.**



ვასილ კოლაროვ.

ბულგარეთის კომპარტიის ც. კ. ყოფილი მდივანი, პარლამენტის ყოფილი წევრი, ახლა კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი.

ფილიპოპოლის სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა **დრაგოიჩევს, მიხაილოვს, ტოდოროვს.** [illegible], **ცვეტანოვს** და სამუდამო ციხე—**დმიტროვს.** ყველას ბრალად ედებოდა კომუნისტურ პარტიის არალეგალურ საოლქო კომიტეტში მონაწილეობის მიღება.



ტინე კირკოვი. [illegible]

ვენა, 3 ივლისი. სოფიის სამხედრო სასამართლომ 1923 წ. სექტემბრის აჯანყების მოწყობაში ბრალდებულებს—ბულგარეთის კომპარტიის ცაკის წევრებს—კაბაკჩიევს, კოლაროვს, დიმიტროვს და ლუკანოვს (უკანასკნელ 3-ის დაუსწრებლათ) მიუსაჯა 12 წლის ციხეში დაპატიმრება. დანარჩენი 3 ბრალდებული გამართლებულია.



ანტ. ივანოვი. ტოდორ პეტროვი

გლეხთა პროცესი.

ვენა, 3 ივლისი. ბულგარეთის ქალაქ [illegible], ორ სამხედრო სასამართლოში ერთდროულად გაირჩა საქმე 16 და 11 გლეხისა, რომლებსაც ბრალი დასდევს შეთქმულების მოწყობაში. პირველი პროცესის დროს ჩამოხრჩობა მიუსაჯეს 4, მეორე პროცესზე 5 გლეხს.

14 კაცს მიუსაჯეა ციხეში დატუსაღება, 4 გაანთავისუფლეს.



ხ. კაბაკჩიევი. გ. დიმიტროვი

მოსულის საკითხი

ლონდონი, 3 ივლისი. „დეილი ტელეგრაფ"-ის დიპლომატიური კორესპონდენტის ცნობით, ოსმალეთმა მოითხოვა, რომ ერთა ლიგამ სექტემბრის დასაწყისში განზრახულ ლიგის საბჭოს სესიაზე მოაწესრიგოს მოსულისა და ირაქის საზღვრების საკითხები. ჩემბერლენი არაა ამის წინააღმდეგი.

აღნიშნავს რა ოსმალეთის ჯარების მოძრაობას, კორესპონდენტი ამბობს, რომ ლონდონის ოფიციალური წრეები ამაში არ ხედავენ სერიოზულ საფრთხეს და დასძენს: „ამ ოპტიმიზმს შესაძლებელია ჰქონდეს და არ ჰქონდეს კიდეც ნიადაგი".

ომი მაროკოში

საფრანგეთ-ესპანეთის კონფერენცია

პარიზი, 3 ივლისი. მადრიდიდან იტყობინებიან, რომ გენერალმა ნორდანამ, მილვიმ, პერეტი დელაროკამ და საფრანგეთ-ესპანეთის კონფერენციის სხვა დელეგატებმა 1-ლ ივლისს განიხილეს კონფერენციის დღის წესრიგში დასმული საკითხები. მეორე სხდომა დანიშნულია 2 ივლისისათვის.

პრესის წარმომადგენლებს ნორდანამ განუცხადა, რომ მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს.

მთლიანი ფრონტით შეტევის წინ

პარიზი, 3 ივლისი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ ტანჟერიდან მიღებულ ცნობებით მოსალოდნელია ახლო ხანში მთლიანი ფრონტით შეტევა. აგრეთვე იუწყებიან რომ შეშუანში მოვიდნენ რიფების მრავალრიცხოვანი რაზმები.

„კეთილმეზობლური" ნეიტრალიტეტი ანუ „გააქვრეთ ტყავი რიფებს"

ლონდონი, 3 ივლისი. ფიქრობენ, რომ ინგლისის მთავრობა თავის პასუხში ესპანეთისადმი მაროკოს საკითხის შესახებ განაცხადებს, რომ ინგლისი იცავს და შემდეგშიაც დაიცავს საფრანგეთისადმი კეთილ-მეზობლურ ნეიტრალიტეტს.

მღელვარება ტანჟერში

პარიზი. 3 ივლისი. ახალ გადასახადების შემოღების გამო ტანჟერში (სანაპირო ნეიტრალური კუთხე—მაროკოში) დაიწყო სერიოზული მღელვარება. საწინააღმდეგოთ გამოყვანილ იქნენ ფრანგების რაზმები რომელთაგანაც დაიჭრა რამდენიმე კაცი. ხალხის მხარედანაც არის რამდენიმე დაჭრილი და მოკლული.

მენშევიკებს ეშინიათ კომუნისტების გავლენის

მუშათა ყრილობაზე მონაწილეობის მიღების აკრძალვა

მუშათა ყრილობაზე მონაწილეობის მიღების აკრძალვა

პარიზი, 3 ივლისი. იმ შიშით, რომ სოციალისტური პარტიის მრავალი ორგანიზაციები მიიღებდენ მონაწილეობას კომპარტიის ხელმძღვანელობით მოწვეულ მუშათა ყრილობაზე, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ც. კომიტეტმა თავის წევრებს აუკრძალა მონაწილეობის მიღება ამ ყრილობაზე, და განაცხადა, რომ ამ უკანასკნელის მოწვევა წარმოადგენს ახალ მანევრს კომპარტიის მხრივ, რომელიც სცდილობს შეიტანოს განხეთქილება სოციალისტების რიგებში და შრომის რეფორმისტულ კონფედერაციაში.

გერმანელ კომუნისტებს წართმეული აქვთ სიტყვის თავისუფლების ნება მენშევიკურ კრებებზე

ბერლინი, 3 ივლისი. ბერლინის რაიონის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის პრეზიდიუმმა „ფორვერტს"-ში ოფიციალურად განაცხადა, რომ კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებს სოციალ-დემოკრატიულ კრებებზე წაერთმევათ სიტყვის თავისუფლების ნება.

ამ გადაწყვეტილებას ასაბუთებენ კომუნისტ-ორატორების „არა საქმიანი" გამოსვლებით უკანასკნელ დიდ სოციალ-დემოკრატიულ კრებაზე, რომელიც გაიმართა ხორბალზე დადებულ საბაჟო გადასახადების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

საფრანგეთი

სამთომადნო მუშების მოთხოვნილება.

პარიზი, 2 ივლისი. საფრანგეთის სამთომადნო მუშების კონფერენციაზე, საფრანგეთის მთავრობის პროექტი პენსიების შესახებ მკაცრი კრიტიკის საგანი შეიქნა. ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ითხოვს, რომ პენსიის განაკვეთი უდრიდეს საშუალო ხელფასის 50 პროც. და პენსიის მიღების უფლება უნდა ეძლეოდეს ყველა სამთომადნო მუშას, რომელმაც მიაღწია 50 წლის ჰასაკს და იმუშავა 25 წლის განმავლობაში.

იტალია

მუშების უმრავლესობა ემხრობა კომუნისტებს

რომი, 2 ივლისი. მილანში მელითონეთა კავშირის აღმასკომის არჩევნების დროს კომუნისტებმა მიიღეს ხმების 39 პროც. მაქსიმალისტებმა 35 პროც. და რეფორმისტებმა 26 პროც. ეს არჩევნები მაჩვენებელია მილანის მუშების სულიერი განწყობილების, მით უფრო, რომ მილანი ითვლებოდა მაქსიმალისტების მთავარ სიმაგრეთ. პირველი შემთხვევაა, რომ კომუნისტებმა მიიღეს მილანში ხმის უმეტესობა.

ბელგია

გაფიცვა გენტში.

პარიზი. 2 ივლისი. გენტში გაფიცა 1500 მუშა, რომლებიც მუშაობენ ლითონის ქარხნებში.

ინგლისი

სამთომადნო მუშები მედგრად იბრძვიან.

ლონდონი. 3 ივლისი. სამთომადნო მუშების ინგლისის დელეგატების ყრილობამ უარყო დამქირავებელთა წინადადება სამუშაო ხელფასის ახალი ხელშეკრულების დადების შესახებ. ყრილობა შემდეგი მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა: 1) დამქირავებელნი წინადადებას იძლევიან გაუქმებულ იქნეს სამუშაო ხელფასის საგარანტიო მინიმუმი, რომელიც ეხლა უკვე საცხოვრებელ მინიმუმზე ნაკლები არის; 2) სურთ რა უზრუნველყონ თავიანთი მოგება, გარეშე იმისა, თუ როგორი იქნება შრომის ხელფასი; 3) განზრახვაა შეამცირონ შრომის ხელფასი 13 პროცენტიდან 40 პროცენტამდე.

ერთხმად მიღებული რეზოლიუცია მოუწოდებს ყველა სამთომადნო მუშების საოლქო ორგანიზაციებს წინააღმდეგობა გაუწიონ მწარმოებელთა ყველა წინადადებებს, რომელთაც სურთ შეცვალონ ინგლისში ეხლა მომქმედი საერთო ხელშეკრულებანი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მოსავლის დღისათვის

მოსკოვი, 4 ივლისი. რ. ლ. ი. კ. კ. ც. კ. დაიწყო მუშაობა მოსავლის დღისათვის.

ამ წელს მოსავლის დღე უნდა გახდეს სახალხო სადღესასწაულო დღეთ. მოსავლის დღის დღესასწაული ჩატარებული იქნება ოქტომბერში.

ნაციონალურ რესპუბლიკებში მოსავლის დღესასწაული, შეცვლილი იქნება: მესაქონლეობის, ყურძნის შეკრების ან სხვა რომელიმე დღით, ადგილობრივი მეურნეობის ხასიათის მიხედვით.

მოსავლის დღეს ადგილებზე მოწყობილი იქნება სასოფლო-სამეურნეო გამოფენები, სეირნობა, თამაშობა და სხვა.

მოთხოვნილება საგლეხო სესხის ობლიგაციებზე.

მოსკოვი, 4 ივლისი. რადგან მოსავალს კარგი პირი უჩანს, იზრდება მოთხოვნილება საგლეხო სესხის ობლიგაციებზე. სავალიუტო სამმართველოში შემოდის მრავალი თხოვნები დაჩქარებული იქნეს ობლიგაციების გამოშვება.

უკრაინა

დახმარება გლეხობას.

ხარკოვი, 4 ივლისი. უკრაინის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასდო 2.000.000 მანეთი პურის დასამზადებელი ოპერაციებისათვის, რაც საშუალებას მისცემს გლეხობას თავი დააღწიოს მევახშეთა კლანჭებს.

ბანკმა გადასდო აგრეთვე 1.200.000 მანეთი, კრედიტების მისაცემად გლეხობაზე მანქანებისა, ტრაქტორებისა და მუშა საქონლის დასაქირავებლად მომავალ საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის.

დნეპრში წყლის დაკლება.

ხერსონი. 4 ივლისი. ნიკოპოლ-ხერსონის მიმართულებით მდინარე დნეპრმა იმდენად დიაკლო, რომ ხშირად გემები ეფლობიან სილაში. მოსალოდნელია გემების მიმოსვლის შეწყვეტა.

მოძრავი კინოები.

კიევი, 4 ივლისი. კიევის გუბერნიაში კინოს მოწყობის საქმე წარმატებით მიმდინარეობს. ივნისში სოფლებში საგრძნობლად გაიზარდა კინოების რიცხვი. გამართული იქნა 64 კინო-წარმოდგენა, რომელსაც დაესწრო 15.000 მეტი გლეხი.

პოლონელ ჯაშუშების საქმე

მინსკი, 4 ივლისი. ბელორუსიის უმაღლეს სასამართლოში დაიწყო პოლონელ ჯაშუშთა ჯგუფის გასამართლება. ეს ჯგუფი ცნობებს აწვდიდა მინსკში მყოფ პოლონეთის წარმომადგენელ კარჩევსკის. საბრალმდებლო სკამზე სხედან გარკაში, დომინიკი და კავრიგო.

გარკაშს ჩხრეკის დროს აღმოაჩნდა ყალბი საბუთები, რომლის მეხვეულობითაც ვითომ მინსკში ეწყობოდენ რაზმები პოლონეთის ტერიტორიაზე დაცემების მოსახდენათ.

გარკაში გამოტყდა ყველაფერში. მან გასცა აგრეთვე (ცოლ-ქმარი) კავრიგო და ვინმე კასარგინი, რომელმაც მოასწრო გადამალვა.

სხვა ბრალდებულნი თავს დამნაშავედ არ სცნობენ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

წვიმა კახეთში

თელავი, 4 ივლისი. ხშირი წვიმების გამო, მოსავლის აკრეფა ფერხდება.

წითელი თეატრის გასტროლები

თელავი, 4 ივლისი. თელავში საგასტროლოთ ჩავიდა წითელი თეატრის თბილისის დასი. ახლო-მახლო სოფლებში გლეხებისათვის გაიმართება წარმოდგენები.

ხანძარი

ქუთაისი. 3 ივლისი. სოფელ ვიშტიბაში დაიწვა კოოპერატივის შენობა. ხანძარის ძიერ მიყენებული ზარალი აღემატება რამოდენიმე ათასს მანეთს.

თემის აღმასრულებელი კომიტეტი აწარმოებს ძიებას ხანძარის მიზეზის გამოსარკვევათ. ამასთანავე მიღებულია ზომები ამ რაიონისათვის მიწოდების მოსაგვარებლათ.

აჭარისტანი

მიწათმოწყობა.

ბათომი. 3 ივლ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისაგან ციხისძირის რაიონის თავისუფალი მიწის ფონდიდან გამოყოფილ იქნა 164 დესიატინა, რომელიც გადაეცა იმ 66 გლეხს, რომლებიც დაზარალდენ წარსულ ზამთარში. თვითეულ გლეხს ეძლევა, აგრეთვე, ერთდროული დახმარების სახით ასი მანეთი.

საბინაო ამხანაგობანი.

ბათომი. 3 ივლ. განვლილ ივნისის თვეში ბათომში დაარსებულ იქნა ოთხი საბინაო ამხანაგობა.

ნანსენის კომისია

ბათუმი, 4 ივლისი. ნანსენის კომისია ჩამოვიდა ბათუმში. 4 ივლისს კომისია მიემგზავრება სტამბოლში.

ბიდონის ქარხნის გახსნა

ბათომი, 4 ივლისი. დღის დიდის ზეიმით გაიხსნა აჭარისტანის ვაჭრობის სამმართველოს ბიდონის ქარხანა.

სასოფლო სამეურნეო აღწერა აჭარისტანში

ბათუმი, 4 ივლისი. აჭარისტანში დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო აღწერა. აღნუსხვილია 12.000 დესეტინა ნათესი, რომლიდგანაც 1.200 დესეტინა უჭირავს ჩაის, თამბაქოს და ბოსტანს. გარდა ამისა აღნუსხვილია 28.000 სხვილ ფეხა რქიანი საქონელი და 10.000 წვრილფეხა.

გაზეთი სოფელს

ბათომი, 4 ივლისი. ქედის მაზრის გლეხკომმა გამოიწერა გაზეთი 12 სოფლისათვის.

კონტრ-რევოლიუციონერების პროცესი

ქუთაისი, 2 ივლისი. 30 ივნისს სახელმწიფო თეატრში გოცვაძის თავმჯდომარეობით დაიწყო პროცესი 16 კაცის, რომელთაც ბრალად ედებათ მონაწილეობა წარსული წლის აგვისტოში კონტრ-რევოლიუციონერ გამოსვლებში. პროცესმა დიდი ინტერესი გამოიწვია. გამოწვეულია 40 მოწმე.

სასამართლოს პირველ სხდომაზე მოხდა დაკითხვა ბრალდებულთა, რომელთაც არ სცნეს თავი დამნაშავეთ.

აფხაზეთი

ანჩაბაძის და ხვეების საქმე

ხოხუმი, 2 ივლისი. 29 და 30 ივლისს უზენაეს სასამართლოში მოსმენილი იქნა სანაპირო რაზმის თანამშრომელის ანჩაბაძის და წითელარმიელის ქვანიის, ემუხვარის და არნაუტოვის, რომელთაც ბრალი ედებათ სვანების სამსონა და კატარბეი პეპიაშვილების მოკვლაში.

სასამართლომ სცნო, რომ მკვლელობა ჩადენილია წინასწარ განზრახვით და ანჩაბაძეს მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში, რომ ანჩაბაძე არასდროს არ ყოფილა მიცემული პასუხისგებაში, დაადგინა: სთხოვოს აფხაზეთის ცაკს სასჯელი შეუცვალოს ათი წლის ციხით. ქვანიას და ემუხვარს მიუსაჯეს 8 წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით. არნაუტი, ვინაიდან მისი მონაწილეობა მკვლელობაში არ დამტკიცდა გაამართლეს.

აზერბეიჯანი

ნიაღვარი.

ბაქო, 3 ივლისი. 2 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ძლიერი ნიაღვარის შემდეგ მთიდან გადმოხეთქა ძლიერმა წყალმა და 409 ვერსზე დაფარა გზა 200 საჟენამდე. წყალი მატულობს.

ბაქოს გარეუბნების ელექტრო-გზები.

ბაქო, 2 ივლისი. წლის დასასრულს განზრახულია ბაქოს გარეუბნების ელექტრო-გზის დამთავრება. ამისთვის საჭიროა 32 ვერსი რკ.-გზის გადაყვანა, სადგურის აშენება, რონოდების პარკის მოწყობა და სხვა. ამ მხრივ უკვე სწარმოებს ენერგიული მუშაობა.

მთელი გზის გაყვანა და სადგურების აგება დამთავრებულ იქნება ოქტომბერში. თუ მოძრავი შემადგენლობა თავის დროზე იქნა მიღებული, გზის დაუყოვნებლივ გახსნას წინ არაფერი დაუდგება. ყოველ შემთხვევაში წლის ბოლოს ნავარაუდევია ბაქო საბუნჩის მიმოსვლის გახსნა და შეიძლება სურახანისაც. ელექტრომატარებლების სისწრაფე საათში იქნება 60 ვერსი.

საფრანგეთ-ბელგიის მუშათა დელეგაცია ბაქოში

ბაქო, 4 ივლისი. სადგურზე შეხვედრის შემდეგ საფრანგეთ ბელგიის მუშათა დელეგაცია შეუდგა ბაქოს დათვალიერებას.

პირველად დელეგაცია გაემგზავრა ბიბი-ებათის სამრეწველო რაიონში, სადაც ეცნობოდა ჭების ბურღის საშუალებებსა და მათ ექსპლოატაციას. დელეგატები დაინტერესდნენ ნავთის ამოღებით, რის შესახებ ინჟინერებს მისცეს მთელი რიგი შეკითხვები.

ბიბი-ეიბათის რაიონიდან დელეგაცია გაემგზავრა თეთრ ქალაქში, სადაც დაათვალიერა მთელი რიგი ქარხნებისა. ნავთ-მხდელ ქარხნების პირველ ჯგუფთან დელეგატებს ანახვეს სამრეწველო რაიონის მეხანძრეთა მუშაობა. დელეგაცია გაკვირვებული დარჩა მეხანძრეთა სწრაფი მუშაობით.

ქალაქში დაბრუნებისას დელეგაცია, დაინტერესდა რა მკვლელობის დაწვრილებით გაგებით, დაათვალიერა დაღუპულ 26 კომუნარის ძეგლი. საღამოს დელეგაცია ესტუმრა ბაქოს მუშათა თეატრს.

რემედასი აფხაზეთში

აფხაზეთში რემედასი დაარსდა 1924 წ. 20 მარტს. უნდა ითქვას, რომ პირველ ხანებში რემედას-ის მუშაობის საქმე ვერ იყო სასურველ დონეზე დაყენებული. გასული წლის პირველი ნოემბრიდან იწყება მისი მუშაობის საგრძნობლად გამოცოცხლება, რაშიაც დიდი ღვაწლი მიუძღვის აფხაზეთის რემედას-ის საოლქო კომიტეტს. მიზეზი იმისა, რომ გასულ წელს ნოემბრამდე მუშაობა ვერ იდგა თავის სიმაღლეზე არის ის, რომ გლეხობა ვერ ერკვეოდა რემედას-ის მიზნებში. მიუხედავათ ამისა აფხაზეთში 1924 წ. 15 ნოემბ. ოლქის მაშტაბით ირიცხებოდა.

ა) 33 უჯრედი—1,800 წევრებით.

1. ქალაქის უჯრედი—23.
2. სოფლის „ —10.

ბ) აქედან მოსამსახურეები 65 პროც. გლეხობა 30 პროც. მუშები 5 პროც.

ამავე წელს 10 მაისს საოლქო კომიტეტმა რემედას-ის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის სალაროში გადაგზავნა ოთხასი მანეთი.

აფხაზეთის რემედასის საოლქო კომიტეტი ხედავდა, რომ მუშაობა ვერ იდგა თავის სიმაღლეზე. ამისათვის ის შეეცადა გლეხობაში გაევრცელებია ცნობები რემედასის [illegible] შესახებ; ამას მოჰყვა დადებითი შედეგი. გლეხობა დღეს გაფაციცებით ადევნებს თვალყურს მის მუშაობას და ყოველგვარი [illegible].

1924 წ. 15 ნოემბ. ის აქტიურ მონაწილეობას იღებს მის მუშაობაში. ამიტომ ეს ორგანიზაცია ახლა დღითი დღე იზრდება, მტკიცდება და იკრებს აქტიურ მშრომელთა მასებს.

1924 წ. 15 ნოემბ. თუ 33 უჯრედი იყო, 1925 წ. 10 ივნისს არის 91 უჯრედი—3657 წევრებით. აქედან 1) მუშები—25 პროც. 2) გლეხობა—30 პროც. 3) მოსამსახურეები—45 პროც.

აფხაზეთში მოწყობილია 14 რემედას-ის კუთხე. ამ წ. აფხაზეთის რემედას-ის კომიტეტმა ცენტრალურ კომიტეტის სალაროში გადაგზავნა: ორი ათასს შვიდასს ორმოცი და ათი მანეთი.

აქაური რემედას-ის უჯრედებში, რომ უფრო ინტენსიურად წავიდეს მუშაობა საჭიროა უფრო მეტი ბროშურები, რომელსაც მოველით საქ. ცენტ. რემ. კომიტეტისაგან.

ლეგოგინელი.

ართვინში

(ჩვენი ბათომელი კორესპონდენტისაგან)

ართვინის საბჭოთა საკონსულოსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის მეტად მეგობრული ხასიათის ურთიერთობა არსებობს. ადგილობრივი ხელისუფლება საკონსულოს წარმომადგენლებს ფართო დახმარებას უწევს ყველა საკითხებში.

ამას წინად ბათომში მოკლე ხნით ჩამოვიდა ართვინის ვალი (გუბერნატორი). ვალისთან ერთად ბათომში ჩამოვიდა საბჭოთა კონსულიც ართვინიდან.

ახალი ოსმალეთი ნელ-ნელა იწყებს თავისი მეურნეობის აღდგენას. იქ დიდი მოთხოვნილებაა სამშენებლო მასალებზე, უმთავრესად ცემენტზე, რომელიც ყველაზე უფრო მეტი გააქვს საბჭოთა კავშირს ოსმალეთში.

ახლო მომავალში საქონლის გასაღების პირობების გამორკვევის შემდეგ, იქ გაგზავნილი იქნება დიდი რაოდენობით ნავთი, მანუფაქტურა და სხვ. საბჭოთა საქონელი.

ბ.

პარტიული ცხოვრება

2000 კომკავშირელი სოფლად სამუშაოდ.

მოსკოვი, 4 ივლისი. რ. ლ. ა. კ. კ. ც. კ. დაადგინა გაგზავნოს ქალაქებიდან და სამრეწველო ცენტრებიდგან 2000 კომკავშირელი სოფლად მუდმივ სამუშაოზე. ყველა გაგზავნილი ამხანაგები გამოყენებულ იქნებიან კომკავშირის სათემო კომიტეტის ინსტრუქტორებად.

გაგზავნა მომუშავეებისა უნდა დამთავრებულ იქნას ა—წ. ოქტომბრისათვის.

მოსკოველი კომკავშირ. სტუმრად ხეველებთან

კომკავშირელები ხევში თითქმის ორასამდე არიან. მუშაობა მიმდინარეობს კარგათ, მაგრამ არის დაბრკოლებები, რომლებიც თავიდან უნდა აიშოროს ახალგაზრდა ორგანიზაციამ.

არ აქვთ საკმაო პოლიტიკური ლიტერატურა და აგრეთვე ვერ ღებულობენ საკმაო გაზეთს. ხევს ამას წინათ ეწვია მოსკოვიდან კომკავშირლები. ჩამოსულ სტუმრებს ადგილობრივმა კომკავშირლებმა გაუმართეს საღამო. მიესალმნენ ერთმანეთს წაუკითხეს მოხსენებები სხვადასხვა თემაზე და გააცნეს თავიანთი მუშაობა. ჩამოსულმა სტუმრებმა აჩუქეს თავის მასპინძლებს უხვად ლიტერატურა, პლაკატები და დაბეჭდილი ლოზუნგები. ამ საღამომ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

ვალიკო.

ა. ლ. კ. კ. ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი

ა. ლ. კ. კ. ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი სრულ უმოქმედობას იჩენს. ის არ აწარმოებს აღმზრდელობითი მუშაობას კომკავშირელებსა და უპარტიო ახალგაზრდობას შორის.

ეს გარემოება აიხსნება უმთავრესად იმით, რომ მაზრკომის პ. მ. მდივანი მოკლებულია სათანადო მომზადებას. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს ა. ლ. კ. კ. ცკამ და მიიღოს შესაფერი ზომები.

ახკორი ზუგდიდელი.

სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებანი სოფლად

(ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენება საბავშვო ბაღების ხელმძღვანელთა კონფერენციაზე)

ამ ბოლო ხანებში სოფელი ეკონომიურად ძალიან წინ წავიდა, მაგრამ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში ამ ეკონომიურ წინსვლას თან სდევს სოფლის მოსახლეობის დაყოფა სხვადასხვა კლასობრივ ფენებად, კლასობრივი ექსპლოატაციის განვითარება სოფელში და კლასობრივი ბრძოლის გამწვავება. ამასთანავეა დაკავშირებული სოფლად ერთმანეთთან მებრძოლ კლასების პოლიტიკური აქტიურობის განვითარება.

საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო ყველაფერი, რაც წინ ეღობებოდა სოფლის მეურნეობის თავისუფალ განვითარებას. საბჭოთა ხელისუფლების წყალობით აღძრათ მშრომელ მასებს წყურვილი, კულტურისა ცოდნისა, დაწყებული წერა-კითხვის შესწავლით და გათავებული ტრაქტორით და ელექტროფიკაციით.

პროლეტარიატი კომუნისტური პარტიის სახით ებრძვის თანამედროვე სოფლის ბურჟუაზიას, რომელიც ცდილობს, სოფლის აქტივობის ზრდა თავის კლასობრივი მიზნებისათვის გამოიყენოს, ხელთ იგდოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა სოფლად, ყოველგვარად შეუშალოს ხელი საბჭოთა აღმშენებლობას. პარტია და საბჭოთა ხელისუფლება თავის მიზნად ისახავს სოფლის აქტივობა საბჭოთა აღმშენებლობის გზით წაიყვანოს და ამით საშუალება მისცეს მუშათა კლასს, კომუნისტური ხელმძღვანელობა გაუწიოს სოფლის ლატაკს და საშუალო შეძლების მოსახლეობას.

კომუნისტურ პარტიას სწამს, რომ ამჟამად მისი მუშაობის ძირითად ფრონტს სოფელი წარმოადგენს.

კომუნისტურ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგი „პირი სოფლისაკენ" საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატს გადაუდებელ ამოცანად უსახავს, რომ მან უფრო ღრმად და ფართოდ აწარმოოს სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა.

ამ ამოცანის პრაქტიკულად განხორციელება ჩვენი გლეხობის ბავშვთა სკოლის ასაკამდე აღზრდასაც უნდა შეეხოს.

გეგმაშეწონილი მუშაობა სკოლის ასაკამდე აღზრდის შესაქმნელად დღემდე იქითკენ იყო მიმართული, რომ ქალაქებში, უმთავრესად მუშურ ცენტრებში, გაეხსნათ ამგვარი დაწესებულებანი, მაგრამ სოფლის ბავშვებს, რომლებიც ინდივიდუალისტური გლეხურ მეურნეობის პირობებში იზრდებიან, რომლებზეც დიდ გავლენას ახდენს ძველი ცხოვრების სხვადასხვაგვარი ნაშთი. ამ ბავშვებს უფრო მეტად ესაჭიროებათ კოლექტიური აღზრდა საბავშვო ბაღებში, კერებში, სახლეში და სხვა, ვიდრე ქალაქელს ბავშვებს; ამიტომ სახალხო განათლების კომისარიატის ამოცანა არის, რომ უახლოეს წლების განმავლობაში, ამ წლიდან დაწყებული, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გახსნას სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებანი.

ის 23 საბავშვო ბაღ-მოედანი, რომელიც ახლა იხსნება, უნდა გადაიქცეს ბავშვთა კომუნისტურად აღზრდის სამაგალითო კერად და სწორედ მათი სახით ახალ-ახალი ბაღები და მოედნები უნდა გაიხსნას ადგილებზე სოფლის აქტივის თაოსნობით და ძალღონით.

საბჭოთა სახელმწიფოს სჭირდება ჯანმრთელი ორგანიზმის, ჯანმრთელი აზრების და გრძნობების მქონე მოქალაქენი, მოქალაქენი, რომელნიც კოლექტივიზმით იქნებიან გაჟღენთილნი, რომელნიც შეძლებენ აქტიურობისა და თვითმოქმედიანობის გამოჩენას საზოგადოებრივ მუშაობაში.

ძნელია ამ მიზნის მიღწევა, თუ სკოლის ასაკამდე აღზრდა არ დავეხმარა. მხოლოდ მაშინ შევძლებთ ჩვენ სასურველი მოქალაქის შექმნას, თუ ბავშვობიდანვე ჯეროვან მიმართულებას მივცემთ მის აღზრდას, თუ მას საზოგადოებრივ დაწესებულებაში აღვზრდით თაობიდანვე, მივაჩვევთ საერთო ძალღონით, კოლექტიურად შრომას, საქმის კეთებას, თუ მასში გავაღვივებთ ამხანაგურ გრძნობას, ჩავუნერგავთ საერთო საქმის სურვილს. ყოველივე ამით ჩვენ საიმედო საძირკველს ჩავუყრით და ამას შედეგიც ჯეროვანი მოჰყვება.

სკოლის ასაკამდე აღზრდის საქმის სოფლად წესიერი მოწყობა ძალიან დიდ როლს შეასრულებს იმ მხრივაც, რომ ის შეუცვლის აზრებს და ჩვეულებებს თანამედროვე სოფლის მოზრდილ მოსახლეობას, შეაყვარებს მათ კოლექტიურ ყოფა-ცხოვრებას, თავს მოუყრის და შეაკავშირებს მათ საბავშვო ბაღების, კერების და სახლების ირგვლივ, სადაც აღმზრდელები მათ შვილებს ერთნაირის მზრუნველობით ეპყრობიან, სადაც მათი შვილები ერთნაირ პირობებში იზრდებიან.

მუშათა მოძრაობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მშრომელი ქალების მოძრაობას; ქალთა მოძრაობა არ შემოიფარგლება ქალის განთავისუფლებით, მისი პოლიტიკური შეგნების და საერთო განვითარების გაზრდით—თავისუფალი და შეგნებული დედა ძალიან დიდ როლს შეასრულებს ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეშიც.

სოფლად მუშაობის ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დარგია სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა მოწყობა. ეს დაწესებულებანი ათავისუფლებენ გლეხ-ქალს ბავშვზე ზრუნვისაგან და მას საშუალება ეძლევა, რომ საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაებას. გარდა ამისა, როდესაც გლეხის ოჯახს აღარ დააწვება პატარა ბავშვებზე ზრუნვა, აქ დროს ის რაიმე საქმეს მოახმარს და ამრიგად გაიზრდება შრომის ნაყოფიერება.

სოფლად სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა გახსნით უნდა [illegible] გლეხის ბავშვები, [illegible] და შევაჩვიოთ მათ, მათი [illegible] მშობლებსაც, ჰიგიენის ელემენტარულ [illegible].

საპონი, მაკრატელი, პირსახოცი—აი ის აუცილებელი ნივთები, რაც თან მიაქვს სოფლად მიმავალ სკოლის ასაკამდე აღზრდის ხელმძღვანელ ქალს. რა უნდა მოითხოვოს პირველ წლებში ხელმძღვანელმა ქალმა ბავშვებისაგან.—აი რა: ბავშვმა ყოველ საღამოს უნდა დაიბანოს ფეხები დაწოლის წინ, თუნდაც ფეხშიშველი დადიოდეს, ფეხები სუფთა უნდა ჰქონდეს; ჩაცმული უნდა იყოს სუფთად, თავი ჭუჭყიანი არ ჰქონდეს. ხელმძღვანელი დასჭრის მას ფრჩხილებს და დაბანს კიდეც. თან დაჟინებით და სისტემატიურად იმუშავებს, რომ ყოველიკე ამას შეაჩვიოს ბავშვები. თუ მასწავლებელმა შესძლო და სოფლის ბავშვებს შეაყვარა სისუფთავე, პირის, ფეხის და თავის ბანა და სხვა ასეთები,—ამით ის ძალიან კულტურულ საქმეს გააკეთებს.

საბჭოთა ხელისუფლების გადაუდებელ მორიგ ამოცანას ეკონომიურ დარგში კოოპერაციის გაძლიერება წარმოადგენს, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სოფლისა და ქალაქის დაკავშირება. ყველა მშრომელი, გამოუკლებლივ, უნდა გაერთიანდეს კოოპერაციაში.

დიდ კულტურულ მუშაობას წარმოადგენს კოოპერაციაში გაერთიანების ფართო პროპაგანდა, და სკოლის ასაკამდე აღზრდის ხელმძღვანელი ქალის საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმას სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს. მშობლებთან და საერთოდ გარშემო მყოფებთან მუშაობის მეოხებით, თუნდაც ბავშვთა კვების და აბანოების საქმის მოგვარების ნიადაგზე, ამ მხრივ ბევრი რამის გაკეთებაა შესაძლო.

დღემდე ფსიქოლოგია და პედაგოგიკა აკვირდებოდა და სწავლობდა შეძლებული მშობლების შვილებს, ბურჟუაზიული წრის შვილებს და თავისი დასკვნები აქედან გამოჰყავდა. პროლეტარის შვილების ფსიქოლოგია და მით უმეტეს გლეხების შვილების ჯერ სრულიად არ არის შესწავლილი. ამის გამო და აგრეთვე იმიტომაც რომ ჩვენ ჯერ სრულიად არა გვაქვს გამოცდილება სკოლის ასაკამდე აღზრდის საქმეში ფრიად დიდ ამოცანად უნდა ჩაითვალოს ბავშვებთან მუშაობის აღრიცხვა.

აუცილებლად საჭიროა რომ იმათ, რომელნიც სოფლად მიდიან ახლა, რომ სკოლის ასაკამდე აღზრდის საქმეს გაუძღვენ, კარგად ახსოვდეთ, რა დიდი შრომის გაწევაა საჭირო, რომ საბავშვო ბაღის საერთო და ინდივიდუალური დღიურები აწარმოონ, საჭიროთ ახსოვდეთ, რომ აუცილებლად საჭიროა განუწყვეტელი კავშირი ერთმანეთთან, საკუთარი გამოცდილების, ეჭვების და დასკვნების გაზიარება ერთი-მეორესთან. ყოველივე ეს დაგვეხმარება, რომ შევისწავლოთ თანამედროვე ბავშვი და, მამასადამე, წესიერ კალაპოტში ჩავაყენოთ ჩვენი შემდგომი მუშაობა ჩვენი ბავშვების აღზრდისა და განათლების დარგში.

სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა მოწყობა და მათი წესიერი განვითარება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლო, თუ ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სოფლად არსებული ყველა საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

აქედან ცხადია, რომ სკოლის ასაკამდე აღზრდის ხელმძღვანელი ქალი ძალიან მჭიდროთ უნდა დაუკავშირდეს ადგილობრივ ხელისუფლებას, ახალგ. კომკავშირს ან დელეგატ გლეხის ქალებს, რომლებმაც დიდი დახმარება უნდა აღმოუჩინონ საბავშვო დაწესებულებათა წესიერად მოწყობის საქმეს.

ახალგაზრდობა, საქმისა და ბავშვის სიყვარული და ის აღფრთოვანება, ენთუზიაზმი, რომლითაც არიან აღსავსენი სოფლად სამუშაოდ მიმავალი ხელმძღვანელი ქალები ყოველიკე ეს არის იმის თავდები, რომ ამ დიდ და სოფლისათვის ახალ საქმეს ჩვენ წესიერად დავიწყებთ და ჩავატარებთ კიდეც, ვინაიდან ეჭვს გარეშეა, რომ ამ საქმეში ყოველგვარ დახმარებას აღმოგვიჩენენ საბჭოთა და პარტიული ყველა ორგანოები.

საერთო საქალაქო კრება მუშათა ცენტრალურ კლუბში

გუშინ საღამოს მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა საერთო საქალაქო კრება კოოპერაციის დღის აღსანიშნავად. მოხსენება გააკეთა ამხ. ლუკაშინმა

კოოპერაციის ამოცანების შესახებ.

თავის მოხსენების შესავალში ამხ. ლუკაშინი ჩერდება კოოპერაციის საერთაშორისო დღის მნიშვნელობაზე. შემდეგ, ახასიათებს რა კოოპერატიულ მოძრაობას დასავლეთ ევროპაში, აუდიტორიას აცნობს იმ ამოცანებს, რომელსაც კოოპერატიული მოძრაობა ისახავს საბჭოთა საკავშირო რესპუბლიკებში, სადაც კოოპერაცია ხდება სახალხო მეურნეობის ერთი მთავარი ფაქტორთაგანი.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა, მომხსენებლის თქმით, კოოპერაციას სოფელში, სადაც მისი მოღვაწეობისთვის მრავალმხრივი ასპარეზია გადაშლილი.

სოფელი, რომელიც მოკლებულია მრავალ ისეთ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელნიც აერთიანებენ და წრთვნიან მუშათა ფართო მასებს, უმთავრესად უნდა დაემყაროს კოოპერაციას, რომელმაც უნდა შეასრულოს არა მარტო სავაჭრო სამეურნეო ფუნქციები არამედ პოლიტიკურად და საზოგადოებრივ-სოციალ-კულტურად აღზარდოს სოფლის მოსახლეობა.

კოოპერაციის საშუალებით გლეხობა უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ კაპიტალისტურ მეურნეობას სჯობია სოციალისტური მეურნეობა და წყობილება.

გლეხობა, რომელიც თავისი მეურნეობით და ფსიქოლოგიით წვრილი მესაკუთრეა და ძნელად ეგუება კოლექტიურ მეურნეობას, უნდა შეიგნოს, რომ მისი ერთად-ერთი დამხმარე მხოლოდ კულაკურ მეურნეობასთან ბრძოლაში არის კოოპერაცია, რომელიც არის ერთად-ერთი საშუალება გლეხობის და ქალაქის მუშების არა მარტო ეკონომიური დაკავშირების, არამედ იგი არის აგრეთვე პროლეტარული იდეოლოგიის გამტარებელი გლეხთა ფართო მასებში.

შემდეგ მომხსენებელი, ეხება რა საერთაშორისო მდგომარეობას, ამბობს, რომ ევროპის დღევანდელ პოლიტიკურ და სამეურნეო სტაბილიზაციას ჩვენ უნდა დაუპირდაპიროთ საბჭოთა კავშირის სტაბილიზაცია, რომელიც უნდა დაემყაროს ჩვენი სახალხო მეურნეობის თანდათანობით ზრდას და სიმტკიცეს.

ამ მხრივ კოოპერაციას უნდა დაეთმოს ერთი პირველი ადგილთაგანი საბჭოთა ქვეყნების საერთო განვითარების საქმეში. კოოპერაცია ღირსეულად შეასრულებს თავის დანიშნულებას მუშურ გლეხურ სახელმწიფოს წინაშე, თუ იგი გადაიქცევა ნამდვილად საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც დაეყრდნობა მშრომელი ფართო მასების თვითმოქმედებას.

რეზოლიუცია

მოხსენების მიხედვით კრებამ ღებულობს რეზოლიუციას, სადაც იგი სალამს უძღვნის საერთაშორისო რევოლიუციისთვის მებრძოლებს და ამასთანავე იძლევა აღთქმას, რომ კოოპერაციის დროშის ქვეშ დარაზმული ხელი შეუწყოს კოოპერაციის შესახებ მე-13 პარტყრილობის და მე-14 პარტკონფერენციის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას.

ამიერ-კავკასიის და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ორი წლის თავი

ორმა წელმა განვლო იმ ისტორიულ დღიდან, როდესაც ყველა სოც. საბჭ. რესპუბლიკების წარმომადგენელთა სრულუფლებიანმა ყრილობამ მიიღო საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია.

ამ დღიდან საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა, დიდი სახელმწიფოს—კომუნის საძირკვლის ჩაყრის ხანა, ნამგლის და ჩაქუჩის ქვეყნის მცხოვრებ ყველა ხალხთა საერთო ძალ ღონით და მეგობრული თანამშრომლობით.

ოქტომბრის რევოლიუციამ განახორციელა მარქსის და ენგელსის „კომუნისტურ მანიფესტში" მსოფლიო პროლეტარიატისათვის დაპირებული დიადი აღთქმანი.

ბურჟუაზიული წესწყობილება დამხობილი იქნა, ყოფილ რუსეთის იმპერიის მშრომელებმა ხელში ჩაიგდეს ძალა-უფლება და გამოაცხადეს პროლეტარიატის დიქტატურა.

საბჭოთა მეოთხე ყრილობამ ფორმა მისცა ამ დიქტატურას და მშრომელთა ძალა-უფლებას დაუდო მტკიცე და გარკვეული საფუძველი—სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუცია, პირველ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ძირითადი კანონები

ერთ-ერთ მთავარ და ყველაზე რთულ კონსტიტუციონურ საკითხს, რომელიც მოითხოვდა გადაჭრას და დაუყოვნებლივ განხორციელებას, წარმოადგენდა ეროვნული საკითხი.

პოლიტიკურ და ეკონომიურ ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ სხვა და სხვა ტომის მშრომელთა მასების წინაშე დაისვა საკითხი დამოუკიდებელ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცხოვრების, ისეთსავე დამოუკიდებელ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთობის, ბურჟუაზიულ გარემოცვის პირობებში პოლიტიკურ და სამეურნეო მშენებლობის საქმეში გაერთიანებული მუშაობის ფორმების შესახებ.

ამ საკითხების გადაჭრის მთავარ პირობას შეადგენდა ყველაზე უფრო სწორი გზების არჩევა მუშათა და გლეხთა დიქტატურის საბოლოო მიზნების განხორციელებისაკენ სხვადასხვა ხალხთა დამოუკიდებელ და თავისუფალ ეროვნულ-კულტურულ და სახელმწიფოებრივ ცხოვრების დროს.

ამ საკითხის გადაჭრის დროს საბჭოთა რესპუბლიკების ყველა ხალხთა მშრომელებმა, კერძოდ ამიერ-კავკასიის მუშებმა და გლეხებმა გამოიჩინეს ის სიბრძნე და სწორი ინსტინქტი რომელშიაც მტკიცედ იყვნენ დარწმუნებული ჩვენი დიდი ბელადები მარქსი და ლენინი.

ამიერ-კავკასიის გასაბჭოების პირველი დღიდანვე, ამიერ-კავკასიის ხალხთა გაერთიანების იდეა თავდაცვის მიზნით და სამეურნეო აღმშენებლობის ინტერესებისათვის, გახდა ყველაზე პოპულიარულ იდეათ და ამიერ-კავკასია ჯერ კიდევ 1922 წლის დასაწყისში დაადგა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის ფართო გზას ამიერ-კავკასიის მასშტაბით. ასეთ გაერთიანებას მოითხოვდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები, მათი საერთო კლიმატიური და ბუნებრივი პირობები. მათი საერთო სამეურნეო სისტემა და თავისებურებანი.

ამავე დროს სრული დამოუკიდებლობა ეროვნულ სახელმწიფოებრივ მშენებლობაში და მართვა-გამგეობაში მიეცა არა მარტო სამ მთავარ რესპუბლიკას საქართველოს, აზერბეიჯანს და სომხეთს, არამედ აფხაზეთს, აჭარისტანის, სამხრეთ ოსეთის, ნახიჩევანის მხარის და მთიან ყარაბახის ხალხებსაც.

შემდეგ, ფართო ეკონომიურ მშენებლობის დროს, ეკონომიური პოლიტიკის, სამეურნეო სისტემის და სახელმწიფოებრივ ინტერესების მთლიანობამ საერთო სოციალურ წყობილების ნიადაგზე ეროვნულ საბჭოთა რესპუბლიკებსა და საბჭოთა რუსეთის შორის გამოიწვია აუცილებელი ფაქტიური ურთიერთობა და ხელშეკრულებების დადება მართვა-გამგეობის სხვადასხვა დარგებში. ამ ნიადაგზე თანდათან მომწიფდა უფრო ფართო გაერთიანების, ყველა საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა კავშირის იდეა.

ძლიერ პოლიტიკურ და ეკონომიურ კავშირში ამგვარი გაერთიანება ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა ამიერ-კავკასიას როგორც თავისი გეოგრაფიულ, პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობის, ისე მუშურ-გლეხურ რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობის მიხედვით.

ჯერ კიდევ საბჭოთა მესამე ყრილობამ, აღარა რა საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის იდეა, წინადადება მისცა საბჭოთა ქვეყნების ყველა ეროვნებათა მშრომელებს გამოეაშკარავებიათ თავისი დამოკიდებულება ამ ახალ საბჭოთა სახელმწიფოებრივ ფორმისადმი. ფედერაციის პრინციპები იმდენად შეეფერებოდა საბჭოთა რესპუბლიკების ინტერესებს და ცხოვრების მოთხოვნილებებს, რომ ყველა ხალხთა მშრომელებმა მტკიცეთ და გადაჭრით გადასწყვიტეს: ვრჩებით რა თავისუფალი საკუთარ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და ეროვნულ კულტურის მხრივ, პროლეტარიატის საბოლოო მიზნების უფრო ჩქარა მიღწევის მიზნით, შევდივართ სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირში. და აი 1923 წლის 6 ივლისის კონსტიტუციამ [illegible] და ჩამოაყალიბა ამიერ-კავკასიის ხალხთა განზრახული და განხორციელების გზაზე დამდგარი პოლიტიკური და ეკონომიური კავშირი დიად ოქტომბრის ქვეყნების ყველა მშრომელებთან.

ამ კონსტიტუციით სწყდება ამიერ-კავკასიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის ყველა მთავარი საკითხები, რაც წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინების საწინდარს.

მოსპობილია ყველა ზღუდეები, რომელიც ამიერ-კავკასიის ხალხთა ეროვნულ-კულტურულ განვითარებას დაუყენეს არა მარტო მეფის მოხელეებმა, არამედ მენშევიკურ საქართველოს, მუსავატისტურ აზერბეიჯანის და დაშნაკურ სომხეთის „დემოკრატიულმა" მთავრობებმა.

არაფერს ვიტყვით ამიერ-კავკასიის ხალხთა ნახევრად-მონურ მდგომარეობაზე მეფის სატრაპების დროს, რომელნიც თავის ძალა-უფლების და მართვა-გამგეობის სისტემას ამყარებდენ ხელოვნურად გაღვივებულ ერთაშორის შუღლზე, რაც აშკარა ხოცვა-ჟლეტამდე მიდიოდა, ჩვენ აქ ერთხელ კიდევ ვამტკიცებთ, რომ „დემოკრატიის" გმირები არ ამოჩნდენ უკეთესები თავიანთ წინამორბედებზე.

განა საჭიროა შევჩერდეთ მაუზერის და ხანჯლის გმირების ბატონობის ხანის საშინელებაზე.

სომეხ-ქართველთა ომი, აზერბეიჯან-სომხეთის ომი, საქართველო-აზერბეიჯანის კინკლაობა, დუშეთის და სამხრეთ-ოსეთის დარბევა, დაუსრულებელი ურთიერთშორის ხოცვა-ჟლეტა,—აი ეროვნული საკითხის გადაჭრის ფორმები, რომელიც „დემოკრატიამ" გაატარა იმ „სოციალისტურ" რესპუბლიკების არსებობის მოკლე პერიოდში, რომელთაც ხოტბა შეასხეს ყვითელი ინტერნაციონალის ბელადებმა. ხოლო შედეგად ამისა იყო: მშრომელთა დაღვრილი სისხლის ნაკადი, ეროვნებათა შორის ომში ჩაბმულ გლეხობის განადგურება და მთელი ქვეყნის ეკონომიური გადაშენება.

1921 წლის აღწერა აზერბეიჯანში გვიხატავს მისი მდგომარეობის სამწუხარო სურათს ამ.-კავკასიის გასაბჭოების წინ. გაშენებულ უბნების რიცხვი 1917 წელს წარმოებულ ეროვნულ ხოცვა-ჟლეტისაგან განადგურებულ 9 ქალაქში უდრიდა 18.872-ს, ხოლო 1921 წელს—12.4 0, მცხოვრებთა რიცხვი იმავე ქალაქებში 1915 წლის ოფიციალური ცნობებით უდრიდა 200.537 კაცს, ხოლო 1921 წელს 86.338 კაცს, ისეთივე მდგომარეობა იყო სომხეთში და ნახიჩევანის მხარეში. დღემდის შენახული ნანგრევები ზოგიერთ-ადგილებში ნათელჰყოფს მოყვანილ ციფრების შემცირების მიზეზს და მოგვაგონებს მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატისტების სამარცხვინო პოლიტიკას.

რა შედეგი მოჰყვა „ბარბაროს"—ბოლშევიკების პოლიტიკას და ამიერკავკასიის ფედერაციის მშვიდობიან მშენებლობას.

საგაზეთო წერილში შეუძლებელია დავხატოთ თუნდაც დაახლოვებით სურათი ყველა მიღწევებისა და ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ მნიშვნელოვანს.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში შესვლის წყალობით ამიერ-კავკასიის მთავრობამ შეასრულა დიდი სამუშაო საფინანსო-საბიუჯეტო დარგში და შეუდგა გეგმიანობის განხორციელებას ამიერ-კავკასიის ეკონომიურ მშენებლობაში. ამიერ-კავკასიის კატასტროფიულად დაცემულ ფულის ნიშნებიდან ამიერკავკასიის ფედერატიული რესპუბლიკა გადავიდა მტკიცე საკავშირო ვალიუტაზე, მერყევ საბიუჯეტო გეგმიდან მტკიცე და რეალურ სახელმწიფოებრივ ბიუჯეტზე საერთო საკავშირო ბიუჯეტის შემადგენლობაში.

ამ მთავარ და დიდი მნიშვნელობის საკითხის გადაჭრა უნდა მივიჩნიოთ საბჭოთა სოც. რესპუბლიკების კავშირში ამიერკავკასიის შესვლის უმთავრეს შედეგად, ვინაიდან მტკიცე ვალიუტის და საბიუჯეტო გეგმის საკითხების გადაჭრით ადვილდება შემდეგი მუშაობა ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის აღსადგენად. განსაზღვრული სავაჭრო პოლიტიკის მტკიცედ გატარებით საკავშირო მასშტაბით, რომლის მიზანია სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის განმტკიცება, მოისპო საბაზრო ფასების ვაკხანალია, დაპყრობილია ბაზრის ხელმძღვანელი მწვერვალები და დაწესებულია კონტროლი კერძო კაპიტალის ბრუნვაზე და მოქმედებაზე.

ამიერკავკასიის მთავრობის მუშაობაში მშენებლობის საერთო საკავშირო გეგმის მიხედვით აღსანიშნავია სასოფლო-მეურნეობის აღდგენა, ელექტროფიკაცია, სამელიორაციო მუშაობა, კრედიტის და სახელმწიფო მრეწველობის საკითხები, და აგრეთვე ეროვნული და სოციალურ-კულტურულ ხასიათის საკითხები. ისეთი სამუშაოები, როგორც ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აშენება, შირაქის არხის გაყვანა, საალმდგენლო მუშაობა სომხეთის სპილენძის მაღაროებში სამელიორაციო სამუშაოები მუღანის ველზე, ქიათურის შავი ქვის კონცესსიის გაცემა, ტრანსპორტის აღდგენა და სხვა შეუძლებელი იქნებოდა საკავშირო ბიუჯეტის, საკავშირო სამეურნეო გეგმის გარეშე.

მეორეს მხრივ, ადგილობრივ დიფერენციალურ ბიუჯეტის შემოღებით, ამიერ კავკასიის გლეხთა მასები ჩაბმულნი არიან ფართო ეკონომიურ აღმშენებლობაში.

რაიონული მეურნეობა და რაიონული ბიუჯეტი, რომლის გარშემო გაერთიანდება მთელი გლეხობა, იქნება უკანასკნელისათვის სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის სკოლა. ამ გზით გლეხთათვის განსაზღვრულ ფინანსიურ უფლებათა უზრუნველყოფა წარმოშობს ნამდვილ გლეხურ თვითმართველობას და აძლევს საბჭოთა მართვა-გამგეობის ფორმას რეალურ შინაარსს.

ასეთია მოკლეთ ამიერ კავკასიის ფედერაციის ორი წლის არსებობის და მუშაობის უახლოესი შედეგები საკავშირო სახელმწიფოებრივ ცხოვრების პირობებში.

ნამდვილ მშრომელთა დემოკრატიზმის პრინციპი, რომელიც საფუძვლად დაედო საკავშირო კონსტიტუციას, საერთო საკავშირო და საკავშირო რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ საკითხების გადაჭრის ფორმები და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფა წარმოადგენს კავშირის კონსტიტუციის სიმტკიცის და სიცოცხლის უნარიანობის ნამდვილ გარანტიას.

ჩვენ საძირკველი ჩაუყარეთ მსოფლიო კომუნისტურ ოჯახის მომავალ შენობას და ამ შენობის ქვაკუთხედია 6 ივლისის კონსტიტუცია

საკავშირო სახელმწიფოებრივი ცხოვრების კალაპოტი ღრმა და ფართოა, მისი შენაკადები მჭიდროთაა დაკავშირებული მასთან და ვერც იმპერიალისტური მტაცებლები და ვერც ემიგრანტთა ფინიები ხელს ვერ შეუშლიან მის ზომიერ და დიად მდინარებას შრომის და მსოფლიო კომუნის სამეფოსაკენ.

ს. ხანთიანი.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მდგომარეობა

მიუხედავად ძლიერ მძიმე ფინანსიური მდგომარეობისა, საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციამ მიმდინარე სამეურნეო-საანგარიშო წლის განვლილ ცხრა თვის განმავლობაში მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია: დიდათ გაიზარდა როგორც ძირითადი კოოპერატიული ქსელი, ისე მასში შეკავშირებულ მოსახლეობის პროცენტი და მათი თვითმოქმედების და აქტივობის ხარისხ. ცეკავშირის სისტემაში შემავალ კოოპერატივების, მათი დუქნების და წევრთა რიცხვის მატება ოქტომბრის პირველიდან დღემდე გამოიხატება შემდეგში:

სამომხმარებლო სახის კოოპერატივები

იყო	ქ. საერ. ამოქ.			მუშკოოპები			სოფ. კოოპერ.			სულ		
	რიცხ.	დუქნ.	წევრ.	რიცხ.	დუქნ.	წევრ.	რიცხ.	დუქნ.	წევრ.	რიცხ.	დუქნ.	წევრებ
1924 წ. 1 ოქტ.	24	189	28.588	11	206	33.463	98	305	44.042	131	700	106.093
1925 წ. 1 იანვ.	27	204	34.048	11	253	36.070	103	343	48.528	141	800	118.646
1 აპრ.	27	221	41.696	11	276	48.877	109	349	50.138	147	846	140.711
1 ივნ.	27	225	42.408	11	295	41.440	109	374	62.455	147	894	146.303

როგორც ვხედავთ, სულ ცხრა თვის განმავლობაში კოოპერატივების რიცხვი 131-დან ავიდა 147-მდე, დუქნების რაოდენობა გაიზარდა 700-დან 894-მდე და წევრთა რიცხვი 106.093-დან 146.303-მდე. ამასთანავე იზრდება არა მარტო პროცენტი კოოპერაციაში გაერთიანებულ მოსახლეობისა, არამედ მათი თვითმოქმედებაც კოოპერატიულ საქმიანობაში: საპაიო გამოსაღები კოოპერატივის თვითეულ წევრზე საშუალოდ საქართველოში ოქტომბრის პირველისათვის უდრიდა 1 მან. 79 კ. ხოლო ამ ჟამად აღწევს 2 მან. ესე იგი საპაიო წევრზე გაზრდილა 21 კაპ, ხოლო კოოპერატივზე საპაიო თანხა 11.084 მანეთიდან ავიდა 1.845-დე ე. ი. მატება საპაიო თანხებისა გამოიხატება 70,20 პროცენტში. სულ კი ცეკავშირის სისტემაში შემავალ სამომხმარებლო სახის კოოპერატივების საპაიო თანხა ოქტომბრის 1-თვის უდრიდა 196,900 მან. ხოლო 1-ლი ივლისისათვის 290.000 მან. ე. ი. მისი მატება გამოიხატა 93.100 მან-ში, რაც თვალსაჩინო წარმატებათ უნდა ჩაითვალოს.

რაც შეეხება სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო-სამეურნეო ოპერაციებს უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ქვეყნის საშუალო თვიური საქონლის ბრუნვა მიმდინარე წლის თბილისის მუშკოოპის გამოკლებით [illegible] თვიური საქონლის ბრუნვა აღწევს 1 მილიონ 914 780 მან. რომელთაგანაც 25 პროც. სამსახური ეწევა თვით წევრებს, ხოლო დანარჩენ 65 პროც. გარეშე მოსახლეობას. ერთ-ერთი დამაბრკოლებელი მიზეზი, რომელიც დღეს ხელს უშლის სამომხმარებლო კოოპერაციას მეტის სიღრმით განავითაროს თავისი ოპერაციები არის საკუთარ საბრუნავ თანხების უქონლობა, რის გამო მისი მთელი ყურადღება ამ ჟამად ექცევა არა იმდენათ საქონლის ბრუნვის გადიდების საქმეს, არამედ კოოპერატიულ მეურნეობის ფინანსიური მდგომარეობის გაჯანსაღებას და სახალხო მეურნეობას და სახალხო მეურნეობაში უკვე დაკავებულ პოზიციების განმტკიცებას. ამ მიზნით საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია ამ ჟამად დაკვრითი წესით პრაქტიკულად ატარებს წევრთა მატერიალურ დაინტერესებას ნავაჭრზე პრემიების და პაიზე დივიდენდების დაწესებით, რაც თავდებია კოოპერაციაში ფართო მოსახლეობის მოზიდვის და საკუთარ საბრუნავ საშუალებათა შექმნისა. გარდა ამისა მიღებულია ყველა ზომები ხელისუფლების ბიუჯეტიდან სამომხმარებლო კოოპერაციისათვის საჭირო ფონდის გამოყოფის შესახებ, რაც ერთხელ და სამუდამოთ ფინანსიურად გამოაბრუნებს საქართველოს კოოპერატიულ მეურნეობას და განამტკიცებს და გააფართოვებს მის პოზიციებს კერძო კაპიტალთან ბრძოლაში.

ნ. ჯ.

საუბარი ამხ. მელნიჩანსკისთან

მოსკოვში გამგზავრების წინ სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა—ამხ. მელნიჩანსკიმ ჩვენს ბორჯომელ კორესპონდენტს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები და აზრი შემდეგი საკითხების შესახებ:

როგორი შთაბეჭდილება მიიღეთ თქვენ საქართველოში ყოფნის დროს?

— კავკასიამ საერთოდ, და კერძოთ საქართველომ, მომავალში საბჭოთა კავშირის ერთერთი ცენტრალური კურორტის როლი უნდა ითამაშონ; საქართველოს კურორტები მრავლათ მიიზიდავს დასასვენებლათ მშრომელებს ჩვენი კავშირის ყველა კუთხეებიდან.

საქართველოს მრეწველობას ამ ჟამათ, უმთავრესათ, ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მას მაინც დიდი მომავალი აქვს (შავი ქვა, მეღვინეობა, ქვანახშირი და სხვა).

როგორ უყურებთ თქვენ იაპონიის, ჩინეთის და ინდოეთის პროფორგანიზაციებს წარმომადგენელთა კონფერენციას, რომელსაც ბერლინში იწვევს ამსტერდამის ინტერნაციონალი.

— ამსტერდამს, რომელიც ბერლინში იწვევს აღმოსავლეთის პროფკავშირთა კონფერენციას, სურს თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს იქაური პროფესიონალური მოძრაობა და ამრიგად ახალი ღალატი ჩაიდინოს მუშათა კლასის მიმართ. ის სცდილობს ისეთივე ქაოსში გადააგდოს აღმოსავლეთი, როგორშიაც ჩააგდო ევროპა.

მაგრამ ამსტერდამი უეჭველათ დამარცხდება, რადგან აღმოსავლეთის მუშების პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა აიძულებს მათ უფრო რევოლიუციონური გზით იარონ.

ჩინეთის პროფკავშირები,—განაგრძობს ამხ. მელნიჩანსკი,—ჩვენი მეგობრებია; იაპონიის მოძრაობის ნაწილიც კავშირს ამყარებს ჩვენთან ჩვენ კი გავაფრთხილებთ ჩვენს აღმოსავლეთელ ამხანაგებს, რომ ისინი ერიდონ ცალკე კონფერენციებს. ჩვენ ვურჩევთ მათ, რომ მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ საერთაშორისო კონგრესზე. სადაც მათთან ერთად იქნებიან ყველა პროფესიონალური გაერთიანების წარმომადგენლები. ეს კონფერენცია, ვიმეორებ, არის ცდა თავისი გავლენის ქვეშ მოაქციონ აღმოსავლეთის რევოლიუციონური მოძრაობა და დაუმორჩილონ იგი ბურჟუაზიას.

რა მნიშვნელობას აძლევთ თქვენ ჩინეთის მუშების მიერ რუსეთის და ინგლისის პროფკავშირების წარმომადგენლების მიწვევას?

— რუსეთის და ინგლისის მუშათა შეერთებული დელეგაციის გამგზავრებას ჩინეთში იქაური მუშების მდგომარეობის გაცნობის მიზნით დიდი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობა ექნება. რუსეთის დელეგაცია,—ამბობს ამხ. მელნიჩანსკი,—გამოაშკარავებს აღმოსავლეთის მშრომელების ჩაგვრის სრულ სურათს, რომელიც შექმნა ინგლისის და ევროპის იმპერიალიზმმა.

აქამდი ინგლისის პროფმოძრაობის ხელმძღვანელებს შორისაც კი არიან ისეთი გულუბრყვილო ადამიანები, რომლებიც ვერ ხედავენ ჩინეთის მუშების საშინელ მდგომარეობას. ეს მგზავრობა დაანახვებს ყველას, თუ როგორ ყვლეფენ იმპერიალისტები ჩინეთის მუშებს.

მე დარწმუნებული ვარ,—დაამთავრა ამხ. მელნიჩანსკიმ,—რომ სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო და ინგლისის ტრედ-იუნიონების გენერალური საბჭო მხურვალეთ გამოეხმაურებიან ჩინეთის მუშების მოპატიჟებას.

გამოფენა კამოს სახელობის საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში

3 ივლისს ამხ. კამოს სახელობის ცენტრალურ საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში გაიხსნა ამავე სკოლის მოწაფეთა ნამუშევრების გამოფენა.

გამოფენას უჭირავს სამი კარგა მოზრდილი დარბაზი. ყველაზე საყურადღებო პირველი დარბაზია. აქ არის წარმოდგენილი ადგილობრივ მოწაფეთა ყოველგვარი ნამუშევარი. განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას რკინეულობისა და ფოლადეულობის ხელსაწყო იარაღები. უბრალოდ გამოჭედილ ჩაქუჩებსა და ნიჩაბებიდან თქვენ თვალწინ იშლება უფრო და უფრო ფაქიზი და რთული იარაღები. ბევრი მათგანი ისე სუფთად და საუცხოვოთ არის ნამუშევარი, რომ საზღვარ-გარეთ ფირმებიდან მოტანილსაც კი გაუწევს კონკურენციას.

ყველაზე რთულსა და საუკეთესოდ დაოსტატებულ ნამუშევარს წარმოადგენს სახარატო და რკინეულობის სარანდავი დაზგები. არც კი სჯერა მაყურებელს, რომ ასეთი რთული მანქანები მზადდებიან მოწაფეების ხელით.

დარბაზის მეორე ნაწილი უჭირავს ხის ავეჯეულობას. აქ არიან შკაფები, საგიდები, წიგნების თაროები და სხვა. ხის ნამუშევარს უფრო ნაკლები დახელოვნება ეტყობა, ვიდრე ლითონისას, მაგრამ მაინც სანაქებოა მოწაფეთა მოხერხებისა და გარჯილობისთვის.

ბევრ იარაღს ფასებიც აწერია ზედ, რაც შედარებით იაფად ეჩვენება კაცს.

მეორე ოთახში წარმოდგენილია მოწაფეთა და მასწავლებელთა მიერ შეგროვილი კოლექციები მინერალოგიის, მწერების და სხვა. განსაკუთრებით მდიდარია მინერალოგია. დანარჩენი ნაწილობრივ არის წარმოდგენილი და შემთხვევითი ხასიათს ატარებს.

მესამე ოთახი მხოლოდ გრაფიკულ ნამუშევარს შეიცავს, აქ არის დიაგრამები, სხვა და სხვა ხასიათის რუქები, უმთავრესად კავკასიისა. არის ნახატებიც, მაგრამ ერთობ პრიმიტიული ხასიათისა.

ასეთი გამოფენა უეჭველათ წამაქეზებელია მოწაფეებისათვის და საზოგადოებასაც საშუალება ეძლევა გაიცნოს, თუ რას აკეთებს და როგორ მოღვაწეობს ჩვენი ახალი თაობა.

პარიტეტული კონტრ-რევოლიუციის გასამართლება

15 ივლისს დაიწყება გასამართლება ანტისაბჭოთა პარტიების მოღვაწეებისა, რიცხვით 47 კაცის, რომლებმაც მოამზადეს და მონაწილეობა მიიღეს წარსული წლის აგვისტო-სექტემბრის ავანტიურაში.

კოოპერაცია და საბანკო კრედიტი

ჩვენი კოოპერაცია სარგებლობს ბანკების თანხებით, მაგრამ სარგებელი ბანკების მიერ გაცემულ სესხზე იმდენად დიდია, რომ თითქმის ყოველგვარი მნიშვნელობა ეკარგება კოოპერაციისთვის ბანკების კრედიტს. კოოპერაციას პირდაპირ წელში ღუნავს არა მარტო სესხად წამოღებული თანხების სარგებელი, არამედ სხვა ისეთი ხარჯებიც, რომელიც დაკავშირებულია ბანკიდან სესხის გამოტანასთან. თუ მივმართავთ ციფრებს, მივიღებთ მეტად დამაფიქრებელ სურათს. მაგ. ერთი ბანკათაგანი თამასუქების უბრალო ანგარიშის მიხედვით 3 თვის ვადიაში სესხისთვის იღებს 14 პროცენტთან სარგებელს, 4 თვიანი ვადისათვის 15 პროცენტს,—საშუალოდ 14,5 პროცენტს. ნამდვილად სესხის აღებასთან დაკავშირებული ხარჯები გაცილებით მეტია.

საქმე იმაშია, რომ თითქმის ყველა ბანკები, იშვიათი გამონაკლისით, თავის კლიენტებისგან მოითხოვენ აქციების სავალდებულო შეძენას. ხოლო აქციები კი უდრის დაახლოებით გამოთხოვილი სესხის ერთს მეხუთედს. უკანასკნელ ხანებში კი ბანკები მოითხოვდენ, რომ კოოპერატიულ ორგანიზაციებს სესხის ერთი მესამედი გაეტანათ აქციების სახით. დღეს-დღეობით კოოპერაცია, იხდის სარგებელს გამოთხოვილი სესხის მთელი ჯამისთვის, ნაღდად არ ღებულობს ხელში კოოპერაციისაგან უკეთეს შემთხვევაში 80 პროცენტს დანარჩენი 20 პროცენტი რჩება თვით ბანკში. პროცენტული დავალიანების განაკვეთებს ესაჭიროებათ კიდევ შესწორება, რის შემდეგაც ჩვენ მივიღებთ კრედიტის ნამდვილ ღირებულებას, ამ შესწორების შეტანით ჩვენ მივიღებთ შემდეგ ციფრებს: კრედიტის აქციებთან 1:5 შეფარდების დროს—18,1 პროცენტს, ხოლო 1:3-თან შეფარდების დროს 22 პროცენტს.

ამ ციფრებს კიდევ უნდა მიემატოს კომისია 0.25 პროცენტი.

ამის შემდეგ გასაკვირველი არ არის, თუ კოოპერაცია საბანკო სესხში ზარალობს. ცხადია, ასეთ პირობებში კოოპერაციას არ შეუძლია კრედიტით სარგებლობა.

უნდა შემცირდეს სესხის სარგებლობის პროცენტები და აგრეთვე ბანკებმა თავი უნდა დაანებონ თავისი აქციების კლიენტებზე სავალდებულო გასაღებას.

თუ რა მნიშვნელობა აქვს კოოპერაციისათვის საბანკო აქციების სავალდებულო წამოღებას, გვიჩვენებს ქვევით მოყვანილი ცხრილი:

ორგანიზაციის დასახელება	საკუთარი თანხა	სხვა ორგანიზაციების ბანკ. აქციები.
ცეკავშირი	26.000 მ.	64.000 მ.
ა|კ. სატ. მომმარ. კოოპერ.	47.000 „	46.000 „
აზერიტიფაკი	53.000 „	40.300 „
აიკოოპი	5.000 „	24.600 „
ნახიტატიფაკი	1.000 „	700 „
აბსოიუზი	17.000 „	36.000 „
ბაქსოიუზი	120.000 „	160.000 „
სულ	269.000 მან.	371.600 მან.

ამგვარად კოოპერაცია მონაწილეობს სხვა წარმოებებში თანხებით, რომელიც სჭარბობს მის საკუთარს კაპიტალს. ა|კ. კოოპერაციამ პირველ ივნისისათვის გადაიხადა ასეთი თანხები 1 მილიონი მანეთის რაოდენობით, ამავე დროს ამ თანხის 75 პროცენტი მიდის სხვადასხვა ბანკის მიერ თავზე მოხვეულ აქციების შესასყიდლად.

კოოპერაციის ინტერესები მოითხოვს გაუქმებულ იქნეს აქციების სავალდებულო გასაღება კოოპერაციაზე, ხოლო ბანკებმა თავისი საკრედიტო პროგრამის წარმატებითი შესრულებისათვის უმჯობესია გამონახონ სხვა რესურსები.

„აბრეშუმი“-ს შუამდგომლობა

საქართველოს მეაბრეშუმეთა კოოპერატიული საზოგადოება „აბრეშუმი“ სთხოვს რკინის გზის სამმართველოს მოახდინოს სასწრაფო განკარგულება, რათა აბრეშუმის ნედლი პარკი, როგორც მალალი საქონელი, ძლიერ მალე ფუჭდება (გამოჭრის პეპელა) და საჭიროა ამ თვის ივლისის დამლევამდე ყველა სადგურებზე ნედლი პარკის ტვირთი მიიღებოდეს რიგს გარეშე სასწრაფო და საფოსტო მატარებლებით გადასაგზავნათ. მიმღებ სადგურებზე კი ნედლი პარკის ტვირთი უნდა მიეცეს ადგილობრივ პარკის დამამზადებელ ეპოებს და „აბრეშუმი“-ს რწმუნებულებს რიგს გარეშე ხელწერილს ქვეშ.

კოოპერაციის საერთაშორისო დღე თბილისში

ახალი დროების მრავალ მიმზიდველ დღესასწაულებს შორის მშრომელი ხალხისთვის განსაკუთრებით მიმზიდველია—დღე საერთაშორისო კოოპერაციის.

საქართველოს კოოპერაცია წელს მეორეჯერ იხდის დღესასწაულს, მეორეჯერ გამოდის ყველა ქვეყნის კოოპერაციის მიერ მოწყობილ სადღესასწაულო ფერხულში. საქართველოს კოოპერაციას ამ დღესასწაულშიაც წინ მიუძღვის ჩვენი დედა ქალაქი თბილისი. თბილისი დღეს საქართველოს და ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ მოძრაობის ცენტრია, რომელიც ერთის მხრივ ხელმძღვანელობს ა|კ. რესპუბლიკების კოოპერატივთა საქმიანობას და მეორე მხრივ აკავშირებს მათ საერთაშორისო კოოპერაციასთან.

დღეს, თბილისი გადაქცეულია კოოპერატიული დღესასწაულის ასპარეზად. „ცეკავშირი“, „წარმოკავშირი“ მუშკოოპი და ა—კ. კოოპერატივთა კავშირი „ზაკსოიუზი“—არიან დღესასწაულის მეთაურნი.

კოოპერატივები გასცილებიან მაღაზიების დარაბებს და გამოსულან პირდაპირ ქუჩაში მოქალაქეების დასაპყრობად.

კოოპერატ. ცენტრები ერთმანეთს სჯობიან ქალაქის დაპყრობად გამართულ ბრძოლაში. საბრძოლველ იარაღებათ მათ აქვთ თავისი ჰაეროპლანები, ავტომობილები, რომელნიც ელვის სისწრაფით უვლიან მთელს ქალაქს და ჰფანტავენ ტყვიისმფრქვეველივით მშრომელთა სოლიდარობის და კოოპერატიული მთლიანობის ლოზუნგებს.

კოოპერატივებს ჰყავთ თავისი ქვეითი ჯარიც—ესენი არიან წითელი მეწვრიმალეები, რომელნიც დარბიან ერთ ქუჩიდან მეორე ქუჩაში და დაკლებულ ფასებში აწვდიან მოქალაქეებს ათასგვარ საწვრიმალო საგნებს თავისი მორთულობით და მოკაზმულობით ყურადღებას იპყრობენ კოოპერატიულ ცენტრების შენობები.

დიდ კოოპერატიულ მაღაზიების წინ გამოფენილია სხვადასხვა ასორტიმენტის საქონელი, რომელიც დღეს დაკლებულ ფასებში იყიდება ყველგან კოოპერატივებს გამოკრული აქვთ მოწოდებები, მასსების კოოპერატივებში დარაზმვის შესახებ.

მთელი კოოპერაცია ქალაქის ცენტრიდან დაწყებული გათავებული ჩუღურეთით დღეს გადაქცეულია ერთ მოწოდებად, რომელიც ყველას გასაგონად გაჰკივის: „საბჭოთა ქვეყნების მშრომელნო, შემოკრბით კოოპერაციის გარშემო ქონებრივი ჩაგვრის მოსასპობათ და სოციალიზმის დასამყარებლად“.

გ—ი.

სოფლის მეურნეობის დასახმარებლად

საქართველოს ეკონომიურმა საბჭომ მიისმინა რა საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი კონიუნქტურული მიმოხილვა, საჭიროდ სცნო გატარდეს ცხოვრებაში შემდეგი ღონისძიებანი:

1. დაევალოს სტატ. ცენტრ. სამმართველოს გამოარკვიოს სეტყვისაგან რაიონებისათვის მიყენებული ზარალის რაოდენობა და [illegible] მუშაობისა წარუდგინოს საგეგმო კომისიას ამა დადგენილების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში.

2. გასული ზამთრის უამინდობით დაზარალებული ხილის ბაღების და ვენახების აღდგენის მიზნით, მოეწყოს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ხილის და ვაზის სანერგეები, დაევალოს მიწათ-მოქმედების სახკომისარიატს შეადგინოს და წარუდგინოს საგეგმო კომისიას, ამა დადგენილების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში, სათანადო გეგმა და ხარჯთაღრიცხვა.

3. სააბრეშუმო საქმის ხელისშეწყობის მიზნით, დაევალოს:

ა) საზოგადოება „აბრეშუმ“-ს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ადგილობრივი ჯიშის თესლის დამზადების საქმეს.

ბ) მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს—თუთის სანერგეების მოწყობის საქმეს, რომლის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა წარუდგინოს საგეგმო კომისიას, ერთი თვის განმავლობაში ამა დადგენილების მიღების დღიდან.

4. სოფლად შემჩნეული პურეულის ნაკლებობის გამო, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გაჭირვებული რაიონების მოსახლეობის პურეულით დახმარების საქმეს; დაევალოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს გამოარკვიოს საჭირო პურეულის რაოდენობა, ხოლო ა. კ. შინავაჭრობის სახკომისარიატის საქართველოს რწმუნებულმა მიიღოს საჭირო ზომები დამშეულთა დასაკმაყოფილებლად.

5. დაევალოს ა. კ. შინავაჭრობის სახ. კომისარიატის საქართველოს რწმუნებულს შეადგინოს და წარუდგინოს საგეგმო კომისიას, ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების მიღებისა, სათანადო გეგმა ჩვენი მთავარი სას.-სამეურნეო ნაწარმოების დამზადება-რეალიზაციის საქმის უფრო რაციონალურად დაყენება-მოწყობის შესახებ.

6. ღვინის გასაღების კრიზისის შენელების მიზნით, რომელიც ნახევარ წელზე მეტია ფრიად უნუგეშო მდგომარეობაში აყენებს ჩვენს მევენახეობას: ა) დაევალოს საგეგმო კომისიას აღძრას სათანადო შუამდგომლობა საკავშირო ორგანოების წინაშე, რათა სასწრაფოდ დამტკიცდეს და განხორციელდეს, ღვინოზე აქციზის დაკლება და რკ. გზ. ტარიფის შემცირება, თანახმად საკავშირო საგეგმო კომისიის უკანასკნელი დადგენილებისა; ბ) დაევალოს ა. კ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის საქართველოს რწმუნებულს დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით, მიიღოს საჭირო საორგანიზაციო ზომები ჩვენი ღვინის გასაღების გასაუმჯობესებლად, სათანადო მოხსენების წარდგენით საგეგმო კომისიაში.

ორი სტაბილიზაცია*)

2. საბჭოთა სტაბილიზაცია

წინა წერილში ჩვენ შევჩერდით კაპიტალიზმის სტაბილიზაციაზე და აღვნიშნეთ, რომ მას აქვს დროებითი და ნაწილობრივი ხასიათი. კომუნისტურ ინტერნაციონალს არ სწამს კაპიტალისტური წესწყობილების ხანგრძლივობა, მით უმეტეს მისი მუდმივობა. კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობები, მათი თანდათანობითი გაღრმავება და გამწვავება შეურყევლათ მიაქანებს ბურჟუაზიულ კლასებს დამხობისაკენ.

ამ წერილში ჩვენ გვინდა შევეხოთ მეორე საკითხს, საკითხს საბჭოთა სტაბილიზაციის, საბჭოთა წესწყობილების გამაგრების შესახებ. დღეს მსოფლიოში პარალელურათ მიმდინარეობს ორი პროცესი: ერთის მხრივ სტაბილიზაცია კაპიტალიზმისა, მეორეს მხრივ კი სტაბილიზაცია პროლეტარიატის დიქტატურისა. თქმა არ უნდა, რომ არსებული წონასწორობა დიდ სახელმწიფოებს შორის და თანაარსებობა ერთმანეთის გვერდით სახელმწიფოს ბურჟუაზიული და პროლეტარული ფორმების არის დროებითი. ეს თანაარსებობა გახდა შესაძლებელი მხოლოდ რეალურ ძალთა განსაზღვრულ შეფარდების გამო. რომ საბჭოთა რეჟიმი არ იყოს ძლიერი, რომ ის არ იყოს დაკავშირებული მრავალ ათეულ მილიონ მშრომელებთან მტკიცე შემაერთებელი ძაფებით, იმპერიალისტური სახელმწიფოები ადვილად შესძლებდენ მის დამხობას.

მოხდა ის, რაც ოქტომბრის რევოლიუციის წინ თეორეტიულათ წარმოუდგენელი კი იყო. პროლეტარულ რევოლიუციამ გაიმარჯვა მარტო ერთ ქვეყანაში ადგილობრივი და მთელი ქვეყნის მშრომელების დახმარებით და მონაწილეობით. ის არსებობს და ვითარდება ამავე ძალების დახმარებით.

კიდევ უფრო საკვირველია ის, რომ ერთმანეთის გვერდით დღეს ადგილი აქვს ორ პრინციპიალურათ მოპირდაპირე პროცესებს: კაპიტალიზმის და საბჭოთა წესწყობილების სტაბილიზაციას. რეალური სინამდვილე უფრო რთული და ჭრელი გამოდგა, ვიდრე ამას ფიქრობდა ბევრი სოციალისტურათ მოაზროვნე ომის წინ.

კომუნისტური პარტია არის ხელმძღვანელი საბჭოთა ხელისუფლების. ასეთ რთულ პირობებში. თქმა არ უნდა, რომ მას ესაჭიროება დიდი სიფრთხილე და წინასწარ გათვალისწინებული ღონისძიებების მიღება. თქმა არ უნდა, რომ საჭიროა საერთაშორისო მდგომარეობის ობიექტიური შეფასება. ასეთი შეფასება მოგვცა ჩვენ კომინტერნის უკანასკნელმა პლენუმმა და რუს. კომპარტიის მე-14-ე კონფერენციამ.

აღიარა რა დასავლეთ ევროპაში კაპიტალიზმის ნაწილობრივი გამაგრება-განმტკიცება, ჩვენმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა იმავე დროს ხაზი გაუსვეს საბჭოთა წესწყობილების გამაგრება-განმტკიცებას. არავითარი ილიუზიები, სწორი და მიუდგომელი ანალიზი არსებული საერთაშორისო ცხოვრებისა ყოველთვის იყო დამახასიათებელი თვისება ლენინის პარტიისა.

როგორ უნდა გავიგოთ საბჭოთა სტაბილიზაცია? არის თუ არა მსგავსება კაპიტალის სტაბილიზაციასთან? რანაირი განსხვავებაა მათ შორის?

ვინც ცოტად თუ ბევრად ღრმად ჩაკვირვებია ამ კითხვებს, ის დაინახავდა, რომ ამ ორ სტაბილიზაციას შორის არსებობს პრინციპიალური სხვაობა. მსგავსება მხოლოდ ფორმალურია: ევროპაში დროებით გამაგრდა კაპიტალიზმი, საბჭოთა კავშირში გაძლიერდა მშრომელთა ხელისუფლება. მაგრამ დანახვა ფორმალური მსგავსებისა, არ დანახვა ამ ორი პროცესის სხვადასხვაობისა, უდრის წარმოდგენის სრულ უქონლობის თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობაზე და მის პერსპექტივებზე.

პირველ წერილში ჩვენ ვთქვით, რომ კაპიტალიზმის წინსვლა, მისი განვითარება მოასწავებს სხვადასხვა სახელმწიფოთა შეხლა-შემოხლის და შეჯახების ზრდას. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ რამდენადაც ეკონომიურათ მოღონიერდება ესა თუ ის კაპიტალისტური ქვეყანა, იმდენათ გაიზრდება მისი წინააღმდეგობა, ქიშპობა და იმპერიალისტური ზრახვები სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოების მიმართ.

საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მრავალი რესპუბლიკების გაერთიანებას განსაზღვრული კონსტიტუციის ნიადაგზე. ეს რესპუბლიკები თავის შინაურ საქმეებში დამოუკიდებელი არიან. მოასწავებს თუ არა საბჭოთა სტაბილიზაცია ამ რესპუბლიკებს შორის წინააღმდეგობის და შეხლა-შემოხლის ზრდას? რა თქმა უნდა არ მოასწავებს. საქმე სწორედ იმაშია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს საბჭოთა სტაბილიზაცია, მაშინ როდესაც პირველ შემთხვევაში ადგილი აქვს კაპიტალიზმის სტაბილიზაციას.

პრინციპიალური სხვადასხვაობა ამ ორი სისტემისა აშკარავდება ამ საკითხზე.

მეორეს მხრივ არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა მოკლებულია ყოველივე აგრესიულ ზრახვებს. ეს პოლიტიკა გამსჭვალულია მშვიდობიანობის გრძნობით. საბჭოთა რესპუბლიკები დაინტერესებული არიან იმით, რომ ყველა-უბრალოთ არ იღვრებოდეს მშრომელთა სისხლი ომის დროს. ამიტომ არის, რომ ჩვენი მთავრობა ყოველთვის სცდილობდა საერთაშორისო კონფლიქტების თავიდან მშვიდობიანი გზით აცილებას. თავის თავად ცხადია, რომ თუ ჩვენ თავს არ დაესხა რომელიმე იმპერიალისტური სახელმწიფო, ომს ჩვენი მხრივ ადგილი არ ექნება.

ავიღოთ მეორე საკითხი—კოლონიალურ ქვეყნებთან დამოკიდებულების შესახებ. კაპიტალისტური სახელმწიფოები დაინტერესებული არიან რაც შეიძლება მეტად გაყვლიფონ ჩამორჩენილი ქვეყნები: ინდოეთი, ჩინეთი, ეგვიპტე, მაროკო და სხვ. ისინი არ ერიდებიან იარაღის ხმარებას ამ მიზნის განსახორციელებლათ. ჩვენ უკვე ვიცით—თუ როგორ ებრძვის საფრანგეთის იმპერიალიზმი მაროკოს აჯანყებულ ტომებს, თუ როგორ ებრძვის ინგლისის იმპერიალიზმი ჩინეთის მუშებს. კაპიტალიზმის გაძლიერება მოასწავებს ამ ბრძოლის გაძლიერებას, ამ უკმაყოფილების (კოლონიებს და მეტროპოლიის შორის) და წინააღმდეგობების ზრდას.

საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა ამ კოლონიების მიმართ რადიკალურად განსხვავდება იმპერიალისტური სახელმწიფოების პოლიტიკისაგან, საკმარისია ამის დასამტკიცებლად მოვიყვანოთ ჩინეთის მაგალითი. იმპერიალისტების მიერ დაქირავებულ რაზმებმა მუშათა სისხლით შეღებეს შანხაის ქუჩები. კაპიტალისტები ისე ეპყრობიან ჩინელებს, როგორც ცხოველებს. ისინი მოკლებული არიან ყოველგვარ ადამიანურ მოპყრობას. რამდენი დაცინვა მოისმის ჩინეთის ქალაქების ბაღების შესავალთან გამოკრულ წარწერებზე: „ჩინელებისათვის და ძაღლებისათვის შესვლა აკრძალულია“-ო. შეუძლებელია აწერა იმ საშინელი მდგომარეობისა, რომელსაც განიცდის ეს ოთხას მილიონიანი ხალხი იმპერიალიზმის უღლის ქვეშ.

საბჭოთა მთავრობა, პირიქით, დაინტერესებულია იმაში, რომ ჩინეთის ხალხი ნამდვილათ სარგებლობდეს დამოუკიდებლობით, რომ ის აბუჩათ აგდებული არ იყოს უცხოელი კაპიტალისტების მიერ. იმპერიალისტური სახელმწიფოების დიპლომატები ჩინეთში სარგებლობენ დიდი პრივილეგიებით. საბჭოთა წარმომადგენელმა ამხ. კარახანმა საჯაროთ უარი სთქვა ამ პრივილეგიებზე.

ჩინეთის მშრომელი ხალხი კარგად აფასებს საბჭოთა მთავრობის ასეთ პოლიტიკას. ერთად ერთი რესპუბლიკა, რომელიც გულწრფელათ სცდილობს ჩინეთის დამოუკიდებლობაზე, ეს არის საბჭოთა კავშირი. ეს იცის დღეს ყოველმა ჩინეთის მუშამ და სტუდენტმა. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს სოლიდარობის გრძნობა, იმპერიალისტების მიერ დამონებულ კოლონიების და საბჭოთა კავშირის შორის, თანდათან გაიზრდება. საბჭოთა სტაბილიზაცია აქაც პრინციპიალურათ სხვა რამეს მოასწავებს, ვიდრე კაპიტალიზმის სტაბილიზაცია.

ზევით ჩვენ აღვნიშნეთ აგრეთვე, რომ კაპიტალიზმის განვითარება მოასწავებს კლასიური ბრძოლის გამწვავებას. დემონსტრაციები, გაფიცვები, აჯანყებები არ შეწყდება მანამ, სანამ მუშათა კლასი ხელთ არ ჩაიგდებს ძალა-უფლებას. სულ სხვაა საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოები მშრომელთა სახელმწიფოებრივი ორგანოებია, ისინი იცავენ მუშების და გლეხების ინტერესებს. აქ შეიძლება მხოლოდ კონტრ-რევოლიუციონური აჯანყებები, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგრამ რამდენადაც წინ მიდის პროცესი საბჭოთა სტაბილიზაციისა, იმდენათ ასეთი აჯანყებები შეუძლებელი ხდება, რადგან ბურჟუაზია და მემამულეები მოკლებული არიან საამისო რეალურ ძალას.

აქედან აშკარაა, რომ სტაბილიზაციის გამო, განვითარების ხაზები სულ სხვადასხვა მხრივ მიიმართებიან კაპიტალისტურ და საბჭოთა ქვეყნებში. კაპიტალისტურ ქვეყნებში ძლიერდება ტენდენცია კლასობრივი ბრძოლის გაჩაღებისა, საბჭოთა რესპუბლიკებში კი სუსტდება ასეთი ტენდენცია, რადგან ჩვენ თანდათან მივემართებით უკლასო საზოგადოებისაკენ. მის თავდებია ზრდა ჩვენი სოციალისტური მრეწველობისა, სწრაფი წინსვლა ჩვენი [illegible].

შეიძლება ვინმემ სთქვას, რომ საბჭოთა კავშირში მოსალოდნელია უკმაყოფილება მუშათა კლასს და გლეხკაცობას შორის. ეს რა თქმა უნდა შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოები ყურადღებას არ მიაქცევენ სოფლის პირვარამს. მთელი წარსული პრაქტიკა კი იმას გვიჩვენებს რომ საბჭოთა ხელისუფლება და პარტია სოფელს დიდ ყურადღებას აქცევდა. მომავალში, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცევა გლეხკაცობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

შემცდარია ის აზრი, თითქოს პროლეტარიატის დიქტატურის დროს აუცილებლობას წარმოადგენდეს გლეხთა აჯანყებები ძალაუფლების წინააღმდეგ. ეს აზრი ემყარება ფაქტებს გასული საუკუნის ისტორიიდან, როდესაც გლეხკაცობამ ჩააქრო მუშათა აჯანყება. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ თანამედროვე გლეხკაცობა განსხვავდება იმ რეაქციონური გლეხობისაგან, რომელიც ბურჟუაზიასთან ერთად იბრძოდა მუშების წინააღმდეგ. ისტორიული ფაქტია, რომ რუსეთის გლეხკაცობამ პროლეტარიატთან ერთად განდევნა მემამულეები და ბურჟუები. ისტორიული ფაქტია, რომ ბულგარეთში, სამხრეთ-სლავიაში, რუმინეთში და სხვა აგრარულ ქვეყნებში გლეხკაცობა და მუშათა კლასი იბრძვიან ხელიხელ ჩაკიდებული საერთო მტრის წინააღმდეგ.

თუ პროლეტარულ რევოლიუციამდის პროლეტარიატი და გლეხკაცობა შეკავშირებული იბრძოდენ მემამულეების და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რატომ უნდა დაირღვეს ეს კავშირი რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ?

არ შეიძლება არც ერთი სერიოზული მოსაზრების მოყვანა იმ დებულების დასამტკიცებლათ, რომ მუშათა და გლეხთა კავშირი უნდა დაირღვეს და მათ შორის სამოქალაქო ომი გაიმართოს. მხოლოდ ფანტაზიორს შეუძლია ამის წარმოდგენა.

გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. სახელმწიფო ღებულობს ყოველგვარ ზომებს მისი მეურნეობის აღორძინებლად. სახელმწიფო სცდილობს მიაწოდოს სოფელს საქონელი რაც შეიძლება იაფად და მაღალ ხარისხის. სახელმწიფო ზრუნავს განათლების საქმეზე, სოფლის მეურნისადმი იაფი კრედიტის მიწოდებაზე და სხვა და სხვა. გლეხი თანდათან რწმუნდება, რომ ერთად ერთი ხელისუფლება, რომელიც მას რეალურ დახმარებას უწევდა და უწევს, ეს არის საბჭოთა ხელისუფლება. და მართლაც, რა არის დედამიწის ზურგზე არც ერთი ისეთი მთავრობა, რომელიც სცდილობდეს გლეხკაცობის კეთილდღეობაზე ისე, როგორც საბჭოთა ხელისუფლება. ამიტომ არ არის არავითარი საბუთი იმ დებულების დასამტკიცებლათ, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში გლეხკაცობა გამოეთიშოს მუშათა კლასს და მიემხროს ბურჟუაზიას. რამდენათ განმტკიცდება საბჭოთა ხელისუფლება, რამდენათ გაძლიერდება ჩვენი რესპუბლიკები ეკონომიურათ, იმდენათ უფრო მტკიცე შეიქნება მუშათა და გლეხთა კავშირი.

ეხლა ჩვენ შეგვიძლია გავუკეთოთ დასკვნა. კაპიტალიზმის სტაბილიზაცია არის დროებითი და ნაწილობრივი სტაბილიზაცია. მისი საბოლოო შედეგი არის პროლეტარული რევოლიუცია. საბჭოთა სტაბილიზაცია სულ სხვანაირი ხასიათის არის. მას მივყევართ სოციალიზმის გაძლიერებისაკენ და კლასობრივი წინააღმდეგობის მოსპობისაკენ საბჭოთა სტაბილიზაცია მოაგვარებს ამხ. სტალინის აზრით ურთიერთობის და დამოკიდებულების გაუმჯობესებას 1) ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატსა და გლეხკაცობის შორის, 2) ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატსა და დამონებული ქვეყნების, კოლონიალურ ხალხებს შორის, 3) პროლეტარიატის დიქტატურისა და მთელი ქვეყნის მუშებს შორის.

როგორც აქედან ვხედავთ, იმ ორ სტაბილიზაციას, იმ ორ პროცესს, რომელიც დღეს პარალელურათ სწარმოებს, მივყავართ პრინციპიალურათ სულ სხვა და სხვა შედეგებისაკენ: დასავლეთში და ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში მას მივყევართ რევოლიუციონურ გადატრიალებამდის, ხოლო საბჭოთა კავშირში სოციალიზმის სტაბილიზაციამდის ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ქ. ორაგველიძე.

---

*). იხ. „კომუნისტი“ № 140.

სასოფლო მეურნეობის ქრონიკა

მოსავლის პირი იმერეთში

იმერეთის სხვადასხვა რაიონებიდან მოსული ცნობებით ივნისის მეორე ნახევარში ნათესებმა ძალიან მოიკეთეს. ხშირმა წვიმებმა გამოაბრუნეს სიმინდით დათესილი ყანები.

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის სტატბიუროში მიღებულია ცნობები, რომ დიდ ჯიხაიშსა და ბაღდადის რაიონებში მოსავლის პირი საუკეთესოა. ასეთივე მდგომარეობა, ჩხარის და ზესტაფონის რაიონში, სადაც მოსალოდნელია საშუალოზე გაცილებით მაღალი მოსავალი.

ბაღდადის რაიონში ვენახები საუკეთესო მდგომარეობაში იმყოფება. ადგილობრივ გლეხობას არ ახსოვს ვაზების მიერ ასეთი დიდი რაოდენობით ნაყოფის გამოღება

შორაპნის მაზრის ქორბოლის თემიდან იტყობინებიან, რომ პურის ჯეჯილები ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან, მოსალოდნელია საშუალოზე დაკლებული შემოსავალი. მოუსავლობის მიზეზი წვიმების დაგვიანებაა.

თხილის მოსავალი სამეგრელოში

წლეულს თხილის მოსავალი ზუგდიდის მაზრაში ძალიან დიდია. ყოველ გლეხს მოუვა რამოდენიმე ათეული ფუთი თხილი.

სოფლად დაიარებიან კერძო ვაჭრები და ახლავე ყიდულობენ მოუწეველ მოსავალს, რისთვისაც გლეხობას წინდაწინ აძლევენ მცირე სესხს და ავანსს.

ამასთანავე ფასს იძლევიან მცირეს, რადგან გლეხები ფულს ძალიან საჭიროებენ და გაცემულნი ძალიან მცირე ფასზე დასთანხმდენ.

საკრედიტო ამხანაგობანი უძლურნი არიან დახმარება აღმოუჩინონ გლეხებს. მაგ. დარჩელის რაიონში არის 3000 კომლი. საკრედიტო ამხანაგობებს კი ჰყავს მხოლოდ 260-მდე წევრი; ზუგდიდის რაიონში სცხოვრობს 500 კომლი, საკრედიტო ამხანაგობა კი აერთიანებს 300 წევრს.

7000-ზე მეტი მეურნეობა გამოეყო კერძო კრედიტს, რომელიც მძიმე ტვირთად აწევება გლეხობას.

საქართველოს საძოვრები

საძოვართა სივრცე—საძოვრები დაუკავშირდებიან ერთმანეთს გზებით.—სადაო საკითხებს და კონფლიქტებს ბოლო ეღება.—ყოველ საძოვრებზე და გზებზე მოეწყობა ვეტერინალურ-სანიტარული და ადმინისტრატიული პუნქტები, მწყემსებისა და საქონლის დასაცავად.

მთელს საქართველოში საძოვრების სივრცე უდრის 75.000 დესეტინას, რომელთაგან 50000 დესიატინა საზაფხულო საძოვრებია და 25000 საზამთრო.

საძოვრები მოწყვეტილი არიან ერთი-მეორეს და საქონლის გადაყვან გადმოყვანა გაძნელებულია.

1924 წელს, მიწად-მოწყობის საკითხის განხილვის დროს, მიექცა ყურადღება გზების საკითხსაც. გამოყოფილი იყო სპეციალი კომისია, რომელმაც გამოიმუშავა შესაფერი დებულებანი და გადასცა მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატს ცხოვრებაში გასატარებლად. უნდა გაყვანილიყო [illegible] საძოვრების ერთმანეთთან დასაკავშირებლათ და მოწყობილიყო ბინები მწყემსებისათვის. ეს საკითხი ჯერ-ჯერობით მხოლოდ ტფილისის მაზრაშია მოგვარებული.

სადაო საკითხები.

ომისა და რევოლიუციის ხანებში საძოვრებით სარგებლობის ხასიათი არ შეცვლილა; იგი ისევე დარჩა, როგორც იყო. ცვლილება მოხდა მხოლოდ საქონლის მეურნეობის და თვით საძოვართა მოედნების შემცირების სახით.

საძოვრების შემცირებას მრავალი კონფლიქტები და დავი-დარაბი მოჰყვა. აზერბეიჯანსა და საქართველოს შორის ატეხილი დავა: ალაზნის პირს, შირაქის და ახოო რაიონების შესახებ ა|კავკასიის რესპუბლიკათა შეერთებულ კომისიის მიერ უმტკივნეულოდ გადაწყდა და საბოლოოთ დატოვებულ იქნა საქართველოს ფარგლებში.

ახალქალაქის მაზრაში.

ამ მაზრაში საძოვრების საკითხი ყველაზე უფრო გამწვავებულია. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ე. წ. ჯავახეთის საძოვრები ჩვენი მეცხვარეების საარსებო წყაროს წარმოადგენს; მაგრამ რაც არტაანის და ყარსის ოლქის საძოვრები ჩამოსცილდა მას,—საქმე გართულდა, იქაური შევიწროებული მეცხვარეები მოაწყდნენ ახალქალაქის მაზრას და იქ მოთავსდნენ, რამაც ამ რაიონში შექმნა საძოვრების დიდი ნაკლებობა და სივიწროვე.

ამ ნიადაგზე წარმოიშვა დავა ადგილობრივ და მოსულ მეცხვარეთა შორის. ადგილობრივათ აღიძრათ საძოვრების დასაკუთრების სურვილი.

უთანხმოების მოსაგვარებლად საქმეში ჩაერია მიწათ-მოქმედების კომისარიატი და ღებულობს ზომებს მოსულ ელემენტებისაგან მაზრის განტვირთვისათვის, მაგრამ ამით კიდევ არ არის საქმე გარკვეულად დაბოლოვებული.

ამ საკითხს მიაქცია ყურადღება საზ—ბა „მწყემსმა“. მიმდინარე წელს აილო სომხეთში 7.000 დესეტინა საძოვარი, სადაც მოათავსა 60.000 სულამდე ცხვარი. ამით მაზრას არაფერი შემატებია, რადგან იქ მოთავსებულია ნორმაზე მეტი—40.000 სული ცხვარი. ამ უკანასკნელ მიღებული ცნობების თანახმად ცხვარი იხოცება თანდათან. ამის შემდეგ უდიდესი ყურადღება მაზრისადმი კიდევ უფრო ფართოვდება.

საბეითლო დახმარება.

აქამდე მეცხვარეების ადგილობრივ არავითარი საბეითლო დახმარება არ ეწეოდათ, რის გამო საქონელი იღუპებოდა. ეხლა უკვე მიწათ-მოქმედების კომისარიატის სავეტ.-სანიტ. განყოფილების მომავალ საქმიანობის გეგმაში შეტანილია განსაკუთრებული მუხლი, რომლის თანახმად მოეწყობა ვეტერინარულ-სანიტარული პუნქტები, როგორც საძოვრებზე, ისე საქონლის გადასაყვან გზებზე.

ადმინისტრატიული აპარატი.

ჩვენი მეცხვარეები და საერთოდ მომთაბარე მწყემსები საქონლის სენისაგან დაკარგვის გარდა, ძალიან შევიწროებული იყვნენ ყაჩაღ-მძარცველებისაგან, რომლებიც თავს ესხმოდნენ მათ და მიერეკებოდენ პირუტყვს. მეცხვარეებს კი ადმინისტრაციის მხრით დამცველები არავინ ჰყავდათ.

ეხლა ეს საკითხიც სწყდება და განზრახულია, ყოველ ბინაზე და საძოვრებზე, ყოველ მაზრაში დარაჯობის მოწყობა.

გადასახადის საკითხი.

გადასახადები საძოვრებზე დაყოფილია 3 კატეგორიად და იმისდა მიხედვით ხდება მისი აკრეფაც; მაგ. საზაფხულო საძოვრებზე: 1-ლი კატეგორია იხდის 6 აბაზს; მე-2—80 კაპ.; მე-3—50 კ. საზამთრო საძოვრებზე კი: 1-ლ—1 მ.; მე-2—70 კ.; მე-3—40 კ.; ეს აღმ. საქართველოში.

დასავლეთ საქართველოში გადასახადი იკრიბება სულობრივ—მაგ. ცხენზე იხდიან—75 კ.; მსხვილფეხა საქონელზე—50 კ. და წვრილფეხა საქონელზე—15 კაპ. აქედან ერთი უღელი ხარ-კამეჩი თავისუფალია გადასახადისაგან.

ორშაბათს, 6 ივლისს, საღამოს სრულ 6 საათზე
მოწვეულია
თბილისის საბჭოს შემდეგი სექციების

მორიგი სხდომა

1. კომუნალური—(წითელი თეატრი).
დღის წესრიგი: 1) მოხსენება ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს (ე. მ. ს.-ის) შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.
2. საფინანსო (აღმასკ. შენ. ოთახი № 17).
დღის წესრიგი: 1) ქალაქ. ქონებათა („უ.ქ.ს.“-ის საინფორმაციო მოხსენება დარაბების ექსპლოატაციის შესახებ 1925—26 საბიუჯეტო წლისათვის.
2) მიმდინარე საკითხები.
3. განათლების—(აღმასკომის შ. ნ., ოთახი № 32).
დღის წესრიგი: 1) ბიუროს მოხსენება დამხმარე საბჭოთა კონფერენციის შესახებ.
2) სკოლის შენობათა შეკეთების საკითხი.
3) სკოლის შენობათა განთავისუფლების შესახებ კერძო პირთაგან.
4) მოხსენება მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსების შესახებ.
5) მიმდინარე საკითხები.
4. ჯანმრთელობის—(აღმასკ. შენ., ოთახი № 37).
დღის წესრიგი: 1) ვენეროლოგიური და ტუბერკ. დისპანსერის შესახებ.
2) ტუბერკულიოზის სამ-დღიურის ჩატარების ანგარიში თბილისში.
3) მიმდინარე საკითხები.
5. სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის—(აღმასკ. შენ., ოთახი № 66).
დღის წესრიგი: 1) მოხსენება მიწათ-მოწყობის შესახებ.
2) აგრო-დახმარების და სამეურნეო იარაღების შესახებ.
3) მიმდინარე საკითხები.

სექციებში ჩაწერილ ყველა საბჭოს წევრთა გამოცხადება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

ნომ. 1450. 1—1

პრეზიდიუმი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია

(გადასახადის ნორმების ნაკლოვანებანი)

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი იმ დეფექტების შესახებ, რომლებიც არის ა/კ. ფინსახკომის მიერ შემუშავებულ ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საფუძვლებში და ნორმებში. მიიღო რა მხედველობაში, რომ მუშაობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩასატარებლად უკვე დაწყებულია, რისთვისაც ძნელია ამ ნორმებში რაიმე სერიოზული შესწორების შეტანა, პრეზიდიუმმა ყურადღება მიაქცია მხოლოდ ძირითად დეფექტებს.

ერთ-ერთ ძირითად დეფექტად აღიარებული იქნა გადასახადის ნორმების ერთფეროვანი ქსელის არსებობა. ამიერ-კავკასიის ბუნებრივ პირობების სხვადასხვაობის გამო კი აუცილებელია ტერიტორიის რაიონებათ დანაწილება.

საკავშირო დეკრეტი უფლებას აძლევს ამიერ-კავკასიას გამოყოს ცალკე რაიონები. ა/კ. ფინსახკომმა არ გამოიყენა ეს უფლება. ამიერ-კავკასიაში არის მებამბეობის ფართო რაიონები, სადაც ამუშავებენ მხოლოდ მიწების ნაწილს, დანარჩენ სივრცეს კი არ ამუშავებენ. დაბეგვრის ასეთ პირობებში ძნელია იმის თქმა, თუ ვის დააწვება გადასახადის სიმძიმე და რამდენად ახლო იქნება ის ძირითად მიზანთან — მეურნეობის ნამდვილ სიძლიერესთან.

თუ დავუშვებთ, რომ დიდი განსხვავება არ იქნება ურწყავ და სარწყავ მიწების გადასახადებს შორის, მაშინ გადასახადის სიმძიმის ცენტრი დააწვება ხორბლეულობის მეურნეობას, ე. ი. ისეთ მეურნეობას, რომელიც ყველაზე მეტ საქონელს ამზადებს. გადასახადის მიღება ამ [illegible] მეურნეობებისაგან უმეტად ძნელი იქნება ის გაართულებს საქმეს.

გადარიცხვის ნორმების დაწესების დროს ფინსახკომი, ხელმძღვანელობდა ცალკე მეურნეობების წმინდა შემოსავლით. ეხლა მეტად ძნელია ამ შემოსავლიანობის ციფრების შემოწმება, მაგრამ თვალსაჩინო ხდება მათი ერთგვარი უსწორ-მასწორობა. როგორც სჩანს, გამოანგარიშებას აწარმოებენ ცალკე სპეციალისტები გარკვეული საერთო სისტემის გარეშე. ზოგიერთ შემთხვევებში მხედველობაში იღებენ ქონების ამორტიზაციას, პროცენტს კაპიტალზე, ზოგიერთ შემთხვევებში კი არა.

აღნიშნა რა ზემომოყვანილი დეფექტები, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა აუცილებლათ სცნო, რომ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ამიერ-კავკასია დაანაწილოს რაიონებათ და თვითეული რაიონისათვის ცალკე დააწესოს გადასახადის ნორმები. ფინსახკომმა კი უნდა მოახდინოს სათანადო გამოანგარიშება და გამოთქვას თავისი აზრი, თუ რამდენად მისაღებია ამიერ-კავკასიის რაიონებათ დანაწილება, ამისდამიხედვით უნდა აღძრას შუამდგომლობა კანონის შეცვლის შესახებ იმ ნაწილში, რომელიც გადასახადს შეეხება.

ბრძოლა უმუშევრობასთან

საზოგადო სამუშაოები სამტრედიაში

საქ. შრომის სახალხო კომისარიატმა საზოგადო სამუშაოთა მოსაწყობათ სამტრედიაში მიავლინა ამხ. ვ. კვირიკაშვილი, რომელმაც დაბრუნებისას ჩვენ თანამშრომელს გადასცა შემდეგი:

— ივნისის 24-ს ქ. სამტრედიის აღმასკომთან მოწვეული იქნა სამუშაოთა მომწყობი კომისიის წინასწარი სხდომა, რომელზედაც მიღებული იქნა დადგენილება, რომელიც ავალებდა კომუნალური მეურნეობის განყოფილებას ორი-სამი დღის განმავლობაში შეედგინა ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე საბიუჯეტო წელში საზოგადოებრივ სამუშაოების მოსაწყობათ და შესდგომოდა მუშაობას.

საზოგადოებრივ სამუშაოებათ ცნობილი იქნა ქუჩების მოკირწყვლა, ქვაფენილების დაგება, დაზიანებულ ბოგირების ქვით და აგურით შეკეთება, ქალაქის სანიტარიის საჭიროებისათვის წყალის არხის გამოყვანა, ბაღის (ბულვარის) — შეკეთება-შელამაზება და მრავალი სხვა.

27 ივნისიდან ქალაქის ბაღში სამუშაოებზე გამოყვანილი იქნა 11 უმუშევარი.

29 ივნისიდან იმავე სამუშაოებზე დაიწყო მუშაობა 14 უმუშევარმა. სულ 29 ივნისს მუშაობდა 30 კაცი. ბაღში მუშაობა გასტანს არა უმეტეს 10—12 დღისა.

30 ივნისიდან შეუდგენ სამტრედიისათვის მახლობელ მდინარიდან არხის გაყვანას ქუჩების ორივე მხარეებზე გასაშვებად და უსუფთაობის გასაწმენდათ.

აღნიშნულ სამუშაოებში ჩაბმული იქნება არა ნაკლები 30—35 უმუშევარი, ასე რომ 1—2 ივლისიდან ორივე სამუშაოებზე იქნება გაყვანილი არა ნაკლები 50 კაცისა.

ორი ათასი (2.000) მანეთი, რომელიც შრომის კომისარიატის მიერ გადადებული იყო სამტრედიისათვის, ჩაბარებულია ადგილობრივ „ეპო"-ს საბანკო განყოფილებაში, საიდანაც საჭიროების მიხედვით გამოტანილი იქნება.

უმუშევრები გამოყვანილია უმთავრესათ რკინისგზის საშუამავლო ბიუროდან. ამის მიზეზი ისაა, რომ ქალაქის უმუშევრებიც აღრიცხვაზე ჰყავს აყვანილი რკინისგზის საშუამავლო ბიუროს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამტრედიაში დაწყებულ საზოგადო სამუშაოებს, გადადებული თანხა — ორი ათასი (2,000) მანეთი — არ ეყოფა და ქალაქის აღმასკომი შუამდგომლობს, რომ დამატებით გადადებული იქნეს კიდევ 1500—2000 მანეთი.

მებაღეთა ურთიერთ დახმარების საზოგადოების დაარსება თბილისში

3 ივლისს, სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის თანდასწრებით, კრწანისში შესდგა თბილისში მომუშავე თვითშრომელ მებაღეთა საზოგადო კრება, რომელსაც ორასამდე კაცი დაესწრო.

კრების მიზანი იყო საურთიერთო დახმარების ნიადაგზე შესაკავშირებლად საკუთარი საზოგადოების დაარსება.

თავიდანვე მებაღეები თბილისის სხვადასხვა კუთხეებში მუშაობდნენ და ვინაიდან ერთმანეთისაგან 7—8 ვერსით იყვნენ დაშორებულნი, ამისათვის მათ შორის მჭიდრო ორგანიზაციული კავშირი არასოდეს არა ყოფილა გაბმული და არც ურთიერთ დახმარებას ჰქონია მათ შორის ადგილი.

ცნობილია, რომ ბაღ-ბოსტანს სეტყვა და გვალვის გარდა სხვა მტერიც ბევრი ჰყავს (მახრა, ნაცარა და სხვ.) რომელიც ხშირად სავსებით ანადგურებს მოსავალს და მის პატრონს აუტანელ გაჭირვებაში აგდებს.

გაჭირვებულ წევრებისათვის ნივთიერი და სხ. დახმარების გაწევის გარდა, საზოგადოება ამ მავნებლებთან ბრძოლასაც ისახავს მიზნათ და ამისათვის განზრახული აქვს სამეურნეო დარგში კულტურული მუშაობის წარმოება.

კრება გაეცნო სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის მიერ საზოგადოებისათვის დამტკიცებულ დებულებას და აირჩია გამგეობა შემდეგი პირებისაგან: ს. ჩორგოლაშვილი, ა. ენუქიძე, მ. ბუკია, ი. გეგეჭკორი, ა. ჩორგოლაშვილი, გ. ნიკოლეიშვილი და ვანო ძაგანია და სარევიზიო კომისია, რომელშიაც შედიან: გ. კოხრეიძე, ალ. არველაძე და გ. დოჟეირი.

ნ. გ.

დაზღვეულთა საქიმო დახმარების საქმე

(საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომ. მასალებიდან)

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მოხდენილმა გამოკვლევამ აღმოაჩინა თბილისში, ქუთაისში, სამტრედიაში, ტყიბულში და ჭიათურაში ფრიად მნიშვნელოვანი დეფექტები დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების საქმეში.

ასე, მაგ. არსებული დებულებით გათვალისწინებული ფონდი „გ" არსად არ არის დაცული კანონის მიერ განსაზღვრულ სახით, რის გამო შემოსავლის დიდი ნაწილი აწვება დამზღვევ სალაროს ფონდს „გ"-ს და არა ადგილობრივ ჯანგანყოფილებებს.

არსად არ არსებობს დამზღვევი თათბირები. თითქმის ყველა ზემოაღნიშნულ პუნქტებში ძალზე გადატვირთულია ამბულატორიები საჭირო შენობების უქონლობის გამო.

ამბულატორიები და საავადმყოფოები არ არიან უზრუნველყოფილი ინსტრუმენტების, მედიკამენტების, სახვევ მასალების, საფენ-სახურავების და სამეურნეო ინვენტარის საჭირო რაოდენობით. (სამტრედიის საავადმყოფო მოკლებულია უბრალო პრიმუსის შეძენის საშუალებას, რის გამო აქ არ ხდება ინსტრუმენტების და მასალების სტერილიზაცია).

სასურველ დონეზე არ არის დაყენებული აგრეთვე საპროტეზო დახმარება თბილისში, ქუთაისში და ჭიათურაში.

ხოლო რაც შეეხება დანარჩენ პუნქტებს, აქ ასეთ დახმარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ძალიან სუსტადაა მოწყობილი ზოგიერთ პუნქტებში (ზოგან კი სრულიადაც არ არსებობს) სანიტგანათლება და დედათა და ბავშვთა დაცვის საქმეები. მეტად სასურველია აღნიშნულ პუნქტებში საექიმო და ვენერიულ დისპანსერების გახსნა.

საავადმყოფოების შენობებს იმდენად ესაჭიროებათ კაპიტალური შეკეთება, რომ ზოგიერთი მათგანი და გადამდებ სენის ბარაკები სრულიად დაკეტილია. ამბულატორიების გადატვირთვა იწვევს მედიკამენტების ზედმეტ ხარჯს.

გამოკვლევის მიერ აღმოჩენილ დეფექტების აღსაკვეთად საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ ა/წ. 18 ივნისის სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა მთელი რიგი ღონისძიებები.

ქრონიკა

— **დელეგაცია სოხუმიდან.** გუშინ ქ. სოხუმისა და მისი მაზრის ქართველ მოსახლეობის დავალებით თბილისში ჩამოვიდა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: ერმილე მულაძე, ილიკო ჯულელი და ალ. გვასალია. დელეგაციას დავალებული აქვს შუამდგომლობა აღძრას საქართველოს და ა/კ. მთავრობათა წინაშე, რომ ნივთიერი დახმარება აღმოუჩინონ სოხუმში არსებულ ორჯონიკიძის სახელობის ცხრაწლედს შენობის შეკეთებისა და გაფართოების მიზნით.

— **ჭლექის სამდღიურის** განმავლობაში მარტო თბილისში ყულაბებით შეკრებილი იქნა 3,000 მან.

— **ახალი შრომის კოლექტივი.** უმუშევართა ერთი ჯგუფი აარსებს სავაჭრო-სამრეწველო კოლექტივს, რომელიც მოაწყობს შინაურ ცხოველების და ფრინველების მოშენების საქმეს და ძეხვის ქარხანას.

— **სამგორის არხი.** თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა მიიღოს აქტიური მონაწილეობა სამგორის არხის გაყვანის საქმეში.

— **სახლების აგება.** თბ. აღმასკომმა დაამტკიცა კეთილ-მოწყობის განყოფილების დადგენილება ნაძალადევში ხუდადოვისა და [illegible] ქ. დიდი სახლის (120 ოთახიანი) ააგებათ.

— **ხე-ტყის სახერხი ქარხნები.** უმაღ. ეკ. საბჭოს განზრახული აქვს ააგოს ხე-ტყის სამი ახალი ქარხანა: [illegible] (ზუგდ. მაზრა), ბაღდადში (ქუთ. მაზრა) და ფოთში.

— **[illegible]** ლაბორატორიამ რუსეთში შეუკვეთა ლითონის კოლოფების დამზადება წამლეულობისათვის.

— **დამზღვევ სალარო** 1921 წ. შედარებით წელს შემოსავალი გაუდიდდა ოთხჯერ.

— **ჯანსახკომმა** სულით ავადმყოფთა სამკურნალოში მოაწყო წყლით მკურნალობის მიზნით 3 აუზი.

— **მცხოვრებთა ჯანმრთელობისათვის.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა 1 ივლის მაზრებში დაგზავნა თვალის საექიმო რაზმები საჭირო წამლეულობით.

— **პენსიონერები.** ამჟამად თბ. დამზღვევი სალარო დახმარებას აძლევს 1061 კაცს, რომელთაგან 735 შრომის ინვალიდია.

— **სიკვდილიანობის შემთხვევები.** თბ. დამზღვევ სალაროს ცნობით 1921 წელში თვითეულ 10.000 დაზღვეულში კვდებოდა 121 კაცი უკანასკნელ წელში კი კვდება 33 კაცი.

— **უმუშევრობასთან ბრძოლა.** შრომის სახ. კომისარიატმა სამტრედიაში საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად გადასდო 2 ათასი მანეთი.

— **ტყის მოშენება.** მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილების ხელმძღვანელობით ბაღდადის რაიონში მოეწყო ტყის მოსაშენებლად სატყეო ჯიშის ხეების სანერგე.

— **ტყის მოწყობა.** ამ ერთი წლის განმავლობაში ბაღდადის სატყეოებში გამოკვლეული და მოწყობილი იქნა 14 ათასი დესეტინა ტყე.

— **გზატკეცილის შეკეთება.** საქ. გზატკეცილების მმართველობა შეუდგა ზეკარის სამხედრო გზატკეცილის საფუძვლიან შეკეთებას. სულ შესაკეთებელია 75 ვერსი გზა.

— **ხიდი ყვირილაზე.** ქუთაისის მაზრაში, ბაღდადის რაიონში დარსდა ბიურო, რომელიც მიზნათ ისახავს მდ. ყვირილაზე ხიდის აგებას. ხიდის აგება დააჯდება დაახლოებით ნახევარი მილიონი.

— **გადასახადი ნადირობისათვის.** მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატის დადგენილებით ყველა მონადირემ ნადირობისათვის უნდა აიღოს მოწმობა და გადაიხადოს წელიწადში 1 მ. 50 კ., უმოწმობოთ ნადირობა სასტიკად აკრძალულია. მოწმობების გაცემა დაევალა სატყეოების გამგეებს.

— **ახალი მოტორიანი ვაგონები.** მომავალი წლის დასაწყისში თბილისში მოსკოვიდან მიღებული იქნება 20 ახალი მოტორიანი ტრამვაის ვაგონები.

— **ქიმიკოსთა ყრილობა.** ქიმიკოსთა კავშირი შეუდგა სამზადის მუშაობას სრ. საქართველოს ქიმიკოსთა ყრილობის მოსაწვევად.

— **მატყლის დამზადება.** წარმოკავშირი წელს საქართველოში დაამზადებს 80 ათას ფუთ მატყლს.

— **წითელ არმიის** ცვალებად შემადგენლობის ეროვნულ უმცირესობათათვის სამშობლო ენაზე კულტ-მუშაობის საწარმოებლად გამოყოფილი იქნენ ცალკე წრეები.

— **მოხსენება.** 5 ივლისს, დილით 10 საათზე განათლების მუშაკთა სახლის საზაფხულო შენობაში (პლეხანოვის პრ. № 65) პედაგოგი კელენჯერიძე გააკეთებს მოხსენებას „ქართული ენის მდგომარეობა შრომის სკოლებში". მოხსენების შემდეგ კამათი.

ჩვენი სოფლის ჭირ-ვარამი

როდის მოგვაშორებთ მემამულე ჯაფარიძეს?

ჩვენ სოფელ ონჯევში, რომელიც რაჭაში მდებარეობს, საბჭოთა დეკრეტებს და კანონებს ჯერ თითქმის ბუზიც არ აუფრენიათ. მიწის ყიდვა გაყიდვა თავისუფლად ხდება. აქვე ცხოვრობს ერთი თავადი — პარმენ ჯაფარიძე. ის ძველებურად გრძნობს თავს. ქალაქ ონში აქვს მიწები, სახლები და დუქნები. [illegible] წისქვილი და დუქანი. თვით ონჯევში კი ვენახი და ბაღი. ბევრი ყავს აგრეთვე შინაური პირუტყვი. სათიბები და ტყეებიც ბლომათ აბადია.

მისი მამულ-დედული თორმეტ გლეხ-კაცს ეყოფა. თავისი მდგომარეობით ის მოხერხებულათ სარგებლობს და შეუბრალებლათ ყვლეფავს ღარიბ გლეხებს. სანამდი უნდა დარჩეს ონჯევში ძველი ბატონი?

ალ. გობეჯიშვილი.

რა ხდება ს. მუხრანში

(დუშ. მაზრა)

ტრამვაის კოლექტივმა დაავალა შვებულებაში მიმავალ ამხანაგებს გაეცნობოდენ იმ სოფლის ყოფა-ცხოვრებას, სადაც ისინი დასასვენებლათ ჩავიდოდენ და თავისი აზრი ამ თუ იმ სოფლის შესახებ გაეზიარებიათ პარტიულ ორგანიზაციის და პრესისათვის.

ამხ. სანაშვილი, რომელიც გაემგზავრა ს. მუხრანში (დუშ. მ.) შემდეგს გვატყობინებს ამ სოფლის ავკარგის შესახებ.

აღმასკომის თავმჯდომარე ბერბიჯაშვილი არავითარი ნდობით არ სარგებლობს გლეხების თვალში. ყავს მოჯამაგირე, მიითვისა ბაღი, რომელიც წლიურად 5 ათასამდე შემოსავალს იძლევა, ძმა-ბიძურ დამოკიდებულებაშია სპეკულიანტ კარაპეტოვთან, რომელიც გლეხკომის თავმჯდომარეთაც კი გაიყვანა.

კოოპერატიული დუქანი სუსტათ მუშაობს. რასაც გამგე ხსნის აღმასკომის უყურადღებობით. საგადასახადო კომისიის ხელმძღვანელთ დუ[illegible] გაუფლანგა 700 მანეთი. მიწის გამრიგებელ კომისიის წევრებმა ხუთ-ხუთი დესეტინა საუკეთესო მიწა თავისათვის გადაირჩიეს.

გორდელაძე.

ვინ დაადებს ბოქლომს პირზე?

რაჭაში, ს. მიქარწმინდაში, სადაც ბლომათაა სასულიერო წოდების პირები [illegible] მღვდელ-დიაკვნების პროვოკაციულმა ჭორიკანობამ. ყოფ. მღვდელი ლავრ. სოხაძე მისი შვილებით, აგრეთვე ყოფილ მღვდლიტნებით, და ქალიშვილით მოსვენებას არ აძლევენ მშვიდობიან გლეხებს. ყოველ დღე მუშავდება მათ ოჯახში „რადიო-ჭორი", რის შემდეგაც ატყდება ხოლმე აურზაური და მითქმა-მოთქმა. ვინ დაადებს სოხაძეებს პირზე ბოქლომს?

მეზობელი.

„როზგი" ახალ-აბაშის შვიდწლედში

მასწავლებელ ივლიანე კაპარავას სრულიად დავიწყნია, რომ ის საბჭოთა სკოლის მუშაკია. ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა „როზგავენ" მოწაფეებს. ეს ყველაფერი უკარგავს სოფლის გლეხ-კაცობას სკოლისადმი ნდობას. საჭიროა განათლების ინსპექციამ უჩვენოს შესაფერი ადგილი გათავხედებულ მასწავლებლებს.

მონგოლელი.

მკვლელნი დაუსჯელათ დაიარებიან

(სენაკის მ.)

ს. კურზუში ამ გაზაფხულზე გლეხი პავლე ვეკუა წავიდა სტუმრად ამავე სოფლის მცხოვრებ სუმო ნაჭყებიას სახლში. მეორე დღეს ნახეს პავლე ვეკუას თავმოკვეთილი გვამი.

ამბობენ, რომ ეს ბოროტება მოხდა სუმო ნაჭყებიას უშუალო მონაწილეობით. ბრალი ედება მთელს ოჯახს. დღემდის ისინი დაუსჯელი არიან და საქმეს ჩქარი მსვლელობა არ ეტყობა.

ბანი.

ლოთი მექანიკი

[illegible] დიდ სა[illegible] ქალაქს, მაგრამ ამ [illegible] მუშაობს მექანიკოსი [illegible]მანი, რომელიც ნიადაგ მთვრალია. ხან ამუშავებს სადგურს, ხან აჩერებს. ნუთუ ასე ძნელია პატიოსან და ფხიზელ მექანიკოსის მოყვანა?

ზუგელი.

ავადმყოფის ჩივილი

არაზინდოს სანატორიუმში არის რამდენიმე ავადმყოფი ქალი და კაცი, რომელნიც აშიყობა-ლოთობაში ატარებენ დროს და არ ასვენებენ, როგორც თავისთავს ისე სხვებს. მივმართეთ ადმინისტრაციას, რომელიც გვეუბნება, სანამ ფაქტებს ხელში არ მოგვცემთ, მანამ არაფერი იქნებაო. რამდენათ მოსათმენია ასეთი მდგომარეობა სანატორიუმში!

შაქრო ნავთლუღელი.

მასწავლებელ პერტაიას სამართალი

ზუგდიდის მაზრის ლეწურწუმეს თემში, ჰქონდა ადგილი შემდეგ შემთხვევას. მასწავლებელი პერტაია, რომელსაც ჰქონდა მიწის საკითხის ნიადაგზე უთანხმოება გლეხ დომენიასთან, დაუხვდა ერთ დღეს თავის მოსაზღვრეს და დიდი ქვა ჩაარტყა ცხვირ-პირში. მაგრამ მარტო ქვა აღარ აკმარა პედაგოგ პერტაიამ ის მეზობელს, ქვის შემდეგ გაიქცა სახლში და ნაჯახს მოარბენინებდა მოწინააღმდეგის მოსაკლავათ.

რაღაც ბედათ, თავპირდაჭყლეტილმა გაასწრო გაგიჟებულ პერტაიას. ასეთია ჩვენი თემის „სახალხო" მასწავლებლის პერტაიას გმირობა. ასე გაუგია მას თურმე საბჭოთა სამართალი და გლეხთა კულტურულ-პოლიტიკურ ხელმძღვანელობის ამოცანა, რა უნდა შეიძინოს ასეთმა „პედაგოგმა" სოფლის ახალ თაობას?

მუშკორი კურიანტი.

საბჭოთა სასამართლო

ცოლქმარ მაჭავარიანის, ჯორბენაძის და სხვ. საქმე

(3 ივლისის საღამოს სხდომა).

საღამოს სხდომაზე დაიწყო ბრალდებულთა დაკითხვა. პირველად დაკითხულ იქნა მთავარი ბრალდებული ნიკოლოზ მაჭავარიანი.

ნიკოლოზ მაჭავარიანის ჩვენება.

ბრალდებული მაჭავარიანი თავის ვრცელ სიტყვაში დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს, როგორ მოხდა მის ბინაზე დათიკაშვილი, ვინ მიიყვანა ის პირველად მის ცოლთან. ბრალდებულის სიტყვით, დათიკაშვილი მან გააძევა ბინიდან, როცა გაიგო მისი მისვლის მიზანი.

ბრალდებული მაჭავარიანი ამბობს, რომ მართალია მას დათიკაშვილის და იბრაგიმოვის საქმე გადაცემული ჰქონდა გასაცნობად სხვა საქმეებთან ერთად, მაგრამ მასზე ისეთი ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა დათიკაშვილის მისვლამ, რომ მან გადასწყვიტა არ გამოსულიყო სასამართლოში მისი საქმის შესახებ, რომ ვინმეს ჩირქი არ მოეცხო მისთვის.

ბრალდებული ეხება მის დამოკიდებულებას კრიხელთან, ფიზიცკისთან, ჯორბენაძესთან და თავის მეუღლესთან, აღწერს პირობებს, რომელშიაც მოხდა მისი გაცნობა და აცხადებს, რომ მას არაფერში ბრალი არ მიუძღვის.

ბრალდებულს აძლევენ აურაცხელ შეკითხვებს; ზოგიერთ შეკითხვებზე ბრალდებული პასუხს არ იძლევა. დაკითხვა გაგრძელდა 4 საათი.

შემდეგ დაკითხულ იქნა ნიკოლოზ მაჭავარიანის მეუღლე, ბრალდებული თამარ მაჭავარიანი, რომელიც თითქმის ახალს არაფერს ამბობს და იმასვე ადასტურებს, რაც აჩვენა ნიკოლოზ მაჭავარიანმა.

4 ივლისის დილის სხდომა.

დილის სხდომაზე უზენაესმა სასამართლომ დაამთავრა ბრალდებულთა დაკითხვა.

დაკითხულ იქნენ ბრალდებულები: ფიზიცკი, შანშიაშვილი (ოლქის სასამართლოს ყოფ. მდივანი) და ლოტოევი (უზენაეს სასამართლოს ყოფ. მდივანი).

ბრალდებულები აცხადებენ, რომ ისინი არავითარ შუამავლობას არ ეწეოდენ და არავისთან არ ჰქონიათ ლაპარაკი საქმის გაჭყობის ან ქრთამის შესახებ.

ფიზიცკი აცხადებს, რომ მან მხოლოდ დააკმაყოფილა დათიკაშვილის თხოვნა და მიიყვანა ის მაჭავარიანების ოჯახში, რომელთანაც ის კარგ დამოკიდებულებაში იყო.

სასამართლოს თავმჯდომარე ეკითხება ბრალდებულ ლოტოევს: რატომ ღვინის სარდაფში დაიბარეთ დათიკაშვილი სასამართლოს საქმისათვის და არა სასამართლოში? როგორც სასამართლოს მუშაკს, შეგნებული გქონდათ თუ არა, რომ ეს იყო სახელის გატეხა იმ ორგანოსათვის, სადაც თქვენ თანამშრომლობდით?

ბრალდებული უპასუხებს: „ისეთ ადგილას ვიჯექით, რომ ვერავინ შეგვამჩნევდაო და ამასთან არ ეგონა თუ ეს სახელის გატეხა იქნებოდაო".

ბრალდებულების დაკითხვის დამთავრების შემდეგ მორიგი სხდომა გადაიდო საღამოს 7 საათისათვის.

ლიტერატურა და კრიტიკა

კვაჭი და ჯაყო

II *)

ხელოვნება — კაცობრიობის სულიერი ემოციების გამომხატველია. ლიტერატურაც — როგორც ერთერთი დარგი ხელოვნებისა, ამასვე ემსახურება. კაცობრიობა კი არასოდეს არ დგას ერთ დონეზე არც ფიზიოლოგიურად, არც ფსიქოლოგიურად. როგორც ცვალებადია ადამიანის ბიოლოგიური ტიპი, ისე ცვალებადია მისი ფსიქოლოგიური სახე. ადამიანის ბიოლოგიურ ტიპს სცვლის გარემო ბუნება, ადამიანის ცხოვრების პირობები, რადგანაც ეს უკანასკნელნი ყოველთვის ეგუებიან ბუნებას ადამიანის ფსიქოლოგიური ტიპიც გარემოების შედეგია; მისი სულიერი შეგნება მისივე სოციალურ და ეკონომიურ მდგომარეობის გამომხატველია. ეს დებულება თანაბრად მოქმედობს როგორც კერძო ადამიანის ცხოვრებაში, ისე საზოგადოების, კოლექტივის ცხოვრებაში.

კოლექტიურ შეგნებას, შემკრებლობით აზროვნებას ეპოქა ჰქმნის. ყოველ ეპოქას თავისი სპეციფიური შეხედულება აქვს ყველაფერზე — ხელოვნებაზე, მეცნიერებაზე, რელიგიაზე, მორალზე, პოლიტიკაზე და სხვ. რა მოვლენაც ერთ ეპოქაში ზნეობრივად ითვლება, იგივე მოვლენა მეორე ეპოქაში უზნეოდ ჩაითვლება. ერთი სიტყვით, ფსიქოლოგიური შეგნება, კერძო ადამიანისაა თუ საზოგადოებრივი, არ არის მუდმივ კატეგორიული, ხასიათისა; მისი ფორმაც და შინაარსიც სავსებით გამომდინარეობს ეპოქის ობიექტიურ პირობებიდან. სულიერი ემოციები კი, როგორცა ვთქვით, ხელოვნებაში იხატება, მაშასადამე ხელოვნების ფორმაც და შინაარსიც მუდმივ ერთგვარი არ არის; ეპოქის მიხედვით იგი ცვალებადია.

ყოველი მეცნიერება და ხელოვნებაც წარმოიშვება საზოგადოებისა და მისი კლასების საჭიროებათაგან. ჰეგემონია კი მეცნიერების დარგშიც და ხელოვნების დარგშიც, ყოველ სახელმწიფოში თუ საზოგადოებაში, გაბატონებულ კლასის ხელშია. ეს კლასი ყოველთვის სცდილობს, რომ საზოგადოთ კულტურა მისი იდეოლოგიის მსახური იყოს, ამიტომ ხელოვნებას და კერძოდ ლიტერატურას ამა თუ იმ ეპოქაში იმ დროის გაბატონებულ კლასის დაღი აზის. მაგ., საშუალო საუკუნეებში გაბატონებულ კლასათ ფეოდალები ითვლებოდენ. მათ ყველაფერი, არამც თუ კულტურა, თვით რელიგიაც კი თავის პრაქტიკულ საჭიროებებს შეუფარდეს. ცნობილია, რომ ქრისტიანიზმიც კი, რომელიც მსოფლიო, დავრდომილთა და მაშვრალთა რელიგიის პრეტენზიებს ატარებდა, მალე ფეოდალურ და ბოლოს ბურჟუაზიულ კლასების იდეოლოგიის გამომხატველად გადაიქცა. ლიტერატურამ ხომ თავის ფორმასაც და შინაარსსაც ჯერ ფეოდალური და შემდეგ ბურჟუაზიული კლასების პრაქტიკულ საჭიროებათა მიხედვით ამუშავებდა.

შინაარსის მხრივ ამ კლასებმა შექმნეს რომანის ორი სახე. ერთი — რომანი რეალურ და ობიექტიურ ცხოვრების მოვლენათა გამომხატველი; მეორე — რომანი ფათერაკებისა, თავგადასავლებისა, ფანტასტიურ ამბებისა. პირველი სახის რომანში შეიძლება ფაქტების სიმრავლე მოქმედების ჩქარი მსვლელობაც თვალს გვჭრიდეს, მაგრამ ადამიანის მთელი ბუნება გადაშლილია შიგ, მისი სულის ყოველი [illegible] უდიდეს ტრაგიზმიდან — კომიზმამდე. ასეთი რომანები სავსეა მხატვრული ადგილებით, რომლებიც, უეჭველია, მკითხველის ესთეტიურ განცდას უამრავ მასალას აძლევს. მეორე სახის რომანებში უფრო ფაქტების სიმრავლეს აქვს ადგილი დათმობილი. მას იმდენად ცხოვრების სინამდვილის და ადამიანის ფსიქოლოგიური ბუნების გამოხატვა არ აინტერესებს, რამდენადაც გარეგნული ეფექტი, „საკვირველი" ამბები, საარაკო-საგმირო თავგადასავალი მსუბუქი ხასიათისა. ასეთ რომანებს სენსაციურ და ხშირად საპოლიციო რომანებს უწოდებენ, როგორც მაგ., „წითელი ნიღაბის" (მასკის) საიდუმლოებანი და შერლოკ ხოლმსის თავგადასავალი და სხვ.

მოცულობის მხრივ ორივე სახის რომანები დიდტანიანები არიან, ამის მიზეზიც გაბატონებულ კლასების იგივე პრაქტიკული საჭიროებანი იყვნენ. მოცლილი ფეოდალი ან ბურჟუა იწვა ნებივრად თავის სავარძელში და კითხულობდა დიდტანიან რომანებს. მისთვის მრავალგვერდიანი რომანი უფრო მისაღები იყო, რადგან ეს დიდხანს გაართობდა ნებიერს. ამიტომ. სენსაციურ, ან საპოლიციო რომანებს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში დიდი მოწონება აქვთ.

რა სახისაა მიხ. ჯავახიშვილის ახალი რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე". თავისი ფორმით, შინაარსით და მოცულობით იგი სენსაციურ რომანის ტიპისაა. აქ დაუსრულებლივ მძივივით ასხმულია უამრავი კრიმინალური ხასიათის მოქმედება მთელი ეს ეპოპეია მკითხველის თვალწინ სწრაფად, კინემატოგრაფიულ ლენტასავით მირბის, ხოლო მკითხველის ყურადღებას არაფერზე აჩერებს.

რომანი კონცენტრიული ხასიათისაა. პირველი კონცენტრი არის „კვაჭი ქუთაისში". აქ კინემატოგრაფიულად მირბის მკითხველის თვალწინ: ა) „კვაჭის სიყვარული" აურაცხელ ქალებთან. ზოგის მოტყუება, ზოგის ძალად დამორჩილება, ზოგის ფულით ხელში ჩაგდება და მრ. სხვა; ბ) კვაჭის ქეიფი: ღვინო, დუდუკი, რესტორანი, ღვინის სარდაფი, სამიკიტნო და სხვა ასეთი, გ) კვაჭის შანტაჟი: მოპარვა, გაძარცვა, მითვისება, ყალბი საბუთების შედგენა და სხვა ამგვარი; დ) კვაჭის აფიორა: ჩხუბი, კაცის მოტაცება ფულის დატყუების მიზნით, კაცის მოკვლა გაძარცვის მიზნით და სხვ. დანარჩენი კონცენტრები: კვაჭი ოდესაში სტუდენტობის დროს, კვაჭი პეტერბურგში მსოფლიო ომის წინა ხანებში და რასპუტინის პერიოდში, კვაჭი საზღვარ გარეთ ამავე ომის წინ და ომის დროსაც, კვაჭი მსოფლიო ომში, კვაჭი რევოლიუციის პერიოდში რუსეთში და საქართველოში და ბოლოს უკანასკნელი კონცენტრი — კვაჭი სტამბოლში — თავით ბოლომდე განმეორებაა პირველი კონცენტრის, მხოლოდ, რასაკვირველია, უფრო ფართო მასშტაბით. იგივე სიყვარული, იგივე ქეიფი, იგივე შანტაჟი, იგივე აფიორა, რაც პირველს ქუთაისის კონცენტრში გვხვდება. ისე რომ ავტორს თავის რომანი პირველი კარით „კვაჭი ქუთაისში" რომ გაეთავებინა, რომანი არაფერს დაჰკარგავდა, რადგან შემდეგი კარები კვაჭის, როგორც ტიპის ფსიქოლოგიურ დახასიათებას არაფერს მატებს, ახალს არაფერს აშუქებს. სამაგიეროდ მკითხველი დიდათ მოიგებდა: წაკითხვითაც მოკლე ხანში წაიკითხავდა, რადგან ნებიერ ბურჟუასავით თავისუფალი დრო ეხლა თითქმის არავის აქვს და შესაძენათაც მცირეტანიანი წიგნი იაფი იქნებოდა.

ყოველ დიდ რომანს ერთი დიდმნიშვნელოვანი ღირსება აქვს — საზოგადოებრივი ჯგუფების სხვადასხვა ტიპებს გვიხატავს. მაგ., ტოლსტოის „ომი და ზავი" გვაძლევს მონუმენტალურ სახეებს: ბოლკონსკისა, პიერ ბეზუხოვისა, პლატონ კარატაევის, ნატაშასი და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენის უტყუარად. არის აგრეთვე გადმოცემული საზოგადოებრივი ფსიქოლოგია, ორგანიზაციაქმნილ და უორგანიზაციო ბრბოს ფსიქოლოგია და სხვ. როგორია ამ მხრივ რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე". სამწუხაროდ, ამ დიდტანიან და მრავალგვერდიან რომანში კვაჭის მკრთალი ტიპის მეტი არავინ მოსჩანს. ბესო შიქიას, ჭიპა ჭიპუნტირაძის, სედრაქ ავლაბრიანის, გაბო ჩხუბიშვილის, ლადი ჩაჩინჯილაძის და სხვათა სახეებს სრულებით ვერ ვხედავთ. ესენი არიან უპიროვნო ამფსონები, დამქაშები, ლითონის „კნობკები", რომელნიც კვაჭის თითის დაჭერებაზე ამოქმედდებიან ისე, როგორც კვაჭის სურს.

ზოგჯერ ფანტასტიურ რომანის კითხვა, მეტადრე თუ შიგ აფერისტულ ფათერაკებზეა ლაპარაკი, გასართობია, სიამოვნებით ითხება იმიტომ, რომ ათასნაირი კომბინაციათა [illegible] შიგ, რომლის კითხვის დროსაც ადამიანი დაახლოვებით იმავე სიამოვნებას განიცდის, რასაც მათემატიკოსი დახლართულ ამოცანის გადაწყვეტის დროს. მართალაც, ვის არ განუცდია ის ერთგვარი „სიამოვნება", როდესაც შერლოკ ხოლმსი ახალ-ახალ კომბინაციებს იგონებს, მათემატიკურად ანგარიშობს, რომ სენსაციური კრიმინალი შექმნას. სამწუხაროდ კვაჭის მოქმედებაში ამასაც ვერ ვხედავთ. მის ფათერაკებში იმდენად მოფიქრებას და კომბინატორულ ნიჭს არა აქვს ადგილი, რამდენადაც შემთხვევას, ბედს, ფორტუნას. აი მაგალითი — საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კვაჭიმ რამდენიმე საქმე „გააიმასკნა", მაგრამ ხელისუფლებამ მალე გაუგო და აფიორით შეძენილი ყველაფერი ჩამოართვა. დაკარგა კვაჭიმ ნაყიდი სახლები, „შეძენილი" ქონება და ყველაფერი. მხოლოდ შემთხვევით გადარჩა მისი რკინის ყუთი, რომელშიაც მომარაგებული ინვალუტა ბრილიანტები და სხვა ძვირფასეულობა ჰქონდა კვაჭის შენახული. მაგრამ მისმა ამხანაგმა პავლემ უღალატა და ეს ყუთი გაიტაცა. და აი კვაჭის საქმე რომ კარგად წავიდეს, ავტორი ასეთ კომბინაციას აწყობს: პავლეც დაიჭირეს, მეტეხში ჩასვეს. კვაჭიც დაიჭირეს და ბედმა ისე მოაწყო, რომ იგიც სწორედ ამ კამერაში მოხვდება, სადაც პავლე ზის აქ შემთხვევით გაიგო კვაჭიმ ძვირფასი ყუთის ადგილი და სულ ადვილად დაიბრუნებს მას. ან კიდევ — ბოლოს კვაჭი მართლმსაჯულებას მაინც ჩაუვარდება ხელში. ზის კვაჭი ჩეკის ბნელ სარდაფში. აქაც სწორედ ისე უნდა მოეწყოს ბედი, რომ შემთხვევით იმავე სარდაფში მოხვდეს ვინმე ალექსი, რომელიც კვაჭის ნაცნობის მამა გამოდგება, რომლის შემწეობითაც კვაჭი თავს გამოიძვრენს. ასეთივე შემთხვევითი მოვლენაა და „ბედის" წყალობა კვაჭის უკანასკნელი მგზავრობა სტამბოლისკენ, გაცნობა ელიბეისთან, სტამბოლში ყველა ძველი ნაცნობების ერთად თავის მოყრა, სტამბოლში, თითქოს კვაჭის მოელოდინო, ელენეც იქ დაუხვდება, რუბენიც იქ არის და რასპუტინიც, რომ ცოცხალი ყოფილიყო, უეჭველია, ავტორი იმასაც აქ დაახვედრებდა კვაჭს. ასეთი სცენები კი უბრალო ფოკუსებს წააგავს და რომანის იმ ღირსებასაც კი ჩრდილავს, რომელიც საპოლიციო ან სენსაციურ რომანებს აქვთ ხოლმე.

აქ რომ შევადაროთ ერთმანეთს კვაჭი და ჯაყო, უპირატესობა, უეჭველია, ჯაყოს მხარეზე იქნება. ჯაყო მთლიანი ტიპია, დიდი ჭკვიანი და მოხერხებული კომბინატორი. მივაყოლოთ თვალი ჯაყოს მოქმედებას და დავინახავთ მოაზრების სიმწიფეს, მოქმედების მთლიან გეგმას, კომბინაციის ყველა გზების წინდაწინვე გამოზომვას. ჯაყო არ მოქმედობს კვაჭისავით შემთხვევით, ბედის ანაბარა. დადგა თუ არა ის თეიმურაზთან მოურავად, იმ წამსვე შეატყო რომ ჩანჩურასთან აქვს საქმე. და აი ადგენს მათემატიკურად სწორედ შედგენილ გეგმას, თუ როგორ დაისაკუთროს თეიმურაზის ყოველივე და ყველაფერი. მოვიგონოთ, როგორ აყენებს ჯაყო თეიმურაზს მიწების, ღალის და სხვა შემოსავლის საქმეში, როგორ თანდათანობით, გამოზომილ სისტემით ითვისებს თეიმურაზის უძრავ და მოძრავ ქონებას. მოვიგონოთ თეიმურაზის საგვარეულო განძეულობის მითვისების ისტორია და დავინახავთ რომ ჯაყოს კომბინაციები ბევრად აზრიანად შედგარია, ვიდრე კვაჭის აფიორები.

მოხდა რევოლიუცია. აირია ქვეყნიერება. ჯაყო მაშინვე მიხვდა, რომ ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა ადვილია. და ისიც ნელ-ნელა და მოხერხებულად იჭერს თეიმურაზის თევზებს. გათამამდა ჯაყო, მას აღარ ჰყოფნის პატარა თევზები, და ისახავს საშინელ გეგმას, თუ როგორ დაიჭიროს თეიმურაზის ორაგული. თეიმურაზის მარგო მოუნდა ჯაყოს. ამისთვის ადგენს კოხტა კომბინაციას. ოსტატურად დაჰპატიჟებს თეიმურაზს და მარგოს თავიანთეულივე სახლკარში. პირველად თეიმურაზს წაიყვანს სოფლის სანახავად. შემდეგ მშვენივრად მოაწყობს მარგოს მგზავრობას რკინის გზის სადგურამდე და სადგურიდან სოფლამდე. ისე წაიყვანს საქმეს, რომ პირველყოფილი, ნახევრად ველური ჯაყო თავს შეაყვარებს კულტურულ მარგოს. ეს უკანასკნელი წერა-კითხვასაც ასწავლის, კბილებსაც უსუფთავებს; ლაზათიანადაც აცმევს, [illegible] უმშვიდებს. მეტი რაღა გინდათ. შეადარეთ ამ კოხტად მოწყობილ კომბინაციას კვაჭის რომელი საქმეც გინდათ და დაინახავთ, რომ კომბინატორულ [illegible] კვაჭს ჯაყო სჯობია.

ჯაყო აზრიანი ფინანსისტია, პრაქტიკული ნიჭია ვაჭრობაში, სოფლის მეურნეობაში, ადმინისტრატიულ საქმეებში და რამიაც გინდათ. გაიზნაურებისთვის კვაჭის აშორდია სჭირდება, ჯაყო თვით აშორდიაა. რევოლიუციას რომ არ შეეშალა ხელი, ჯაყოს შვილი გვარად თავადი ხევისთავი იქნებოდა. ერთი სიტყვით ჯაყო მთლიანი ტიპია, გაკადნიერებული, გალაღებული, გათამამებული, ადამიანი, რომელიც არაფრის წინ ქედს აღარ იხრის. კვაჭის ყოველი დაწყებული კომბინაციისა ეშინიან, შედეგი რა იქნებაო. ჯაყოს თავის კომბინაციების შედეგები წინდაწინვე მოსაზრებული და გაცნობილი აქვს; ერთი სიტყვით ჯაყო მ. ჯავახიშვილის ტიპებში მშვენებაა ფსიქოლოგიური სისწორით და პიროვნების მთლიანობით. კვაჭი კი ფსიქოლოგიურად მკრთალი და არა სრული ტიპია. იგი უფრო შემთხვევით კომბინაციებისგან შემდგარი კომპლექსია.

რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე" მრავალი ღირსებითაც შემკულია. იგი მთელი საუკუნის მხატვრულად შედგენილი მატიანეა. ძლიერია რომანი სწორედ იქ, სადაც გადაშლილია რასპუტინის ეპოპეია, რუსეთის მეფის „პრიტონები", სასახლის გარყვნილება, მმართველი კლასის გათახსირება და სხვ. მრავალი. ნაქიერად შედგენილი ისტორია, გინდ მემუარები, გინდ საგაზეთო წერილები ისე ცოცხლად ვერ გადმოგვცემენ ძველი რუსეთის სურათს, როგორც რომანშია. მაგალითები: თვით რასპუტინის არსებობის ფაქტი რუსეთში, რუსეთის მეფის სახელმწიფო მრჩევლები, სალონები, ყრუ-მუნჯები, ეპილეპტიკები, როსკიპები — აი ელემენტები, რომელსაც ემყარებოდა რუსეთში მეფიზმის მმართველობა. ცხადია, ასეთ პირობებში კარიერას შეიქმნის მხოლოდ აფერისტი ადამიანი, უპრინციპო, შანტაჟის მოყვარული, როსკიპების და ლოთების დამქაში, და ამიტომ კვაჭი ასეთ რუსეთში შეიქმნა „დიდი სახელმწიფო მოღვაწე", რომელსაც მეფის მთავრობამ ჩააბარა მთელი ომის მთელი ბედ-იღბალი. ასეთ სცენების დასურათებაში მ. ჯავახიშვილის ეპოსი თავის კულმინაციას აღწევს.

ყველა ზემონათქვამიდან შეგვიძლიან დავასკვნათ: ხელოვნებაში საზოგადოდ და კერძოდ ლიტერატურაში ფორმის ტიპიც და სტილიც განიმარტება საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობით. ეს — განხორციელებაა გაბატონებული ფსიქოლოგიის და იდეოლოგიის. ამ მხრივ რომანს უტყუარად გამოჰყოლია ლიტერატურის ძველი ტრადიციები: მრავალ სიტყვაობა, გამეორება, დაუსრულებელი ციტატები საღმრთო წერილიდან და სხვ., ამიტომ რომანი ვერ მიიქცევს დღეს ჩვენში გაბატონებულ ფსიქოლოგიის და იდეოლოგიის არეში, მას კიდევ ბურჟუაზიული რომანის სუნი აქვს.

ავტორმა თავის ნაწერებში რევოლიუციის პერიოდიდან, ჯაყოს მეტი, გარკვეული ტიპი ვერ მოგვცა. მრავალგვერდიან „კვაჭი კვაჭანტირაძეში" არ შეგვიძლია შევჩერდეთ ვერც ერთ ტიპზე, რომელიც ტიპიური გამომხატველი იქნება, გინდაც უარყოფითი ხასიათისა, თანამედროვე ძალთა განწყობილებისა.

სამაგიეროდ მ. ჯავახიშვილის ნაწერები თავისი ეპიური სტილით, ლამაზი ენით, ალაგ-ალაგ კი სურათებით და ისტორიულ მოვლენათა მხატვრულ ფორმებში გადმოცემით მშვენიერი საკითხავია.

თედო ბეგიაშვილი.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 113

მუშათა ცხოვრება

წითელი ხეცი ამხ. მიხ. ივანაშვილი



ამხ. ივანაშვილი.

თბილისის ფოსტის მთ. კანტორას ჰყავს ერთი დაუღალავი მუშაკი, ამხ. მიხეილ ივანაშვილი. იგი ამ ჟამად ერთ-ერთ განყოფილების გამგედ არის. ის არის გლეხის შვილი ობლად დარჩენილი ბიძასთან იზრდებოდა სოფელში. აქ მინდორში საქონლის დევნასთან ერთად—სცდილობდა შეესწავლა წერა-კითხვა, მაგრამ მალე უკვე 13—14 წლის მიშა წავიდა ქალაქში ხელობის შესასწავლად. მაგრამ აქ მან ხელობის შესწავლა ვერ მოახერხა, რადგანაც „ხაზეინის“ ჩუმად უხდებოდა წიგნის კითხვა და ამიტომ იძულებული გახდა მოენახა სხვა სამუშაო. ბევრი უმუშევრობის და სიმშილის შემდეგ ამხ. მიშა მიიღეს ფოსტაში შესაფერ საქმეზე, სადაც მიშას მიეცა საშვალება შეესწავლა წერა-კითხვა რუსულადაც.

გაჩნდა დიდი იმპერიალისტური ომი და მიშა გადაიყვანეს საველე ფოსტაში ფოსტალიონად კავკასიის ფრონტზე. აქ მიშა დაუახლოვდა სხვადასხვა ნაწილების ჯარის-კაცებს. მიშასთან ერთად მსახურობდა ერთი ჯარის-კაცი (ყოფილი სოფლის მასწავლებელი), რომელიც ყოველთვის ბევრს ელაპარაკებოდა და რაღასაც უმტკიცებდა მას. დადგა 1917 წელი და გამოაშკარავდა მიშას და მისი ამხანაგის შეხედულება, ეს ამხანაგი კომიტეტის დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო და მიშა კი—მისი მარჯვენა ხელი. მათ ხშირად უხდებოდათ მენშევიკებთან ბრძოლა. ისინი იმათ სთვლიდენ მოღალატეებად და უქადდენ სავ[illegible] სამართლოზე გადაცემას, მაგრამ ამათ არ ეშინოდათ მუქარის და ცხადათ თუ ფარულათ ეწეოდენ ბოლშევიკურ აგიტაციას. ფრონტიდან მოხსნის შემდეგ მიშა აუტანელ პირობებში ცხოვრებით მეწვეიკების დროს ძალიან ავადმყოფობს, რაც აშორებს მას პოლიტიკას დიდის ხნით. ამ ჟამად იგი ყველა მასთან მომუშავეთა სასიხარულოდ არის განყოფილების გამგეთ. ამ განყოფილებას არც ჰყოლია ასეთი კარგი გამგე არას დროს. ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სავსე ენერგიით, იგი ყველასათვის საყვარელი და პატივსაცემი ამხანაგია და საქმის კი დიდი ერთგული.

ფოსტალიონები: **არჩილ სამადაშვილი, არმენაკ მელიქოვი, შაქა ორვი ავეტის.**

მუშათა კლუბი სენაკში

მესამე წელია რაც სენაკის პროფბიურო აწარმოებს მუშათა კლუბის აშენების საქმეს. დიდი შრომა და ენერგია, დიდი თანხა და ხარჯები მოითხოვა მან!.. ძნელი იყო მისი აშენება, მაგრამ აუწერელი იყო ის აღფრთოვანება, რომლითაც შეპყრობილი იყვნენ სენაკის მუშა-მოსამსახურენი კლუბის გახსნის დღეს!..

აუარებელი ხალხი!.. საუცხოვოდ მორთულ-მოკაზმული შენობა გულს უხარებდა მუშებს და მოსამსახურეებს.

კლუბის გახსნის გამო მისასალმებელ სიტყვებით გამოვიდნენ: ალ. ორიგავა, ი. გვახალია, ირ. ხუხუა და მ. კაპტარავა.

ამის შემდეგ დაიდგა პიესა „გეგეჭკორი“. ბოლოს რ. შელეგიას გუნდმა შეასრულა რამოდენიმე ქეგრიული სიმღერები. ბოლოს გაიმართა

საღამო დამთავრდა ღამის 3 საათზე.

მუშკ. ბ. უჩანეიშვილი.

გვიხსინით ამ გაჭირვებისაგან

(განათლების მუშათა პროფკავშირის საყურადღებოდ).

ბოლნისის თემის და ზედა-გუზროლის სოფლ. მასწავლებლობა შორიანის განათლ. ადგილკომს მიგვაკერეს, რომელიც დაშორებულია 19—25 ვერსზე, სიარული გვიხდება ფეხით, რაც ძალიან უხერხული და შეუძლებელია. ჩვენ მოვითხოვთ, რომ მოგვეცეს ნება ადგილობრივ ჩვენი ადგილკომის დაარსებისა.

ინ-ცან-თაში.

მუშათა ქრონიკა

(რკინისგზელთა ცხოვრებიდან)

— **უმუშავართათვის.** საუბნო პროფკავშირი აწარმოებს მოლაპარაკებას ა | წ. ტვირთ-ზიდვის საბჭოსთან, რათა უმუშევარ რკინისგზელებს, მიეცეს დროებით სამუშაოები.

— **ზე ოკლები.** ბათომის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა. შემოკლოს რკ. გზ. კლუბებში სამი წრების რიცხვი და მათ მაგიერად მოეწყოს მასიური მუშაობა.

— **სასადილო.** რკ. გზ. პროფგანათლების კურსებთან რკ. გზ. უმუშავართა ნადმა მოაწყო სასადილო.

— **დახმარება პიონერებს.** ა.-კ. რკ. გზელთა კომიტეტმა მისცა ლენინის რაიონის ახალგაზრდა პიონერების ორგანიზაციას 1000 მანეთი.

— **კედლაზეთი „ახალი წყარო“.** ლენინის უბნის ახალგაზრდა პიონერთა მე-10 კოლექტივმა გამოსცა კედლის გაზეთი „ახალი წყარო“.

— **დელეგატების გადარჩევა.** მე-6 სალიანდაგო უბანში მოხდა ადგილკომის დელეგატების გადარჩევა. არჩეულია 17 კაცი.

— **საშეფო საზოგადოების დაარსება.** მე-6 სალიანდაგო უბანში დაარსდა საშეფო საზოგადოება.

— **უმუშევართა საყურადღებოდ.** 2 ივლისიდან დაიწყო აღრიცხვა და გაგრძელდება 6 ივლისამდე თბილისის რკინის გზის ადგილკომებში. დანიშნულია ადგილკომებთან მიმაგრებულ რკინის გზის კავშირის უმუშევარ წევრთა ხელახალი აღრიცხვა. ვინც არ გამოცხადდება, აღნიშნულ დროის განმავლობაში გამოირიცხება კავშირიდან.

იმედია, თხოვნას შეგვისრულებთ

(აღმასკომის საყურადღებოდ)

მე-8 სამილიციო უბანში ალექსანდროპოლის ქუჩაზე არის მშვენივრად აგებული წყლის ბუდკა, რომელიც ეკუთვნის აღმასკომს და რაღაცა მიზეზების გამო ეს ბუდკა დაკეტეს. ამ ქუჩაზე უმთავრესად სცხოვრობენ ღარიბნი და მშრომელნი. ესენი დიდ გაჭირვებას განიცდიან უწყლობით. იმედია, გაგვიხსნიან დაჩქარებით ამ წყალსადენს.

მუშკორი ვარდი.

გამოუქვეყნებელი წერილებიდან

საჭიროა ქუჩების მორწყვა

(აღმასკომის საყურადღებოდ)

ტრამვაის დირექტორის მიერ ქუჩების მოსარწყავად იქნა შემოღებული ბაკი, რომელიც რწყავს მხოლოდ იმ ქუჩის ნაწილს, სადაც გაყვანილია ტრამვაის ხაზი, დანარჩენი ქუჩები რჩება მოურწყავად. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

მუშა ბაბი.

ჩვენ ამ სამუშაოს სიამოვნებით შევასრულებთ

თბილისის ცეცხლ-მქრობელ რაზმის მემილეთა გუნდის თანამშრომლებმა მოისმინეს ბრანდმაიორ ამხ. ბერიძის მიერ გადმოცემული თხოვნა „გლეხთა სახლის“ გამგისა, გლეხთა სახლში“ უფასოთ კომლსადენების შეთეთრების და გაწმენდის შესახებ და დაადგინეს, რომ ისინი სიამოვნებით შეასრულებენ სამუშაოს, ჩვენი გლეხების საკეთილდღეოდ.

მემილეთა გუნდი ეძლევა სახლის გლეხთა ორგანიზაციას და სთვლის თავის ამხანაგურ მოვალეობად, რაც შეიძლება ჩქარა, შეასრულოს ზემოხსენებული სამუშაო.

გაუმარჯოს სოფლის და ქალაქის დაახლოვებას.

კომლსადენ მწმენდელთა რწმუნებული: პანჩენკო.

რკინისგზაზე

კინო ვაგონები.

ა | კ. რკინის გზელთა პროფკავშირის კულტ-განყოფილება შეუდგა კინო ვაგონების მოწყობას.

საშეფო სოფლებში.

ა | კ. რკინის გზელთა პროფკავშირმა მიმართა ყველა საუბნო პროფკავშირებს, რათა კინო სურათების ჩვენება საშეფო სოფლებში ჩატარებული იქნეს უფასოთ.

აღრიცხვა.

ტფილისის საუბნო პროფკავშირმა მთავარ სახელოსნოს შემფასებელ კომისიის წევრებად დაამტკიცა ამხ. ბოლქვაძე და ხუბულური, დეპოში კი რიხმაძე და სუხიშვილი.

ფასიან წარმოდგენის გამართვა.

ტფილისის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა, თვეში ოთხჯერ იმართებოდეს ამხ. ს. ორჯონიკიძის კლუბში ფასიანი წარმოდგენა.

განათებისათვის.

ტფილისის საუბნო პროფკავშირმა ნავთლულის კლუბის ელექტრონის განათების მოსაწყობად გადასდო 225 მ. 50 კ.

ტანსაცმლის შესაძენად.

ტფილისის საუბნო პროფკავშირმა მისცა სამასალო საწყობის ადგილკომს 200 მან. პიონერების ტანსაცმლის შესაძენად.

ვაგონი მონადირეებს.

ტფილისის საუბნო პროფკავშირმა მიმართა რკინის გზის სამმართველოს რათა მიეცეს ერთი ვაგონი ტფილისის საყუდის მუშა-მონადირეებს.

წევრთა რაოდენობის ზრდა.

ტფილისის საუბნო პროფკავშირის ცნობით წევრთა რაოდენობა უკანასკნელ 3 თვის განმავლობაში გაიზარდა 503 კაცით, კავშირში ამჟამად ირიცხება 11.253 კაცი.

ხელოვნება

ვახტანგოვის სახელობის სტუდიის გასტროლები

„ლევ გურიჩ სინიჩკინი“.

2 ივლისს წარმოდგენილ იქნა ლენსკის მობერებული ვოდევილი „ლევ გურიჩ სინიჩკინი“.

დღევანდელ თეატრს საერთოდ დიდი წინსვლა ეტყობა ფორმებისა და ტეხნიკურ მხარის მიღწევებში, მაგრამ იდეოლოგიურათ კი ძალიან მოიკვეთებს, რეპერტუარის შეუფერებლობა და სისუსტე ლამის საერთო სენათ არის გადაქცეული. ასევე ითქმის ვახტანგოვის სტუდიის შესახებაც. ამ ნაკლს თვითონაც კარგათა გრძნობენ და სწორეთ ამიტომ სიხოვს ეს დახავსებული ვოდევილი გადაუხალისებია დროულ ჩანგზე. დრომოჭმული და მოსაბეზრებელი სრულიად ამოუშლია. სამაგიეროთ შიგ ჩაურთავს თანამედროვე ატმოსფერის წკიპურტები, იუმორი და სიმახვილე. ამიტომ ის მისალები და ნაცნობი ხდება დღევანდელი აუდიტორიისთვის.

საერთო ტონი შესრულებისა ისეთივე ორიგინალურია. მსუბუქი და ხალისიანი რაც განსაკუთრებით ახასიათებს ამ სკოლას. მაგრამ მაინც აკლია სილაღე, ფერადოვნება და მხატვრული გადავარდნა „პრინცესსა ტურანდოტისა“.

დასიდან კერძოთ რომელიმე მსახიობის გამოყოფა ძნელია: იქ თითქმის არავინ ირჩეოდება ერთი მეორისაგან. ეს არის წმინდა კოლექტიური შემოქმედება, სადაც ყოველი წევრი თითქმის თანაბრათ ეწევა ხელოვნების ჰაპანს.

ვოკალური მხარე მსახიობებისა შესამჩნევად მოისუსტებს. პიესის მიმდინარეობაში კი ბევრჯერ უხდებათ ხმის გამოჩენა.

—

3 ივლისს წარმოდგენილ იქნა „კლარა გაზულის თეატრის“ რკალიდან ოთხი პატარა კომედია მერიმესი.

ეს კომედიებიც უკვე გაცვეთილ მასალას წარმოადგენენ სცენისათვის. მაგრამ სტუდიის თავისებურობა, ახალგაზრდული სიჯანსაღე და უცილებელი იუმორი—მხატვრულ იმპროვიზაციათ დაბლანდული ყოველ ხვეულში, საამო გასართობათა ხდის ყველა ამათ.

ჩვენის აზრით მაინც უკეთესი იქნებოდა, რომ ეს ორიგინალური, მხატვრული აწყვეტა ამ თეატრისა ხდებოდეს უფრო შესაფერ რეპერტუარში, რომელიც თავისი არსით ჰარმონიულად იქნება შექსოვილი ამ თეატრის ტონსა და მიმართულებასთან.

ანსამბლი ისევე მთლიანი და ხელშეწყობილია, როგორც წინეთ, მაინც ყურადღებას იზიდავს „სამოთხე და ჯოჯოხეთში“ მანსუროვა. ის ასრულებდა დონია უსაკას როლს; მეტყველება სახისა—მდიდარი ცვალებადობა პოზისა და სულიერ განწყობილებისა—სწრაფი, ბუნებრივი და ლაღი გარეგნობაც შესაფერისად ხელშემწყობი. კარგი დასტატებით თამაშობს ფრაი ბართლომეს—ზახავა.

„წმინდა ნაწილების ეტლში“ გამოსარჩევი იყო ბაროვი—დონ ანდრეს როლში.

„აფრიკული სიყვარული“—ეს ლამაზი კომედიაა, მაგრამ აქ უფრო ნაკლებ სჩანდა სტუდიის ორიგინალობა, მოხანას როლში მილწერის ქალს ვერა აქვს შესაფერი გარეგნობა, რომ შეიქნას მთლიანობა შთაბეჭდილებისა.

ყველაზე უკეთესად ჩატარდა „ქალი—მაცდური“. თუმცა პაპოვას ქალსაც ძალიან ნაკლები საცდუნებელი გარეგნობა აქვს. ეს კი არსებით მხარეს წარმოადგენს კომედიის სისრულეში.

საერთოდ მეორე და მესამე გასტროლები (სიმონოვისა და პოპოვას რეჟისორობით)—ეს არის ვახტანგოვის მეთოდების და მიმართულების საერთო მიბაძვა და არა მათი სრულქმნა. ეს განსხვავება ძალიან თვალსაჩინოა, როცა ვითვალისწინებთ „პრინცესსა ტურანდოტის საზღაპრო დადგმას.

ლელი.

—

— **ოპერის თეატრში** დღეს ვახტანგოვის სახელობის სტუდიის მიერ წარმოდგენილი იქნება: „პრინცესა ტურანდოტ“.

— **სახელმწიფო კონსერვატორიის** რექტორი იპოლიტოვ-ივანოვი მიიწვიეს მოსკოვის დიდი თეატრის მუსიკალურ განყოფილების გამგეთ.

— **საღამო—დისპუტი.** ორშაბათს, 6 ივლის, რუსთაველის თეატრში გამართება საღამო-დისპუტი ქართულ ფუტურისტებზე. დეკლარაციას წაიკითხავს ჟანგო ღოღობერიძე. დისპუტში მონაწილეობენ ყოველ ლიტერატურული ჯგუფების წარმოადგენელნი.

— [illegible] **კლუბში** დღეს გაიმირთება რუსული წარმოდგენა ძსახიობ რადოლინის და ნევინას მონაწილეობით. მიდის ოსტროვსკის პიესა „უდანაშაულო დამნაშავენი“.

— **მხედართა კლუბში.** გუშინ საღამოს შესდგა სხარტ. ლეგიონ. მხედართა კლუბის საზეიმო გახსნა.

— **კედლის გაზეთების გამოფენა.** ხვალ წითელი არმიის და ფლოტის სახლში გაიხსნება კედლის გაზეთების გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილი იქნება კედლის გაზეთები ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე.

— **წიგნის კვირეული.** 6 ივლისიდან ქართულ სამხედრო ნაწილებში დაიწყება „წიგნის კვირეულის“ ჩატარება.

შემთხვევები

— **ბოძიდან გადმოვარდნა.** 3 ივლის ხეჩუთოვის ქუჩაზე ელექტრონის ბოძიდან გადმოვარდა მანტიორი გიორგი თოძე, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

— **ცეცხლი.** 3 ივლის ყოფ. სასტუმრო „კავკასის“ შენობას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლისმქრობელმა რაზმმა.

— **გაუპატიურება.** 28 ივნისს ღამით, სოფ. საგარეჯოში მოქ. ესაიაშვილმა ღამე ნინა დიდმელაშვილს დაუდარაჯდა მისივე სახლთან გაუპატიურების მიზნით. როცა ქალი საქმისათვის გამოვიდა გარეთ ეცა ესაიაშვილი და მოუნდომა გაუპატიურება მაგრამ ქალმა დიდიხნის წინააღმდეგობის შემდეგ მძიმედ დასჭრა ესაიაშვილი იქვე დერეფანში შემთხვევით დაგდებულ დანით.

— **ტრამვაის ქვეშ.** 3 ივლისს ღამის 11 საათზე კლარა ცეტკინის ქუჩაზე ტრამვაის ქვეშ მოყვა მოქ. ალექსანდრე წაწობაშვილი და მძიმედ დაშავდა.

— **ჯიბგირობა.** 3 ივლისს შეიპყრეს ჯიბგირი ნიკოლოზ მატინოვი, რომელმაც მოქ. ხოხვაშვილს ჯიბიდან ამოაცალა 10 მან.

— **ქურდობა.** 29 ივნის სოფ. სართიჭალაში გაქურდეს გლეხ ურდულაძის სახლი.

სოფელი

ასეთი მდგომარეობა მიუღებელია

(მიწის კომუნების შესახებ)

კომუნები სოფლად ძალიან გავრცელებული არ არიან, მხოლოდ რაც არსებობენ, იმათზეც საკმარისია გავჩერდეთ.

კომუნებმა მაგალითი უნდა აჩვენონ სოფლის პატარ-პატარა კერძო მესაკუთრეებს ე. ი. ჩვენს გლეხობას, თუ როგორ უნდა მოეწყოს მომავალში სოფლის მეურნეობა და სოფლის ახალი ყოფა-ცხოვრება.

როგორია დღეს კომუნა? მაგალითისათვის ავიღოთ ს. ველისციხის კომუნა სიღნაღის მაზრაში. ეს კომუნა კარგა ხანია არსებობს. დღეს აქ ერთი კომუნაა, მაგრამ ამ ორი წლის წინ ორი კომუნა იყო. სულ კომუნაში შედიოდა 164 სულამდის; დღეს ირიცხება 34—40 სული.

კომუნაში მუშაობა ხდება დაქირავებული მუშა ხელით, კომუნას უკავია საუკეთესო მიწები, რაც კი ჩამორთმეულ იყო მდიდარ მემამულეთაგან. არის შემთხვევა, როცა კომუნა დამუშავებულ ადგილს იწერავს თავის ფარგლებში და მით იწვევს უკმაყოფილებას.

როგორია კომუნის შემადგენლობა? რა თქმა უნდა ამ საკითხს სოფლის ცხოვრებაში უპირველესი ადგილი უჭირავს. მართლაც გასაკვირველი მოვლენაა. მაგალითად ს. ველისციხის კომუნაში შედიან ყველა ამ სოფელში ადმინისტრატიული თანამდებობის პირნი და ამის შემდეგ სხვა გლეხები. წევრთა შორის ირიცხებიან არა სანდო პირნიც და კომუნის საბელით ხდება ბევრი რამ დაუშვებელი.

ავიღოთ მეორე სოფელი თელავის მაზრიდან, ურიათუბანი. აქ დღეს არსებობს ორი კომუნა ოფიციალურათ, ერთიც ეხლა სდგება, მაგრამ ვერ მიიღო საკმაო მიწები და ამიტომაც თავისი მოქმედება ვერ მოაწესრიგა. ერთი სიტყვით გაიმართა კონკურენცია: რომელმა კომუნამ უნდა იარსებოს და რომელმა უნდა მიიღოს ყოფილ თავადების მამულები.

ამას გარდა თვით კომუნაში მოიკალათეს ზოგიერთ მდიდარ გლეხებმაც, რომელთაც შეეშინდათ მამულების ჩამორთმევის და მიაწერეს თავის მამულები კომუნას, მხოლოთ კერძოთაც დაიტოვეს სახლ-კარი და მამულიც.

რა უნდა სთქვას გლეხობამ ასეთ კომუნებზე? რა თქმა უნდა ასეთ პირობებში კომუნების დატოვება ყოვლად შეუძლებელია.

ილ. ქოჩიაშვილი.

რა უშლის ხელს მიწათმოწყობის დაჩქარებას

ჩვენ გამოგვიწვია გამოგვეთქვა ჩვენი მოსაზრება მიწათმოწყობის საკითხზე გაზ. „კომუნისტის“ რედაქციამ. ამ გაზეთის ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო წერილი „მიწათმოწყობის დაჩქარების“ შესახებ. წერილის ავტორს ჩვენ ზოგიერთ მოსაზრებაში არ ვეთანხმებით.

ის სწერს, რომ გლეხის მეურნეობა დაქუცმაცებულია. მას მიწის ნაჭრები სხვა და სხვა ადგილას აქვს და ეს შეუძლებლად ხდის მეურნეობის ტეხნიკურ გაუმჯობესებასო. ამიტომ მას საჭიროდ მიაჩნია ამ დაქუცმაცებული მიწის ნაჭრების მოსპობა, მიწების გადანაწილება ისე, რომ მეურნეს ჰქონდეს მთლიანი ნაჭერი.

ეს მშვენიერი აზრია, ამაზე ჩვენ დიდი ხანია ვფიქრობთ, მაგრამ ამ საკითხის მოგვარებას ძალიან ფრთხილად და დაფიქრებულად უნდა მოვეპყრათ, თორემ გლეხებისაგან მადლობის მაგიერ ჩვენ გულისწყრომას დავიმსახურებთ.

ავტორი თვითონ ამბობს, რომ ეს საქმე ძნელიაო, ვინაიდან სხვა და სხვა ნაჭრები სხვა და სხვა ხარისხისაო. ჩვენ ვამბობთ ამ საკითხის მოგვარების წინ ელობება კიდევ სხვა სიძნელე. საქმე იმაშია, რომ გლეხი ისე ებღაუჭება თავის მამა-პაპეულს, როგორც საკუთარ ღვიძლ შვილს და ფონდიდან მოცემულ ჯერ-ჯერობით უნდობლად უყურებს. იგი არავითარი გზით, თუ არა იძულებითი წესით, საკუთარ მიწის ნაჭერს არ დასთმობს. კერძო საკუთრება მას ჯერ-ჯერობით ძვალში და რბილში აქვს გამჯდარი. ამისი დამამტკიცებელი ფაქტები ბევრია, მაგალითად: სოფ. ზედაეწერში (ზუგდ. მ.) რამდენიმე პარტიულ ამხანაგებმა მოვინდომეთ მიწის კოლექტიურათ დამუშავება. ჩვენ—ოთხი ამხანაგი ვმსახურობთ მდ. ჩხოუშის ნაპირზედ და გვაქვს საკმაოდ წაყოფიერი მიწა. ჩვენი გვერდით სახლობენ სულ უნაყოფო ადგილზე მეზობელი გლეხები. მათ მოვთხოვეთ მოეცათ ჩვენთვის სამოსახლო ადგილი. ჩვენ კი სამაგიეროთ ნაყოფიერ ადგილს უთმობდით. დახე ჩვენს გაოცებას, როდესაც მეზობელ გლეხებმა ჩვენს ასეთ წინადადებაზე უარი გვითხრეს.

ჩემი აზრით საჭიროა თვითეულ მეურნეს ანუ კოლექტივს, ჰქონდეს მთლიანი მიწის ნაჭერი.

პირველ ყოვლისა პარტიულმა ამხანაგებმა უნდა ითაონ მიწის კოლექტიურათ დამუშავება.

თუ გლეხი დაინახავს ასეთი დამუშავების სარგებლიანობას, თვითონ მოისურვებს კოლექტივში შესვლას, თვითონ დარწმუნდება ნაჭრების განაცვლება-გადანაწილების მიზანშეწონილობაში.

გლეხკორი ჩხოუშიშვილი.

რა იქნა წარმოდგენის შემოსავალი

(ნატანების რაიონი)

ა | წ. 18 ივნისს სად. ნატანებში ადგილობრივმა დრამ. დასმა გამართა საღამო-წარმოდგენა. წარმოდგენის ხელმძღვანელები იყვნენ ნატანებ-რაიონის რკინისგზის დაწესებულებათა 3 | მგ. ამხანაგები. გლეხკაცობამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო სცენის და ბუფეტის მოწყობაში, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ საღამო-წარმოდგენის შემოსავალი უნდა მოხმარებოდა სამკითხველოს დაარსებას, მასთვის შენობის აგებას. შემოსავალი საგრძნობი იყო.

25 დღე გადის მას შემდეგ, ხოლო არც სამკითხველო სჩანს და არც ფული, რაც იწვევს მითქმა-მოთქმას. დროა არის წარმოდგენის ინიციატორებმა ანგარიში ჩააბარონ ხალხს და შემოსავალი მოახმარონ განზრახულ საქმეს.

ვ. ოქტომბრიშვილი.

წერილებიდან

ს. ლანჩ-ჭყაპი. ასოცი წელიწადია ჩვენ გვაქვს სარწყავი არხი. მის სათავეში უკანასკნელად მოექცა გამგეობა, რომელიც არ სარგებლობს ნდობით გლეხების თვალში. არის შემთხვევები, როცა არხის გადასახადის აკრეფის დროს გამგეობა დაპატიმრებითაც კი ახდენს ზეგავლენას. წელიწად ნახევარია რევიზიას არ ჰქონია ადგილი, რაზედაც ხალხი უკმაყოფილებას აცხადებს.

მუშათაგანი.

—

ს. ბარღეფი. (სოხუმის მ.) ჩვენს თემში სცხოვრობს შვიდასამდე მეკომური. ოთხი წლის წინათ აღვძარით კითხვა შვიდწლედი შრომის სკოლის დაარსების შესახებ. მთავრობამ გაგვიხსნა ასეთი სკოლა, მაგრამ მალე მასწავლებლის არ ყოლის და სხვა მიზეზების გამო ისევ მიიკეტა. აფხაზეთის განათლების კომისარიატი, იმედია მომავალ წლიდან განაახლებს ამ სკოლაში მეცადინეობას.

ვ. ბოკუჩავა.

—

ს. შუა-სურები (გურია). „ბოროტი“ ენები ამბობენ, რომ თემაღმასკომის თავმჯდომარის ძმას ბიქტორ გიორგის ძე ტრაპაიძეს და სახლიკაცს ბიქტორ მიხეილის ძე ტრაპაიძეს ვილაცას ხელი და ფული წყალობსო. წინაამდეგ შემთხვევაში ისინი დღეს ჯარში უნდა იყვნენ, რადგან ჯანმრთელობით ბევრ კარგ ახალგაზრდას წაიცილებს და ოჯახში მომუშავეები სხვაც ბევრი მოეპოებათ.

ანთიმოზი.

სოფ. ყვარელი (თელავის მ.) ჩვენი აღმასკომი ზურგით დგას გლეხებისაკენ, ხოლო პირით ქალაქისაკენ. ორ დღეზე მეტია, რაც უწყლოთა ვართ და სამი ვერსის მანძილიდან დაგვაქვს წყალი, რადგან მდ. დურუჯი ადიდდა ამ დღეებში, გაარღვია რაფი და გვერდი გვიქცია. გარდა ამისა ჩვენ სოფლად იყიდება დამპალი თევზი. როცა ვეკითხებით, თუ რათ მოაქვთ ასეთი, უსინდისოთ გვიპასუხებენ: „აქ რომ არ გაგასაღოთ, მაშ სად წავიღოთო“. აღმასკომი კი სდუმს.

ვინ.

—

ქ. ზესტაფონი. ზესტაფონის ცხრაწლედის ზოგიერთ მასწავლებლებს თავის ხელობა სპეკულიაციის საგნათ გაუხდიათ. ისინი ამზადებენ იმ ბავშვებს, რომელნიც თვითონვე უნდა გამოსცადონ შემოდგომაზე ცხრაწლედში მისაღებათ. ასეთ შემთხვევას მარტო წელს არა აქვს ადგილი. ნამუსიც კარგი საქონელია, ბატონო „მასწავლებლნო“.

რკინისგზელი.

—

ქ. ონი. ჯერ კიდევ ორი წლის წინათ აქაური აღმასკომის სურვილის თანახმად დადგმული იქნა რადიო მიმღები აპარატი. აღმასკომი დაგვპირდა ხე-ტყის მოცემას საქმის მოსაწყობად. გადის ორ წელზე მეტი და ის ყურსაც არ იბერტყავს. ნუ თუ ასე უჭირს სამაზრო აღმასკომს კულტურულ საქმისათვის ამ უბრალო დაპირების შესრულება?

ხ. ივანოვი.

სოფლის ქრონიკა

— **სეტყვა.** ახალქალაქის მაზრაში უკანასკნელ ხანებში გამეუმებულმა ძლიერმა ქარმა, წვიმამ და სეტყვამ დიდი ზარალი მიაყენა ბაღ-ბოსტნებს და ნათესებს.

— **საექიმო დახმარება სოფლებს.** სამხ. ოსეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადასწყვიტა ოსის სოფლებში მოაწყოს და გააფართოოს საექიმო პუნქტების ქსელი.

— **ბრძოლა მიწის ყიდვა-გაყიდვასთან.** სამხ. ოსეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ წინადადება მისცა თემ-აღმასკომებს ებრძოლონ გლეხებს შორის სხვადასხვა მოხერხებებით მიწის ყიდვა-გაყიდვას.

— **ბორჩალოს მაზრაში,** სოფ. ვარდის უბნიდან გადასახლებულმა გლეხებმა შუამდგომლობა აღძრეს სამ. აღმასკომის წინაშე, რომ მათ სოფელს ამიერიდან ეწოდოს სოფ. უკანაგორა.

— **შუამთის აგარაკი.** თელავის აღმასკომმა გადასწყვიტა მიიღოს ზომები შუამთის აგარაკზე წესიერების დაცვისა და მოაგარაკეთა საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებლათ.

— **ჭიათურაში** ამ დღეებში გაიხსნება სახელმწიფო ბანკის ქუთაისის განყოფილების სააგენტო.

ბოროტმოქმედების კვალდაკვალ

გაზ. „კომუნისტში“ № 140, 21 ივნისიდან მოთავსებულია ცნობა, ახალ-სოფლის ნიწკომის მიერ ქრთამის აღების შესახებ. სამაზრო აღმასკომი გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწკომის წევრნი უკვე გასულ წლიდან მოხსნილნი არიან თანამდებობიდან და მათი საქმე გადაცემულია უბნის სასამართლოზე.

სამაღმასკომის თავმჯდომარე

ქურციკაშვილი

—

გაზეთ კომუნისტის მე № 145 მოთავსებულია კორესპონდენცია „ზემო იმერელის“ ფსევდონიმით—სათაურით „ექიმბაში ლიდა გამყრელიძე“, რაზედაც რედაქციას ვაცნობებ შემდეგს—აღნიშნული წერილი ჩემ მიერ გადაცემულია საჩხერის რაი მილიციაზე კვლევა-ძიებისათვის მხოლოდ რაც შეეხება მის სახლში ჩასახლებას, ასეთზე ჩემ მიერ შეტანილია პროტესტი შორმაზრის აღმასკომის პრეზიდიუმში, გამყრელიძეების ჩასახლების დადგენილების გასაუქმებლად. ერთიც და მეორეც დამთავრდება მუშურ-გლეხური ინტერესის თვალსაზრისით.

პროკურორის თანაშემწე:

ი. კაპანაძე.

—

თქვენ პატივცემულ გაზეთ „კომუნისტის“ 14 მაისის № 108 და 6 ივნისის № 128-ში მოთავსებულ მუშკორ „ბანის“ კორესპონდენციების შესახებ, გაცნობებთ, რომ ჩადენილ საქციელის გამო სეფიეთის სკოლის მასწ. კეკელია და ქვ. ხუნწის სკოლის გამგე არ. რევია თანახმად სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებისა 5 ივნისიდან № 23—დათხოვნილი არიან სამსახურიდან.

არ. რევიას საქმე გადაეცა დასავ. საქართველოს პროკურორის თანაშემწეს.

განათლების ინსპექტორი

ვ. კობულია.

ჩემი განმარტება

(გორის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ქურდაძის წერილის გამო)

ვას. ქურდაძე გაზეთ „კომუნისტის“ № 129 გვერდებზე ამცნობს მკითხველთ: „სკრის სახალხო მამულის გამგეთ 4 წელიწადია გამსახურდია არისო და ოთხივე წელიწადს მამული ზარალის მეტს არაფერს იძლევაო!“. ერთი, რომ მე მხოლოთ სამი წლის მუშაობის ანგარიშის წარდგენა შემიძლია და არა ოთხისა, რადგან მე ვმუშაობ ამ მამულში 1922, 23 და 24 წ.წ. აი რას გვიჩვენებენ ამ წლების ბალანსი: ამ სამ წელში მხოლოდ 1922 წელი იყო წამგებიანი, დანარჩენი 1923 და 1924 წ. არ არიან დეფიციტიანი ეს მიმდინარე წელიც არ უნდა იქნეს წამგებიანი, თუ რაიმე სტიქიური უბედურება არ დაგვატყდა თავზე. ამ წლის—3 | 4-ში დაიხარჯა სულ 6 ათას მანეთამდე და ამავე დროს მარტო ნერგებიდან (30.000 ძირი, ძირი 40 კ.) ავიღებთ 12.000 მანეთს; არას ვიტყვი მეხილეობა, მემინდვრეობა და მებოსტნეობაზე, რომელთაც ძრიელ კარგი პირი უჩანთ.

სამწუხაროა, ასეთი დიდი პასუხისმგებელი პირი, როგორიც ბრძანდება ვ. ქურდაძე, ეყრდნობა არა სწორ ინფორმაციას, როცა მას ყოველთვის შეუძლია საქმის ვითარებას გაეცნოს ნამდვილ პირველ წყაროებიდან.

მტკიცება იმისა: კარგმა პატრონმა ამ მამულიდან წლიური წმინდა მოგება 20 ათასი მანეთი უნდა მიიღოსო—მეტის-მეტი ზერელე და ზეპირია, ვინაიდან ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა თანხას დააბანდებენ მის დასამუშავებლათ. კარგათ იცის ვ. ქურდაძემ ამ მამულში დღემდე სარწყავის არხის გამოყვანა ვერ მოგვიხერხებია და გასული წლის ოქტომბრის და ნოემბრის მუშების ნამუშევარი ამა წლის თებერვალში დავარიგეთ. ასეთ პირობებში რასაც იძლევა მამული, ისიც დამაკმაყოფილებლად უნდა აითვალოს.

კატეგორიულათ ვაცხადებ: გლეხებს მიწა იჯარით არ ეძლევა; ჩვენ ვხნავთ, ვფარცხავთ, ვთესავთ ჩვენი თესლით ჩვენს მიწას და შემდეგი დასამუშავებლათ ეძლევათ გლეხებს, რის გამო ვიღებთ ნახევარს, ან მესამედს; ასეთ შემთხვევებში უპირატესობა ეძლევა უხაროებს. ასეთი წესით მხოლოთ 10 დესეტინაა წელს გაცემულია (სულ მამული არის 160; დესეტ.). ასეთი წესებით თვით გორის აღმასკომიც აძლევს გლეხებს თავის მამულებს. ამ წელს 11 დღიური (5 ნახ. დესეტ.) გადაეცა გლეხებს სრულიად უფასოდ, მაგრამ სამი დღიურის (1 ნახ. დესეტ.) მეტი არ მოუხნავთ, როგორც არ მოუხნავთ ის ხუთი დესეტინა, რომელიც 19 ამა მაისს მიეცა მათ ვ. ქურდაძის მამულში ყოფნის დროს, სასიმინდეთ: რას მიეწერება ეს გარემოება, თუ მათი ჩივილი მიწის უქონლობის გამო, უსაფუძვლო არ არის.

ადგილობრივ მცხოვრებთან კარგი დამოკიდებულების შესაქმნელათ ჩვენ ყოველნაირ დათმობაზე მოვდივართ: სრულიათ უფასოთ ეძლევა მათ სახმარათ სამუშაო იარაღები: გუთანი, ფოცხი, კულტივატორი და სხვა, ხეხილის ნამყენი ეძლევათ ნახევარ ფასებში, რაიმე დარიგებაზე ხომ მუდამ მზათა ვართ.

მე იმედი მაქვს, მ | გ. ინსპექცია გამოარკვევს სკრის სახალხო მამულის მდგომარეობას და მასთან ერთად ჩემი მუშაობაც იქნება იქ შეფასებული ისე, როგორც ეს აქვს შეფასებული მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და არა ისეთი დაუმსახურებელი კილოთი, როგორც ეს სრულიათ უსაფუძვლოთ აქვს ვ. ქურდაძეს.

სკრის სახალხო მამულის გამგე

ალ. გამსახურდია.

სოფ. სკრა

წერილები რედაქციის მიმართ

ვახტანგ კოტეტიშვილის ს[illegible]

„ახალი კავკასიონ“-ის 1—2 ნომერში მოთავსებულია ვახტანგ კოტეტიშვილის რეცენზია პარიზში გამოცემულ ჩემ წიგნზე. მე სრულებით ხმას არ ამოვიღებდი ამ ნაწერის შესახებ, რომ ვ. კ—ლი სინდისიერად მოქცეულიყო, რომ მას მწერალის მოვალეობა ფეხით გათელილი არ ჰქონდეს და ეს საზოგადოებისათვის მავნე მოვლენას არ წარმოადგენდეს. ვ. კ—ლს კრიტიკა ლანძღვა-გინება ჰგონია და პატიოსნება კი მისთვის სრულებით არა საჭირო ელემენტი ყოფილა. უბედურებაა, რომ ამნაირ ადამიანს წერის უფლება აქვს და ამიტომ საშუალება ეძლევა მკითხველი შეცდომაში შეიყვანოს.

თავის რეცენზიაში ვ. კ. ყოველი საშუალებით სცდილობს დაუმტკიცოს მკითხველს უვარგისობა ჩემი წიგნისა, რომლის „პოპულიარული“ შინაარსიც მას სრულებით ვერ დაუძლევია. რომ თავის მიზანს მიაღწიოს, ის არ კმაყოფილდება ჩემი აზრების უბრალო არევ-დარევით და რადგან სხვა საშუალებას ვერ მონახავდა, სარგებლობს ჩემზე მონაწერ ყალბ აზრებით. მოვიყვან მის უმთავრეს წინადადებას, რომელიც შეეხება ჩემს წიგნში დასმულ ერთ მნიშვნელოვან საკითხს და რაც მას სრულებით ყალბად აქვს გადმოცემული. ვ. კ. სწერს:

„შეიძლება, წმინდა მხატვრული კულტურა ჩვენში მინელებული იყვეს, მაგრამ ლოღიკის უნარს ვერავინ წაგვართმევს, და როდესაც ჩვენი ავტორი პათეტიურად ამბობს: „*აზროვნება ახასიათებს თანამედროვე შემოქმედებას, ძველს კი გრძნობა ახასიათებდა*“-ო, ეს დებულება უნდა დაიცვას ბოლომდე. მაგრამ ავტორი იქვე განაგრძობს, რომ პოზიტიური, ანუ რაციონალური იყოთ ხელოვნება საზოგადოთ აღმოსავლეთში, ეგვიპტეში, საბერძნეთში... და სხ. ასეთივე იყო ევროპის გოტიკა, იტალიის რენესანსი... დღეს ხელოვნება პოზიტიური უნდა იყვესო, ე. ი. რაც წინად იყო. მაშასადამე უნდა განვაგრძოთ ძველი გზა? მაგრამ ავტორი ლოღიკურ თანამიმდევრობას არ იცავს და მისაღლონელ პასუხის მაგიერ, იგი სწერს:—„*დღევანდელმა მხატვრობამ... აღიარა უვარგისობა წარსულ საუკუნეების პლასტიურ ფორმებისა*“... და სხ.*)

მთელი ეს მსჯელობა ვ. კ—ლს. დამყარებული აქვს ჩემი აზრის და წინადადების სრულ დამახინჯებაზე და ყალბად გადმოცემაზე.

ჩემს წიგნში არსად არ სწერია შემდეგი წინადადება: „აზროვნება ახასიათებს თანამედროვე შემოქმედს—ძველს კი გრძნობა ახასიათებდა“. სიტყვა „ძველი“, ვითომც წარსული საუკუნოები, მე სრულებით არა მაქვს ნახმარი. ეს აზრი წიგნის მე-28 გვერდზე ჩამოყალიბებული მაქვს შემდეგნაირად: „დღევანდელი მხატვრობა წარსულ საუკუნის მხატვრობისაგან, უმთავრესად იმით განსხვავდება, რომ წინად შემოქმედების პროცესში უმაღლესი ადგილი ეჭირა გრძნობიერებას, ეხლა კი ამ ადგილს იკავებს აზროვნება“.

იგივე სიყალბით არის გადმოცემული მეორე ჩემი წინადადება, რომელსაც მე მაწერს: „დღევანდელმა მხატვრობამ აღიარა უვარგისობა წარსულ საუკუნეების პლასტიურ ფორმებისა“. ჩემ წიგნის მე-21 გვერდზე ეს წინადადება სწერია ასე: „მან (დღევანდელმა მხატვრობამ) აღიარა უვარგისობა წარსულ საუკუნის პლასტიურ ფორმებისა“. ორივე ჩემი წინადადებიდან ცხადია, რომ ვამბობ მხოლოდ წარსულ საუკუნის შესახებ, ე. ი. მე-19 საუკუნის შესახებ, და არა მთელი წარსული საუკუნეების, როგორც ვ. კ—ლმა ყალბად მომაწერა. მე არას დროს არ მიხმარია ამ შემთხვევაში იმნაირი გაურკვეველი დროის სიტყვა, როგორც „საუკუნეები“; პირიქით მე ძლიერ გარკვეულად მაქვს აღნიშნული ყოველი ხანა და საუკუნე და გარკვეულად არის აღნიშნული აგრეთვე, თუ როგორ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში ხელოვნებას ახასიათებს გრძნობიერება ან აზროვნება, რომანტიული ან პოზიტიური შემეცნება (იხილე გვერდი 20—21 ჩემი წიგნისა). ამასთანავე აქედან ცხადათ სჩანს, რომ ყალბია ვ. კ—ლის ცნობა, ვითომც მე ხან ვამბობდე, რომ ძველ ხელოვნებას ახასიათებს გრძნობიერება და ხან კი ვამბობდე, რომ მას ახასიათებს აზროვნება. ნუ თუ პატიოსნებაა ყალბი აზრის გამოგონება, სხვისთვის მისი მიკუთვნება, შემდეგ ამ აზრზე რეცენზიის უმთავრეს ნაწილის დამყარება, ავტორზე ულოღიკობის დაწამება და ამით მკითხველისათვის ყალბი ცნობების მიწოდება. რეცენზიის დამწერს ჯერ წაკითხულის გაგება უნდა შეეძლოს და მერმე მისი მოვალეობაა სამართლით გადმოსცეს ავტორის აზრი; მხოლოდ ამ შემთხვევაში კრიტიკა მისაღებია და საჭირო. ვ. კ—ლს კი არც ერთი ამდაგვარი უნარი არ ჰქონია.

საკმარისია მარტო ამ მაგალითის მოყვანა. დანარჩენ ჩემი აზრების ვ. კ—ლის მიერ არევ-დარევას გულმოდგინე მკითხველი თვითონ გაიგებს და დააფასებს.

P. S. ვ. კ—ლის სიყალბის მე ამასთანავე ვაცნობებ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს, რათა მწერალთა კორპორაციამ დასდოს თავისი მსჯავრი ვ. კ—ლის ამდაგვარ საქციელზე.

დავით კაკაბაძე.

25—მაისი—25 წ.

პარიზი.

---

*) კურსივი ყველგან ჩემია. დ. კ.

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ სურამის თემის სახალხო მოსამართლეს მოქ. გიორგი ესტატეს ძე ბლიაძეს, რომელმაც შემოსწირა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნუმიზმატიკურ კაბინეტს მის მიერ შეძენილი ს. ალის მახლობლად ნაპოვნი ძველი ვერცხლის ფული 470 ცალი.

რექტორი-პროფესორი ივ. ჯავახიშვილი.

—

პატივცემულო რედაქტორო!

ყარიბის ფელეტონებში, რომლებიც იბეჭდებოდენ გაზ. „კომუნისტი“-ს ახლო წარსულ ნომრებში, სხვათაშორის ლაპარაკია ნადირაძეზე, რომელსაც უმსახურია თბილისის ჟანდარმერიის საგუბერნიო სამმართველოში.

ამიტომ მე, ნიკოლოზ ეგნატეს ძე ნადირაძე, ვაცხადებ, რომ ის ნადირაძე არის სერგო ალექსანდრეს ძე, რომელიც დღესაც მსახურობს ბორჩალოს მაზრაში სახალხო მამულების გამგეთ. მე არავითარი დამოკიდებულება მასთან არა მაქვს და არც ჩემი ნათესავია.

მე-2-ე დივიზიის თანამშრომელი ნიკოლოზ ეგნატეს ძე ნადირაძე. *)

---

*) რედაქცია ადასტურებს, რომ ამხ. ყარიბის წერილში ნახსენები ნადირაძე არ არის ნიკოლოზ ეგნატესძე ნადირაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი მესამეჯერ წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ ა | წ. 7 ივლისს, საღამოს 6 საათზე თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ-განმანაწილებელ განყოფილებაში.

პირველი რაიონი: 1) რუბენ ანტონის ძე პეტროსიანი.

მე-2-ე რაიონი: 1. ვლადიმერ სილიბისტროს ძე გოგუშვილი, 2. ახმედ ნადირშევი, 3. ბრეგაძე პავლე გიორგის ძე, 4. ეროვინ ალექსანდრე, 5. მზარეულიშვილი ვასილი ივანეს ძე, 6. შელია გრიგოლი ივანეს ძე, 7. ბასილაია ანტონ სტეფანეს ძე, 8. აუშტროვი ანტონ სტეფანეს ძე.

მე-3-ე რაიონი: 1. სააკიანი ანტონ მიხეილის ძე, 2. სურენატიან არუტინ მანუკის ძე, 3. ომაროვი ბახშო თომას ძე, 4. ჩხეიძე მიხეილ სოლომონის ძე, 5. აბმასოვი ალექსანდრე ტაგი-ოღლი, 6. ვართაპეტიანი არმენაკ ნიკის ძე, 7. თარხანოვი გრიგოლ თედორეს ძე, 8. თუშიშვილი ნიკოლოზ ეგორის ძე, 9. იუზბაშევი აშ[illegible] იზრაელის ძე, 10. ტურგენევი ვასილ მიხეილის ძე, 11. ულუხანოვი ხორენ სოლომონის ძე, 12. მარკმან მოსე ეკვთიმეს ძე.

მე-4-ე რაიონი: 1. ბერია ბეგლარ ბასას ძე, 2. მეთაქ-აკაჯანოვი ალექსანდრე ივანეს ძე, 3. კონიევი ალექსანდრე გიორგის ძე, 4. დვეიძე ვენიამინ სარდიონის ძე, 5. უბიტანია ევგენი ვასილის ძე, 6. ველიბეკოვი რიზა ხალილის ძე, 7. კარაგელიან გარნიკ არუთინის ძე, 8. კანდელაკი გიორგი დავითის ძე, 9. ქიშვილი ნეორიტ დიომიდეს ძე, 10. ქავთარაძე სარდიონი ადრიას ძე, 11. ვარდანიანი სტეფანე ქრისტეფორის ძე, 12. ლიტოვკინი ნიკოლოზი სიმონის ძე, 13. გოშადნეიშვილი კანდიტ თადეოზის ძე, 14. ქავთარაძე აკაკი ივანეს ძე, 15. მუდრი მიხეილ ანდრიას ძე, 16. გახოკია მიხეილი ფილიპეს ძე, 17. კანცელსონი ზინოვი შ არისის ძე, 18. ქანტურია ფილიპე მანუჩარის ძე, 19. მირიჯანიშვილი ვლადიმერ მიხეილის ძე, 20. გაგოშიძე ფილიპე პეტრეს ძე, 21. ეგოროვი ნიკოლოზ ლაზარის ძე, 22. მკრტიჩიანი იმან მარტიროსის ძე, 23. ჯაფარიძე აპოლონ გლახუას ძე, 24. რეინვალდი არტურ ვილჰელმის ძე, 25. კამარაული ალექსანდრე იაკობის ძე, 26. პოკროვსკი ალექსანდრე ვასილის ძე, 27. გუშონი კონსტანტინე ივანეს ძე, 28. მაქსუდოვი მაქსუდ ახმედის ძე, 29. სანაკოევი გიორგი ეფრემის ძე, 30. მარეევი-კურასოვი ლავრენტი აგაფონის ძე, 31. ცაცაძე იულონი ზაალის ძე, 32. სტურუა კონსტანტინე დიმიტრის ძე, 33. ჩუშლაროვი სერგო ალექსანდრეს ძე, 34. ქრისტოლიუბოვი მიხეილი მიხეილის ძე, 35. მურატოვი პეტრე ვასილის ძე, 36. მნაცაკანოვი ვაგრამი კარაპეტის ძე, 37. მაისურაძე ივანე თედორეს ძე, 38. გულბისი რობერტი ივანეს ძე, 39 ბუხნიკაშვილი გრიგორი ვარდენის ძე, 40. ცანავა ონისიმე დიმიტრის ძე, 41. რახმანი არონი ხიიობიას ძე, 42. სანაკოევი ვლადიმერ არონის ძე, 43. სუსლოვი ალექსი კონსტანტინეს ძე, 44. ხადიკოვი რომან იოსების ძე, 45. შირიაევი ნიკოლოზი იაკობის ძე, 46. ბერძნიშვილი კირილე კონსტანტინეს ძე, 47. გალუსტიანი ამაიაკ სამვის ძე, 48. ციხელაშვილი ბაგრატ ბესარიონის ძე, 49. ისკანდარიანი ხაჩიკ სარქისის ძე, 50. დიმიტრიევი ვიქტორი იოსიფის ძე, 51. კაპრიელოვი ტიგრან აფანასის ძე, 52. პელუდიანი ბორის სერგოს ძე, 53. ფანცხავა იაკობი სპირიდონის ძე, 54. ხალპეტერი ანე კარპეს ძე, 55. ხაჟაკაღარიანი ვაგარშაკ ნერსესის ძე, 56. სარკიზაზოვი გიორგი ფეოდორის ძე, 57. კაკაბაძე იოსები პავლეს ძე, 58. ღლონტი თეოდორე (თედო) ზურაბის ძე.

— ლენინის რაიკომი იუწყება: 7 ივლისს, საღამოს 5 საათზე, რკ. გზის მე-10 შრომის სკოლაში (შერემეტიევის ქ. 46) შესდგება ქართველ მოწაფეთა უჯრედების გაერთიანებული კრება შემდეგი სკოლებისა: მე-4 და მე-10 რკ. გზის შრ. სკოლის, [illegible] პროფ. სკოლის და მე-33 შრომის სკოლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ს. კ. პ. ცეკას საღ. განმ. განყ. წინადადებას აძლევს ამხ. ზაქარია ჩიტიშვილს, დავით თხილავას, ვალერიან სიმონის ძე ლეჟავას და ერასტი ანტონის ძე ტაბატაძეს ა. | წ. 4 ივლისს დილის 10 საათზე გამოცხადდნენ ცეკას საღ. განმ. გან.

— ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგები, პარტდისციპლინის ძალით, ვალდებული არიან იმეცადინონ პროპაგანდისტთა კურსებზე, რომელსაც აარსებს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტ.-საპროპაგანდო განყოფილება.

პირველი მეცადინეობა მოხდება ცენტრალურ პარტიულ კლუბში, 6 ივლისს, საღამოს 7 საათზე.

საქ. კ. პ. თბ. ორგან. მე-4-ე რაიონიდან 1. კერესელიძე აკაკი, 2 აფციაური დავით (უჯრ. № 39), 3. კვირიკაძე ვალერიან (უჯრ. № 16), 4. გვარამია ბიკტორ (მ | გ. ინსპ.), 5. იაშვილი კალენიკე (მ | გ. ინსპ.), 6. მამალაძე ვლადიმერი (უჯრ. № 34), 7. მიქელაძე ალექსანდრე (უჯრ. № 39), 8. ბანიშვილი ვასილი (უჯრ. № 44), 9. ცაგარელი ვლადიმერი (უჯრ. № 45, და 10 ვეულბანი სიმონ (უჯრ. № 56).

საქ. კ. პ. თბილ. ორგანიზ. მე-3 რაიონიდან. 11. ოქკუზიანა აქტენიკ, 12. ცაგურია ბიქტორ, 13. ხუმარიანი გარეგინ.

საქ. კ. პ. თბილ. ორგან. მე-2 რაიონიდან. 14. ჩხეიძე შალვა, 15. მაჩაიძე მარიამი, 16. ბუჯიაშვილი მიხეილი, 17. ხუციშვილი სერგო, 18. კობიძე გიორგი, 19. ყუჩიაშვილი ილია, 20. სიკინჭილაშვილი არტემ, 21. ფანცხავა ვლადიმერ.

საქ. კ. პ. თბილ. ორგან. 1 რაიონიდან. 22. აბზიანიძე იონა, 23. ირემაშვილი გიორგი, 24. გაშკუაშვილი გიორგი, 25. ჩუტალაშვილი ლავრენტი, 26. კვანტალიანი კ., 27. კასკუსაშვილი კ, 28. ფურცელაძე ლევანი, 29. ბედენაშვილი, 30. ნიჟაძე მიხეილი, 31. გერსიმიშვილი. 32. ნაცვლიშვილი, 33 ბერძნიშვილი, 34. ბერიძე სერაპიონი, 35. ატკაზავა ნესტორ, 36. მამისაშვილი დავითი, 37. კარტოზია.

გარდა ზემოდ დასახელებულ ამხანაგებისა კურსებზე უნდა იარონ კომპარტიის და ახალგაზრდათა ლენინელ კომკავშირის ყველა წევრებმა და კანდიდატებმა, რომელთაც მიმდინარე წელს დაამთავრეს თბილისის და ცენტრალურ საბჭოთა პარტიულ სკოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშფაკის ქართული ჯგუფები.

მეცადინეობა პროპაგანდისტთა კურსები საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის ცირკულიარის თანახმად შეადგენს პარტიულ მოვალეობათა აღსრულებას, და ამიტომ ამხანაგები უნდა იქნან განთავისუფლებული უჯრედებში მუშაობისაგან ადგილებზე, რათა მეტი დრო ექნეთ კურსების საგნებში მეცადინეობისათვის.

თბილ. კომ. მდივანი **ასრიბეკოვი.**

პროპაგანდის ქ | განყ. გამგე **დ. ბუდილევი.**

განცხადებები

უიმედო მწუხარებაში მყოფნი: მამა ივანე შიოს ძე გოგლიძე, დები: ელენე, შარუსა, ოლა სხირტლაძისა, ნინო აგლაძისა, ძმები: საშა, გოგი და ირაკლი გოგლიძეები, სიძეები: თადეოზ ალექსის ძე და ნიკო დიმიტრის ძე აღლაძეები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ აგარაკ შოვში უდროოდ გარდაცვალებულის, მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ვასილის (ვასიკოს) ივანეს ძის გოგლიძის

ცხედარი 4 ივლისს ჩამოსვენებულია ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება დღეს, კვირას, 5 ივლისს 1925 წ. წირვის შემდეგ. 1—2 საათამდე. 1875 1—1

ამ დღეებში ამ

ეკრანზე

მაქს ლინდერი

ეკრანზე

ნ. 1447 2—1

საქართველოს ცაკთან არსებულ ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელი

კომისია

ამით აცხადებს ყველა დაწესებულებათა, ორგანოებთა და აგრეთვე კერძო პირთა საყურადღებოთ, რომ ამა წლის 4 ივლისიდან გაუქმებულია რწმუნებულება და აგრეთვე ყველა მოწმობები მიხეილ ხეშკოსი, მიცემული კომისიისაგან.

1874 1—1 **კომისია.**

საქართველოს მუზეუმის საალმშენებლო კომისია

აცხადებს შეჯიბრებას საალმშენებლო მუშაობაზე 80.000 მან. ღირებულებით.

შეჯიბრება

შესდგება 8 ივლისს, დღის 1 საათზე, საქართველოს მუზეუმში, რუსთაველის პრ. № 1. განცხადება მიიღება დახურულ პაკეტებში. პირობების შეტყობა ყოველდღიურად 11 საათ. 1 საათ. მუზეუმ. ალმშენებ. ინჟ. ნ. სევეროვთან, საალმშენებლო კომისიის ბინაზე (რუსთავ. პრ. № 1). ნ. 1449 1—1

მომავალი სასწავლო წლის ნორმალურად დაწყების მიზნით ტფილისის განათლების განყოფილება ამით აცხადებს, რომ ტფილისის ყველა

შრომის სკოლებში მისაღები თხოვნები

მიიღება დღეის რიცხვიდან ივლისის დამლევამდე შემდეგ სკოლებში:

1 რაიონი—მე-33 შრ. სკოლაში (ქართული)— კოოპერატივის ქ., № 17, მე-61 შრ. სკოლაში (რუსული) ალექსანდრეს ქ., № 58.

2 რაიონი—მე-2 შრ. სკოლაში (ქართული)—კამოს ქ. № 52,
მე-47 შრ. სკოლაში (რუსული)—პლეხანოვის პრ. № 40,
მე-81 შრ. სკოლაში (სომხური)—ჩერქეზიშვილის ქ., № 29,

3 რაიონი—მე-4 შრ. სკოლაში (ქართული)—პეტრეპავლეს ქ., № 16,
მე-63 შრ. სკოლაში (რუსული)—კახეთის ქუჩა, № 51
მე-84 შრ. სკოლაში (სომხური)—ივლაბრის ქ., № 34,
მე-86 შრ. სკოლაში (სომხური)—კახეთის ქუჩა, № 23,

4 რაიონი—მე-8 შრ. სკოლაში (ქართული)—ერმოლოვის ქუჩა, № 13,
მე-20 შრ. სკოლაში (ქართული)—საბურთალო, მასწავლებელთა ყოფილი სახლი, მე-2 ბორანთან,
მე-53 შრ. სკოლაში (რუსული)—საბურთალო, რუისის ქუჩა, № 23,
მე-57 შრ. სკოლაში (რუსული)—ლენინის ქუჩა, № 14,
მე-72 შრ. სკოლაში (სომხური)—ლერმონტოვის ქ., № 8

თხოვნებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს საბუთები სოციალური მდგომარეობის, წლოვანებისა და განათლების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში თხოვნები არ განიხილება.

თხოვნაში აგრეთვე აღნიშნული უნდა იქნეს ის სკოლაც, რომელშიც მოწაფის მიცემა სურთ.

დანარჩენ ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში თხოვნები პირდაპირ იმ სკოლაში უნდა იქნენ მიცემული, რომელშიაც შესვლის სურვილი აქვთ.

3—3 ნ. 1411 ტფილისის განათლების განყოფილება.

ს. მ. უ. ს. ს. მ. უ. ს.

„ცენტროტრამოტი“

საზაფხულო სახალხო მიმოსვლა

თბილისი—ვლადიკავკავი
„ კოჯორი
„ მანგლისი

და აბასთუმანი ცხენოსნების მიმოსვლით.

კანტორის მისამართი: პუშკინის ქუჩა № ტელ. 20—96. (ყოფილ თამამშოვის ქარვასლაში) კანტორა ღიაა დილის 7 საათ. საღ. 7 საათ.

0—14 ნ. 1249

მიხა ჩოდრიშვილის

სახელობის

შინამრეწვ. ხელოსანთა საზოგადოების

კლუბი

(პლეხანოვის პროსპექტი № 66)

ყოველ დღე კინო, წარმოდგენები, ლოტო, ბილიარდი და სხვ. გასართობები.

კლუბში მოწყობილია სამკითხველო და ლენინის კუთხე. საღამოობით უკრავს სასულე ორკესტრი.

ბაღი გამშვენიერებულია და განათებულია

კლუბთან გახსნილია

ბუფეტი-რესტორანი

აზიური და ევროპიული საჭმელებით.

ფასები ხელმისაწვდომია

საუცხოვო კუთხე დასასვენებლად.

ნის. № 1323—25—14

ხელისმომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24. ტელეფონი № 10—49.

მიწად-მოქმედების კომისარიატი

სახალხო მამულთა ტრესტი

განმეორებით და უკანასკნელი ზეპირ

საჯარო ვაჭრობა

ამა წლის ხილის და საფქვლ ყურძნის მოსავალზედ

დანიშნულია ტრესტის ბინაზე

ყოფილი ევანგულოვის ქ. № 2

9 ივლისი დღის, 12 საათზედ

გაიყიდება შემდეგი მამულების მოსავალი: ხეის, მერეთის, ბეთანია-კურისხის-კიკეთის, ხადაბულ-ბოჯღრის და ვომბორის (ხილი); გიაურ-არხის (ყურძენი).

ვაჭრობაში მონაწილე მოვალენი არიან წარმოადგინონ სალაროში: ა) კოოპერატიულ და სახელმწიფო დაწესებულებამ 25 ჩერვონეცი; ბ) კერძო პირთ ორმაცი ჩერვონეცი.

დაწვრილებითი ცნობებს აძლევს ტრესტის

ნ. 1445 სავაჭრო დარგი. 2—1

ამხანაგობა „საბანი—მაგიდის საფარი“

(„ОДЕЯЛО—СКАТЕРТЬ“)

საწარმო მოსკოვი, პეტროვკა 18, ბინა 4, ტელეფ. 2—86—48

საბნების და ქსოვილების საფარების მარლის და სხვ. დამზადება

დიდი ასორტიმენტი. გაიგზავნება ბეს შეტანით. სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებს შეღავათიანი პირობები.

ფოსტის მისამართი: რომან ბროდსკის, მოსკოვი, პეტროვკა 18—4

ნ. 1444 2—1

ღამე წრიალით და ხინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დაარსებული

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე ინვალიდებისათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—20

მანგლისი

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან და ქალთა ავადმყოფობაში იღებს დილის 9—12 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. 25—11

ბალცევის აგარაკი, ბაღის მახლობლად

ექიმი **ა. ს. ფუნ-ირტელი**

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბონ-მონში).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილისსქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე 25—23

ექიმი **ბ. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება დილის 9—11 საათამდე საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

25—24

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

25—24

ექიმი **გ. ნ. მაგაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 30.

25—4

ექიმი **დ. ა. გალუსტიანი**

შინაგანი, კანის, ვენერიული

(მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-მდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე ელისაბედის ქ. № 77, მეორე სამხედრო კარის ქუჩის კუთხეში.

25—24

ექიმი **გ. მ. ფხალაძე**

კანისა და ვენერიული სნეულ. სიფილისი (606 914)

მიღება კაც. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. საღ ქალების 6—7 ს. საღ. მოსკოვის ქ. № 4.

25—4

ექიმი **გ. ი. შაპელნიკოვი**

ელისაბედის ქ. № 7

სპეციალურად: ვენერიული სნეულებანი, სიფილისი და კანის ავადმყოფობანი.

მიღება ყოველ დღე დილ. 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე, კვირაობით მხოლოდ დილით 10 საათამდე, ქალებისათვის—დღის 3—4 საათამდე.

25—3

ექიმი **ე. მ. მქინარიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და 6—8 ს. ცალკე: ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 16

შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

25—25

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**

ლენინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოების ყველა გართულებანი) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—25

ექიმი **მ. ა. ლუკოვსკი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

სამიროს ქუჩა № 38, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—15

ექიმი **გ. გ. მუშრაგიანცი**

ყელ მკურნალობა ფილტვების, ვისცერო ტუბერკულიოზის, სპეციფიურ—ნაღვლის მოლიადიურისა, ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურნ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

25—24

ექიმი **მ. ი. ზანდუკელი**

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ვენერიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49).

ტელ. 4—62 საღამოს 7—8 საათ. გამგეობის სამკურნალო კაბინეტი

25—4

საბჭოთა რუსეთის სახ. განათლების კომისარიატის სახელმწიფო

მუსიკალური ტრესტის

თბილისის განყოფილება

„მუზპრედი“

(„МУЗПРЕД“)

როიალების და პიანინოს გაქირავება, გაყიდვა, შეკეთება, აწყობა და გაწმენდა.

ყველა საუკეთესო ფირმების.

ახალი 850 მანეთიდან ნახმარი 350 მანეთიდან.

ნაწილ-ნაწილად გადახდა 18 თვემდე.

გაქირავება 8 მანეთიდან თვეში, გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები, გრამაფონები, ფირფიტები, გარმონები და სხვა მუსიკალური ინსტრუმენტები და მოწყობილობანი მათთან.

ნოტების დიდი რაოდენობა 10 კაპეიკიდან. საუკეთესო შემოწმებული სიმები.

მიიღება შესაკეთებლად როიალები, პიანინო, სკრიპკა, გიტარა, მანდოლინა და სხვა სიმებიანი ინსტრუმენტები.

მიიღება როიალების და პიანინოს გადატანა, ყუთებში მოწყობა და გაგზავნა.

ქალაქ გარედან შემოსული დაკვეთა სრულდება სისწორით და თავის დროზე. საწყობი და კანტორა მაღაზიასთან. სასახლის ქ. № 5, ტელეფონი № 14—53.

ნ. 1443 2—1

ხუთშაბათს, 2 ივლისიდან

გაიხსნა ახალი საზაფხულო თეატრი

„სპარტაკი“

სადაც ნაჩვენები იქნება საუკეთესო სურათი

პირველად თბილისში

აკრობატის ტრაგედია

დრამა 6 ნაწილად.

განთქმული მსახიობი პარლ დე ფოგტის მონაწილეობით

ფასები: კერძოთათვის 40 კაპ.
პროფკავშირის წევრთ 30 კაპ.
კლუბის წევრთათვის 10 კაპ.

მისამართი: ვერის დაღ. № 1. ყოფ. ბაღი ამირანი.

ნ. 1418 4—4

ს. ს. რ. კ. ს. მ. უ. ს.

ფერად ლითონების დამმუშავებელ სახელმწიფო წარმოებათა გაერთიანების გამგეობა

„გოსპრომცვეტ“-ი

(ГОСПРОМЦВЕТ)

მოსკოვი, ილინკა. იუშკოვ. შესახვ. № 4.

ამიერ-კავკასიის განყოფილება **ბაქოში** მალიგინის ქ. № 21. ტელ. № 21—46.

საბითუმო და წვრილად სავაჭრო მაღაზია და საწყობი: კრივაია ქ. 2. ტელ. № 14—06.

თბილისის კანტორა და საბითუმო—წვრილად სავაჭრო მაღაზია: რუსთაველის პროსპექტი № 23.

აწვდის ყველას თავისი წარმოების პროდუქტებს:

კაბელებს, დიდძალიან და მცირე ელექტროდენისათვის.

ელსადენებსა და ზონრებს, ბრინჯაოს მავთულს ტელეფონისათვის.

მავთულს დენწინაღისა და დინამოსათვის.

თეთრლითას „კოლჩუგალიუმინს“ რკინისა და სპილენძის ბადეებს სხვადასხვა საჭიროებისათვის.

წითელ სპილენძს და თითბერს—ფურცლებად, წკნელებად და მავთულად.

ფურცლოვან თუთიას („ცინკი“)

ფურცლოვან ალიუმინს, ტყვიას.

ყოველგვარ ნადნობთა გრძელხვეულ ლენტებს.

წითელ სპილენძის, თითბერის და ტყვიის მილებს, კარგ-კავშირს, ბოქლომებს,

ალიუმინის, სპილენძის და თითბერის ჭურჭელს.

ალიუმინიდან, სპილენძიდან, თითბერიდან სამოვრებს, „პრიმუსებს“, საჩაიდნეს.

სასწორების მოკიდებულ თეფშებს,

ფალია-ცობოლებს ბოთლებისათვის და სხვა.

საქონლის დიდი არჩევა.

შეკვეთები მიიღება როგორც განყოფილების საწყობში, ისე ქარხანაში.

სახელმწიფო ორგანოებსა და კოოპერატივებს საქონელი მიეცემათ შეღავათიან პირობებში.

ნ. 1446. 1—1

საქ. ს. ს. რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის

საკანცელარიო ნივთებისა და საწერი ქაღალდების განყოფილებამ

ა. | წ. 1 ივლისიდან გახსნა

მთავარ კანტორასთან, პლეხანოვის (ყოფ. მიხაილოვის) პროსპ. № 7. საწერი ქაღალდებისა და საკანცელარიო ნივთების

საბითუმო საწყობი

საქონელი ეძლევა

ყველას

ფასები—საბითუმო, მალიან დაკლებული ჩვენი მაღაზიების საწვრილმანო ფასებთან შედარებით. სახელმწიფო დაწესებულებებს დაეთმობათ შეღავათიან პირობებში

ტელეფ. 20—54 ნ. 1340 2—2

წაღვერი

მედიცინის დოქტორი ა. ა. მონ

მოზრდილთა და ბავშვთა შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობაში იღებს დილის 10—1 საათამდე ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით. საპონოვის აგარაკი № 5 (კოოპერატივის მახლობლად). 25—2 1793

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ

სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილ. შესახვევი № 8.

25—7

დავკარგეთ დასაზღვევი წიგნაკები გაცემული ნინო მენხიშვილის და აკაკი ხორავას სახელებზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე წლიური ბილეთი № 0. 89302, ბილეთი № 312993 და პირადობის მოწმობა № 28231 და შვილის პირადობის მოწმობა № 28231 გიორგი არბოლიშვილის სახელზე ჩ. გ. 1869 1—1

დავკარგე წლიური ბილეთი № 0039012 და პირადობის მოწმობა № 28128 ივანე მუჯირიძის სახელზე. ჩ. გ. 1870 1—1

დავკარგე აღრიცხვის ბარათი № 1295 შალვა ჯაგოლიძის სახელზე. ჩ. გ. 1868 1—1

დავკარგე პირადი წიგნაკი ლადო ანდრიას ძე კოტორაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1859 1—1

დავკარგე პასპორტი № 15186 და აღრიცხვის ქაღალდი გრიგოლ უსეინაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1860 1—1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა, თამარა ჯიბლაძეს სახელზე. ჩ. გ. 1862 1—1

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ფურცელი ალექსანდრე მიხეილის ძე ბაქრაძის სახელზე. ჩ. გ. 1864 1—1

დავკარგე პროფკავშირის საწევრო წიგნაკი ალექსანდრე ზაალის ძე ბეგიაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1864 1—1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 389, ნიკოლოზ ვასილის ძე ნაცვლიშვილის სახელზე. ჩ. გ. 1863 1—1

დავკარგე მანდატი № 3020 გაცემული ფოთის პარტკომის მიერ თებრონე პარკაიას სახელზე. ჩ. გ. 1865 1—1

დავკარგე დაზღვევის წიგნაკი ტრიფონ თოდრაძის სახელზე № 43504. ჩ. გ. 1866 1—1

დავკარგე წლიური ბილეთი № 0266445 და პირადობის მოწმობა ალექსანდრე ლეჟიანიძის სახელზე. ჩ. გ. 1867 1—1

დავკარგე სამხედრო რეგისტრაციის წიგნაკი № 132 ნიკოლოზ პეტრეს ძე ციცხვაიას სახელზე ჩ. გ. ნ. 1448 1—1

დავკარგე დამზღვევი კასის წიგნაკი № 9050 ალექსანდრე დუშაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1871 1—1

დავკარგე საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 17., ალექსანდრე მანტურიძის სახელზე. ჩ. გ. 1872 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა დარიკო დვალის სახელზე ჩ. გ. 1873 1—1

დავკარგე ივანე მაქსიმეს ძე წერეთლის პარტ-ბილეთი № 496537; პროფკავშირის წიგნაკი, და სხვა საბუთები ჩ. გ. 1—1 1878

დავკარგე პარტ. ბილეთი № 492,688 ილარიონ ბერიძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 1877

დავკარგე მოწმობა მოცემული ბათომის საბაჟოს კომენდანტურიდან და პირადობის მოწმობა ბალერინე ანთიმოზის ასული კანდელაკის სახელზე. ჩ. გ. 1—1 1874

დავკარგე პირადობის მოწმობა ილარიონ ბეჟანის ძე კობიძის სახელზე ჩ. გ. 1—1 1876

ნოტარიალური ანდერძი, შედგენილი და შესრულებული სურამის სახალხო ნოტარიუს მიხეილ შალიბაშვილთან 1924 წლ. თიბათვის 17 დღ. რეესტრ № 10 | 29 ჩ. გ. ივანე ბესარიონის ძე ქიმერიძე. 1—1 1876

ტირაჟი—21.71

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, სამ. წულუკიძის ქ. № 4